ვალერიან მენაბდე

ალზრდისა და სწავლების ზოგიერთი საკითხი

(მასწავლებლის გამოცდილება)

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1973

შესავალი

როცა ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მიღწევებს, ადამიანის აზრის იმ ზღაპრულ გაქანებას, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა, სიამაყის გრძნობა გვიპყრობს: ეს ადამიანები, რომლებიც სასწაულებს ახდენენ, მსოფლიოს აცვიფრებენ, უბრალო მუშები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მომუშავე ჩვენი გუშინდელი მოსწავლეები არიან. ისინი ხომ 20—30 წლის წინათ ჩვენთან იყვნენ, მოსწავლის მერხებზე ისხდნენ, თვალებში შემოგვცქეროდნენ და ერთმანეთისაგან ბევრით არც კი განსხვავდებოდნენ.

მეორე მხრივ, ვხედავთ ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც პატიოსან შრომას გაურბიან, სხვისი შრომის მითვისებას ცდილობენ, ცხოვრების იოლ გზას ადგანან, მოქალაქისათვის შეუფერებელ საქციელს სჩადიან. ისინიც ხომ ჩვენი მოსწავლეები იყვნენ! ისინიც შვიდი წლისანი მოვიდნენ ჩვენთან, მათაც ჩავაბარეთ სიმწიფის ატესტატი და ყველას ერთად გზა დავულოცეთ, საგზური მივეცით ხალხის სამსახურად და სამოღვაწეოდ.

ძალაუნებურად ისმება კითხვა: ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენ მათთვის, კარგად ვიცნობდით ჩვენს აღსაზრდელებს, ვიცოდით თითოეულის დადებითი და უარყოფითი თვისებები, სუსტი და ძლიერი მხარეები, ვაკეთებდით თუ არა ყველაფერს იმისათვის, რომ აღმოგვეფხვრა ყოველივე ცუდი და წაგვეხალისებინა ის კეთილი, რაც მათში უსათუოდ იყო მოცემული? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა არ შეგვიძლია. გამოდის, რომ უარყოფითი, რომელიც მათში სხვადასხვა მიზეზით გაჩნდა ჩვენგან შეუმჩნეველად, თანდათანობით ვითარდებოდა, ძლიერდებოდა; ჩვენ კი ვხედავდით მათ ნიღაბს და არა ნამდვილ სახეს.

ახალგაზრდა თაობის წესიერად აღზრდის საწინდარია სკოლაში კომუნისტური აღზრდის პრინციპების სწორად დანერგვა. მაგრამ ახერხებს დღეს ჩვენი საშუალო სკოლა მასზე დაკისრებულ ამ საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულებას? რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერა.

ცხადია, რომ ამაში ძირითადად მასწავლებლები არიან დამნაშავენი, მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, თუ ვიტყოდით, რომ მასწავლებლების დიდი უმეტესობა არ აკეთებს ყველაფერს, რაც მათ ხელთ არის, რაც მათ შეუძლიათ. ხოლო სადაც მათ ძალა არ ყოფნით, იქ დახმარებაა საჭირო, დახმარება რეალური, ნამდვილი. არ კმარა მასწავლებლის მარტო გაკრი-

ტიკება, მისი მუშაობის ხშირი შემოწმება და ზოგადი, არაფრისმთქმელი მითითებების მიცემა. პირველ რიგში იმაზე უნდა ვისაუბროთ, თუ რა სიძნელეები ხვდება მასწავლებელს თავის მუშაობაში, რის დაძლევა უჭირს, როგორ ეხმარებიან, რა არის საჭირო, რომ ამ სიძნელეებს თავი გაართვას, რათა ამაღლდეს მასწავლებელიცა და სკოლაც მოწოდების სიმაღლემდე.

ყველაზე მტკივნეული საკითხი ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში დისციპლინის საკითხია. დაბალი დისციპლინა არის საფუძველი ყოველგვარი ბოროტებისა. ისეთი უდისციპლინობა, როგორიცაა გაკვეთილზე უყურადღებოდ ჯდომა, ამხანაგებთან ლაპარაკი, მასწავლებელთან უსაფუძვლო შეკამათება და ზოგჯერ თავხედური მიმართვაც, კარნახი და ერთიმეორისაგან დავალების გადაწერა, გაკვეთილზე დაგვიანებით შემოსვლა, უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენა, დავალების შეუსრულებლობა და სხვა ამგვარი დარღვევები, მასწავლებელს გაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის თითქმის 10%-ს უსარგებლოდ აკარგვინებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 10 გაკვეთილიდან ჩატარდეს 9, რაც საბოლოოდ ათწლიანი სწავლების ცხრაწლიანად გადაქცევას უდრის.

დროის ასეთი დაკარგვის გამო სასწავლო მასალის გარკვეული მონაკვეთი დაუმუშავებელი არ რჩება, მაგრამ მუშავდება ცუდად, ვერ ხერხდება მოსწავლეებში დადებითი ჩვევებისა და ხასიათის გამომუშავება და მომავალ მოქალაქეებს აკლდებათ აღზრდა.

სასწავლო პროცესებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვა დამოკიდებულია სკოლის ადმინისტრაციაზე და განსაკუთრებით მის დირექტორზე. უდავოა, რომ ცუდ დირექტორს შეუძლია ძალა დაუკარგოს საკმაოდ კარგ პედაგოგიურ ტივს; ხოლო კარგ, მოწოდების სიმაღლეზე მდგომ ავტორიტეტიან დირექტორს შეუძლია შეამჭიდროვოს და განამტკიცოს შედარებით სუსტი კოლექტივიც კი.

მომავალი თაობის აღზრდისათვის საჭიროა სკოლისა და მოსწავლეთა შშობლების კონტაქტი. აღზრდის საკითხი ყველაზე რთული, შრომატევადი, საინტერესო და მიმზიდველია, რაც აღმზრდელისაგან დიდ ცოდნას, გამოცდილებას, ტაქტს, კაცთმოყვარეობას, ხასიათის სიმტკიცეს და ნებისყოფას მოითხოვს. დიდი შრომისა და დახელოვნების გარეშე არ არსებობს წარმატება. სკოლამაც თავისი ღონისძიებანი ამ მიმართულებით უნდა წარმართოს.

სკოლის მდგომარეობა ქვეყნის მდგომარეობას გამოხატავს. უშინსკის ცნობილი გამოთქმა „როცა სკოლა მღერის, მაშინ ქვეყანაც ამღერდება“. სრული ჭეშმარიტებაა: ცხადია, რომ ის თაობა, რომელიც წელს პირველად მიუჯდება მოსწავლის მერხებს, 20—25 წლის შემდეგ მთელი ჩვენი ქვეყნის მაშოძრავებელი ძალა იქნება, როგორსაც გაზრდის, რა კეთილშობილურ იდეებსაც ჩაუსახავს მათ სკოლა და ოჯახი, იმასვე გაატარებენ და დანერგავენ ისინი პრაქტიკაში.

საინტერესო და ძნელი პროფესია

მასწავლებლის მუშაობის ობიექტი ბავშვია — თუ შეიძლება ასე ითქვას, არსებულ ყველა მანქანაზე რთული „მანქანა". მასწავლებელი თავისი აღსაზრდელის — ამ რთული მანქანის მხოლოდ ნაწილს ხედავს. სამწუხაროდ, მთლიანად მისი გაგება-დანახვა შეუძლებელია, რადგანაც თითოეულ ბავშვს საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული თავისებურება აქვს. მასწავლებლის ნათქვამს ყველა მოსწავლე ერთნაირად როდი აღიქვამს. აქ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უცქერის მასწავლებელს თითოეული მოსწავლე, აქვს მისი ნდობა თუ არა, რას მოელის მისგან: წახალისებას, მოფერებას, გაწყრომას, თუ საყვედურს. მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ განწყობაზეა ესა თუ ის მოსწავლე: კეთილი ბუდობს მის სულში, თუ ავი და ბოროტი.

მასწავლებელმა ყოველთვის ეს წინასწარ უნდა ამოიკითხოს ბავშვის თვალებში, მის გამომეტყველებაში, მის ჟესტს, დგომას დაუკვირდეს და იგრძნოს, თუ რა ხდება მოზარდის სულში, რა უჭირს, რა ახარებს და იმოქმედოს ამის მიხედვით. ზოგჯერ ხდება, როცა მასწავლებელი მოფერების მიზნით ხელს დაადებს თავზე მოსწავლეს, ზოგი მათგანი სიამოვნებას განიცდის ამ დროს, სახე გაებადრება, თვალები სიხარულით აევსება. ხოლო მეორე ასეთ შემთხვევაში შეიშმუშნება, სახეზე უსიამოვნება გამოეხატება, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე კეთილი მიზანი აქვს — მათი წახალისება. ამ მოვლენის ახსნა ძნელი არ არის, — პირველს უყვარს მასწავლებელი და ამიტომ მის კეთილ განზრახვაში ეჭვი არ ეპარება, მეორე კი ხშირად საყვედურს იმსახურებს. შეიძლება იმ დღეს დისციპლინაც დაარღვია, ან ორიანის მოლოდინშია და ამიტომ მოსაფერებლად გამოწვდილი ხელი შეურაცხმყოფელად ეჩვენება.

თუ მასწავლებელმა ყოველივე ეს წინასწარ ვერ იგრძნო, გაუძნელდება გზის გაკვლევა თავისი აღსაზრდელების გულებისაკენ.

მასწავლებელი მოსწავლეებთან გაკვეთილზე თუ გაკვეთილს გარეთ უნდა ამჩნევდეს მათი სულის ყოველ მოძრაობას, თვალის ერთი გადაველებით უნდა შენიშნოს, როგორ-განწყობაზე არიან მისი მოსწავლეები. თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული რაღაც უხარია, ან რამე აწუხებს, უნდა გაინაწილოს მათი სიხარულიც და მწუხარებაც.

მასწავლებელი რომ მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, გამუდმებით უნდა მუშაობდეს საკუთარ თავზე, მას ყოველთვის წარმატებით უნდა

შეეძლოს მონაწილეობა მიიღოს აღსაზრდელების საუბარსა და კამათში, იქნება ეს სკოლაში თუ სკოლის გარეთ. ამიტომ სპეციალურ საგანში მუშაობის გარდა, მასწავლებელი ფხიზლად უნდა ადევნებდეს თვალყურს ყოველდღიურ პრესას, სისტემატურად კითხულობდეს ჟურნალ-გაზეთებს, ეცნობოდეს ახალ მხატვრულ ლიტერატურას, დადიოდეს კინოში და თეატრში.

თუ მასწავლებელი სკოლაში სიყვარულით და ხალისით მოვიდა, თუ მას წინასწარ სწორად აქვს გათვალისწინებული ის დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა, რომელსაც დღეს უნდა შეუდგეს, თუ კარგად არის დაუფლებული თავის სპეციალობას, აქვს ფართო განათლება და საკმაო კულტურა, თუ არ არის ყოყოჩა და ყოვლისმცოდნეობაში ზედმეტად დარწმუნებული, თუ გრძნობს, რომ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს წიგნებიდან, ყოველდღიური პრესიდან, გამოცდილი პრაქტიკოსი კოლეგებისგან, — სკოლაში მუშაობა არ გაუძნელდება. ის ადვილად დაიმკვიდრებს მზარდი სპეციალისტის სახელს კოლექტივში.

წარმატებას ვერასოდეს მიაღწევს ის მასწავლებელი, ვისაც არ შეუძლია ობიექტურად შეაფასოს ყოველი თავისი წარმატება თუ წარუმატებლობა, ვერ მიაღწევს დიდ წარმატებას, თუ თავისი წარუმატებლობის მიზეზს ყოველთვის გარე სინამდვილეში ეძებს. ვერ დაიმსახურებს გულისხმიერი ამხანაგის და აღმზრდელის სახელს ის მასწავლებელი, ვისაც მახლობლის წარუმატებლობა გულს არ ატკენს და ამ გულისტკივილს ნამდვილად არ გაინაწილებს. დიახ, მასწავლებელს დიდი სულიერი სიმაღლე მოეთხოვება: ფართო, ღრმა განათლება და ნამდვილი უმწიკვლო ადამიანურობა. ამიტომ არის ეს პროფესია მეტად ძნელი, მაგრამ მეტად საინტერესო და საყვარელი, — რადგან შეგნება იმისა, რომ ზრდი მომავალ თაობას და საკმაო წარმატებაც გაქვს ამ უკეთილშობილეს საქმეში, უდიდეს სიამოვნებას და კმაყოფილებას ანიჭებს ადამიანს.

მასწავლებლის სამუშაო მეტად თავისებურია და საგრძნობლად განსხვავებული სხვა საქმიანობისაგან. ყოველი სუსტი ან საშუალო მასწავლებელიც კი გარკვეული წუნის მიმცემია სკოლისათვის და ეს წუნდებული პროდუქცია ადამიანია. წუნი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის აღზრდას რაღაც დავაკელით და მეტად მნიშვნელოვანიც. ვერ აღვუზარდეთ კეთილშობილური ჩვევები, ვერ შევაჩვიეთ ბრძოლას და სიძნელეების დაძლევას, ვერ მივეცით სასწავლო საგნებში მტკიცე ცოდნა, ვერ შევაყვარეთ წიგნზე მუშაობა და ვერ აღვუძარით მეცნიერებათა მწვერვალების დაპყრობის სურვილები. ყოველივე ეს კი დაღს ასვამს მის მომავალს.

ჩვენი მეურნეობის ყველა დარგში შესაძლებელია წარმატებით აკეთოს თავისი საქმე როგორც ძლიერმა, ისე საშუალო და სუსტმა მუშაკმა; სკოლაში კი არ არის უფრო ძნელი და უფრო ადვილი სამუშაო; იქ ყველა

სამუშაო ერთნაირად ძნელია და მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას, დახელოვნებულ სპეციალისტებს.

მუშას შეუძლია დღეს 2 საათის ნაცვლად იმუშაოს 4 საათი და ორჯერ მეტი სამუშაო შეასრულოს. ინჟინერს შეუძლია ზედმეტი ენერგია დახარჯოს და სამუშაო დროზე ადრე დაამთავროს. ასევე შეიძლება ითქვას სხვა დარგის მუშაკების შესახებაც. მაგრამ, თუ დღეს კლასს ცხრილით 6 გაკვეთილი აქვს, არ შეიძლება ის მე-7 ან მე-8 გაკვეთილზე დავტოვოთ, რადგანაც ამას ვერ აიტანს მოსწავლეთა გონება და შეთვისების ხარისხიც დაბალი იქნება. დღეს გასაკეთებელი აუცილებლად დღესვე უნდა გაკეთდეს, რადგანაც ხვალ ორივე ერთად ბავშვისათვის ძნელი იქნება. გაკვეთილისათვის გათვალისწინებული დროის ყოველი წუთი და წამი მტკიცედ არის განსაზღვრული და დატვირთული.

გარდა ამისა, როგორი დაწვრილებითაც არ უნდა ჰქონდეს მასწავლებელს დაგეგმილი გაკვეთილი, მაინც ბევრი გაუთვალისწინებელი რამ შეიძლება მოხდეს. არავინ იცის ზუსტად როგორი მომზადებული აღმოჩნდება კლასი, რამდენად საფუძვლიანად ექნებათ დაძლეული მასალა, რა სიძნელეები წარმოიშობა ახალი მასალის დამუშავების დროს, რა კითხვებს დასვამენ მოსწავლეები, ან რა არაწესიერ საქციელს გამოამჟღავნებს გაკვეთილზე რომელიმე მათგანი. ყოველივე ეს გაკვეთილის დამთავრებამდე უნდა მოგვარდეს... როგორ გაართმევს თავს ამ სიძნელეებს მასწავლებელი, ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამ სიძნელეების დაძლევა მასწავლებელმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეძლოს. ეს არის პედაგოგიური მუშაობის თავისებური სიმძიმეც.

რომელიმე წარმოების მიერ გეგმის შეუსრულებლობა ან წუნდებული საქონლის გამოშვება ადვილი შესამჩნევია. ამიტომ დამნაშავეც ადვილი მისაგნებია, ნაკლიც ადვილად გამოსწორდება. სკოლაში ასე არ არის. აქ ნაკლი ადვილად არ ჩანს. მისი წუნი წლების მანძილზე შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს და მხოლოდ მაშინ გამოირკვეს, როცა ადამიანი დამახინჯდება; მაგრამ პირადად ვინ, რომელი მასწავლებელი იქნება ამაში დამნაშავე, ეს შეიძლება საბოლოოდაც გაურკვეველი დარჩეს. ამიტომ უნდა სკოლას განსაკუთრებული მიდგომა.

ზოგიერთი სამუშაოს შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორი ხალისითა და სიყვარულით აკეთებს მუშაკი ამ საქმეს. მუშათა ბრიგადა გარკვეული დროის განმავლობაში დაცლის ვაგონს, გაიყვანს არხს და ამისთვის სათანადო გასამრჯელოს მიიღებს. შეიძლება ადამიანს იძულებითაც შევასრულებინოთ რაიმე სამუშაო და ხარისხიანადაც. ასე არ არის სკოლაში: მასწავლებელი, რომელიც უსულგულოდ მუშაობს გაკვეთილზე, ხშირად უცქერის საათს და მოუთმენლად მოელის გაკვეთილის დამთავრებას, მოსწავლეთა ყურადღებას ვერ დაიმსახურებს, ვერ დაინტერესებს, ვერ შეაყვარებს მათ საგანს. მოხდე-

ბა პირიქით,—მოსწავლეები მასწავლებელსაც შეიძულებენ და საგანსაც. არ კმარა დავალება კარგად გამოჰკითხო, ობიექტურად შეაფასო და ახალი მასალაც სწორად აუხსნა, საჭიროა ყოველივეს სიყვარულით აკეთებდე, რომ შენს ყოველ სიტყვაში მოსწავლეები სითბოს გრძნობდნენ. ესეც მასწავლებლის მუშაობის ხასიათის თავისებურებაა.

მასწავლებელმა რომ მასალა კარგად, თვალსაჩინოდ, საშუალო მოსწავლისათვის გასაგებად ახსნას, ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ისეთი გავლენა მოახდინოს მოსწავლეზე, რომ მან ყურადღებით მოისმინოს და ეცადოს ყოველივე გაიგოს, შეითვისოს. საკმარისი ესეც არ არის; საჭიროა ისე დაინტერესოს მოსწავლე, რომ მან სახლშიც წაიკითხოს ეს მასალა, დაისწავლოს, ან დაწეროს რაც დასაწერია. ძალდატანებით სწავლება მეტად ძნელია. აქაც თავისებურად რთულია მასწავლებლის საქმიანობა.

მოსწავლეთა გადატვირთვის ერთი მიზეზი

მოსწავლეთა გადატვირთვის და აკადემიური ჩამორჩენილობის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია მომთხოვნელობის შემცირება და დაუმსახურებლად გადაყვანა კლასიდან კლასში. ამას იწვევს შემდეგი გარემოება: მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თავისი განათლებით, მომზადების დონით, მეთოდური და აღმზრდელობითი ხერხების მომარჯვებით და პრინციპულობით არ დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც მათ მიეთხოვებათ; და არც გამოინახა მასწავლებლების მუშაობის შეფასების სხვა კრიტერიუმი გარდა იმისა, თუ რამდენად მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს იძლევა ის. ამ საკითხში ძირითადად აკადემიური მოსწრების ციფრებზე დაყრდნობა ერთგვარად ათანაბრებს სკოლას ქარხანასთან. მაგრამ ქარხანაში, ციფრი, რომელიც გვიჩვენებს ამ დაწესებულების მიერ გეგმის შესრულებას, სანდოა და ნამდვილ ვითარებას გამოხატავს. ქარხნის პროდუქცია მატერიალურია, შეიძლება მისი დათვლა, აწონვა და ხარისხის შემოწმებაც. სკოლა კი სხვაა. აქ გაცილებით ძნელია მიღებული შედეგის თვალსაჩინოდ დანახვა და შემოწმება. ამის გამო ერთგვარი გათანაბრება, ერთგვარი ამოცანებისა და მომთხოვნელობის წაყენება სკოლისა და ქარხნისათვის არ შეიძლება. ასეთი მოთხოვნა არც სამართლიანია და არც სასარგებლო.

სკოლის აკადემიური მოსწრების მაღალი მაჩვენებლები მეტად კარგი და საამაყოა, თუ ის რეალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არა თუ სასარგებლოა, პირიქით, ახალგაზრდობის დამღუპველია. მაგრამ ისე „სასურველია“ ეს მაღალი მაჩვენებლები, რომ ხშირად თვალს ვუხუჭავთ ფაქტებს და გვინდა ვირწმუნოთ ის, რაც სინამდვილეში არ არის.

ნათქვამია: „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალაო.“ სამწუხაროდ, ჩვენც ასე მოგვდის; რომელიმე შეუმოწმებელი ექსპერიმენტის მოჩვენებითი ილუზიებით მანამდე ვიტყუებთ თავს, სანამ ამ ექსპერიმენტის უარყოფითი შედეგები საგრძნობ ზიანს არ მიაყენებს სკოლას.

ერთხელ უარყოფილი პროცენტომანია, სამწუხაროდ, ისევ შემოვიდა სკოლაში და მას, როგორც წინათ, ახლაც მავნებლობის მეტი არა მოაქვს რა. სწავლა-აღზრდის საქმე ისე რთულია, ისე დიდ ცოდნასა და ენერგიის ხარჯვას, ისეთ უნარს, გამომგონებლობას და მოსწავლის სულის მამოძრავებელი მოტივების ცოდნას მოითხოვს, რომ დამსახურებულად მოწინავე მასწავლებლად გახდომა არც ისე ადვილია. მაგრამ, თუ მასწავლებელი პრინციპზე ხელის აღებას და პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებას შეურიგდა, მაშინ „მოწინავეობაც“ ადვილია. ამისათვის საკმარისია მასწავლებელმა შეამციროს მომთხოვნელობა, წეროს მაღალი ნიშნები დაუმსახურებლად და თავი გამოაცხადოს ასპროცენტიანი მოსწრების მასწავლებლად, ის უკვე „მოწინავეთა“ რიგებში მოექცევა. სკოლის დირექტორი მოუწოდებს თავისი სკოლის სხვა მასწავლებლებს — მიბაძონ მას.

ასეთ მდგომარეობას ადილად უღებენ ალღოს ზარმაცი და შეუგნებელი მოსწავლეები. ისინი გაკვეთილზე თამაშობენ, მასწავლებელს არად აგდებენ, არ უსმენენ და თავისთვის ერთობიან, მეოთხედის მანძილზე ორიანებს ღებულობენ, ხოლო მეოთხედის ბოლოს ერთ-ორ გაკვეთილს თვალს გადაავლებენ და ნიშნის გამოსწორებას სთხოვენ მასწავლებელს; უმეტეს შემთხვევაში მიზანსაც აღწევენ. მასწავლებელი უწერს მათ დამაკმაყოფილებელ ნიშანს და ისინიც კლასიდან კლასში გადადიან.

მოსწავლის ცოდნის შეფასებისადმი ასეთი მიდგომა სკოლასა და მასწავლებელს მომავალში დიდ სიძნელეს უქმნის. გამოდის, რომ შევამცირეთ მომთხოვნელობა და მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი ისე გადავიყვანეთ შემდგომ კლასში, რომ მათ სათანადო მომზადება და განვითარება არა აქვთ. თუ ასეთი მდგომარეობა შემდეგშიც გამეორდა, ორი-სამი წლის შემდეგ მივიღებთ ისეთ კლასს, რომელშიც ზოგიერთი მოსწავლე ერთი აკადემიური წლით მაინც იქნება ჩამორჩენილი თანაკლასელებზე საგნების ცოდნითა და საერთო განვითარებით. რა უნდა აკეთოს ასეთმა მოსწავლემ გაკვეთილზე? აკლია განვითარება, არ არის მიჩვეული ბეჯითობას, არ ყოფნის ნებისყოფა, რომ თავს ძალა დაატანოს და ყურადღებით მოუსმინოს მასწავლებელს.

მასწავლებლები ცდილობენ, ზოგი რამ მაინც გააგებინონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს. ამისათვის ახალი მასალის ახსნაზე მეტ დროს ხარჯავენ, ხუთი წუთის სამუშაოზე თხუთმეტ წუთს ჩერდებიან. ამით ბეჯითი და უფრო მშრომელი მოსწავლეები ისჯებიან, მათთვის გაკვეთილი მოსაწყენი ხდება. გარდა ამისა, მასწავლებელს დრო

აღარ ყოფნის, მასალას სათანადო მოცულობითა და სიღრმით ვეღარ ამუშავებს, გამოკითხვისას განკუთვნილი დროის საგრძნობი ნაწილიც ამ მოსწავლეებზე იხარჯება. მასწავლებელი ცდილობს, ორი სიტყვა მაინც ათქმევინოს, რომ სამიანი დაუწეროს როგორმე. ამისთვის იძულებული ხდება თვითონ უკარნახოს, ამხანაგების კარნახით ნათქვამიც ჩაუთვალოს და ასეთ ნაცოდვილარში დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაუწეროს. ამას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. უფრო კეთილსინდისიერი მოსწავლეები კონტროლის გარეშე რჩებიან. ასეთი მუშაობით ვერც ზარმაც მოსწავლეს ეუწევთ რეალურ დახმარებას და კლასის მომზადების დონეც საგრძნობლად ქვეითდება.

მოსაზრება, ახალი მასალა გაკვეთილზე ისე უნდა დამუშავდეს, რომ შინ მოსწავლემ ცოტა დრო მოანდომოს მის შესწავლას, სრულიად მიუღებელია. პირიქით, ამ აზრის პრაქტიკაში დანერგვა სკოლას ზიანს მოუტანს. სავსებით გადაღეჭილი მასალის მიწოდება მოსწავლეებში არავითარ კვალს არ ტოვებს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი წიგნსაც არ გადაშლის, — ვიცი, — იტყვის. ამგვარად, მოსწავლეებს წიგნზე მუშაობას გადავაჩვევთ და როცა ზეპირად ნასწავლი მასალა დაავიწყდება, მის აღდგენას ვეღარ შეძლებს. სწავლებაში ანბანურ ჭეშმარიტებად უნდა იქნას მიღებული დებულება: მასწავლებელი ახალ მასალას ხსნის, მოსწავლე ამ მასალას შეგნებულად, გააზრებულად ამუშავებს, სწავლობს სახელმძღვანელოსა და ზოგჯერ სხვა დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით, ეუფლება მას ისე, რომ ეს მასალა თხრობით გადასცეს სხვას. მიზანი კი ერთი უნდა იყოს: მოსწავლემ გაიმდიდროს გონება ახალი საკითხების ცოდნით, ისწავლოს წიგნზე მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად მოძებნოს და შეარჩიოს საინტერესო და საჭირო საკითხები.

ამიტომ ახალი მასალის ახსნის დროს მასწავლებელი მიზნად უნდა ისახავდეს გაუადვილოს მოსწავლეებს ამ მასალის შეგნებულად გაგება. მის დასწავლაში კი მოსწავლეს ვერავინ შეეშველება.

კლასის საერთო განვითარების დონის დადაბლება ხელს უწყობს მოსწავლეთა გადატვირთვას. როცა კლასში მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს მათთვის საჭირო და აუცილებელი განვითარება აკლია, მაშინ მათ დავალების შესასრულებლად გაცილებით მეტი დრო ეხარჯებათ. მაგალითად: ისტორიაში დავალების ერთ-ორჯერ წაკითხვის ნაცვლად სამოთხჯერ წაკითხვა სჭირდებათ; ვისაც ლექსის დაზეპირების ჩვევა აკლია, მას გაცილებით მეტი დრო სჭირდება ამ დავალების შესასრულებლად, ვისაც მათემატიკური გარდაქმნები კარგად შეთვისებული არა აქვს, ის მაგალითის ამოხსნის დროს წვალობს. დაუშვებს რომელიმე გარდაქმნაში შეცდომას და პასუხს ვეღარ იღებს, იწყებს შეცდომის ძებნას, ან მაგალითს ხელმეორედ გამოყვანას; მაგრამ ვინც ამ გარდაქმნებს კარგად

არის დაუფლებული, იმისთვის დავალება მეტად ადვილია და მისი ამოხსნაც ცოტა დროს მოითხოვს.

ერთი სიტყვით, იქ სადაც დავალების შესრულებისთვის ნორმალურ მდგომარეობაში ორი-ორნახევარი საათია საჭირო, მოსწავლეს სამი-ოთხი საათი ეხარჯება. გამოდის, თითქოს დავალებას ზომაზე მეტს ვაძლევთ, სინამდვილეში კი დავალება საკმაოდ ზომიერია. ფაქტია, რომ მოსწავლე გადატვირთულია, მაგრამ ამ საკითხის მოსაგვარებლად დავალების მოცულობის შემცირება არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ღონისძიებად. საჭიროა ჩამორჩენილი მოსწავლეები ვამუშაოთ როგორც კლასში, ისე შინ, რათა ამაღლდეს მათი მომზადების დონე და გამოუმუშავდეთ დავალების ადვილად დაძლევის ჩვევები.

შექმნილი მდგომარეობა სასწავლო საგნების საათობრივ გადატვირთვასაც იწვევს. ასეთ პირობებში მასწავლებლები ვეღარ ახერხებენ განკუთვნილ საათებში ჩატევას და მოითხოვენ, რომ კვირეული საათების რაოდენობა გაუდიდდეთ, რადგანაც საპროგრამო მასალის გავლა ძალიან უჭირთ. სრულიად ბუნებრივია, რომ, თუ მასწავლებელმა თითოეულ აკადემიურ საათში ვერ დაამუშავა მასალა, რომელიც გეგმით არის გათვალისწინებული, მაშინ ის ჩამორჩება და წლიურ გეგმას ვერ შეასრულებს. ამგვარად, სასწავლო გეგმები მართლაც გადატვირთული გამოდის. ზემდგომი ორგანოები იღებენ მხედველობაში შექმნილ ვითარებას და ერთგვარ დათმობაზე მიდიან. ამის გამო უფროს კლასებში დღიური საათების რაოდენობა ექვსი და შვიდი გამოდის. მაგრამ ეს ღონისძიება მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ეს არის ავადმყოფობის დროებით გამაყრუებელი წამალი და არა მისი გამკურნავი. ყველა მოსწავლე რომ დამსახურებულად გადაგვყავდეს კლასიდან კლასში და ყველა დაწერილი ნიშანი „3“, „4“ და „5“ ზუსტად განსაზღვრავდეს მოსწავლის შესაფერის ცოდნასა და მომზადებას, მაშინ კვირეული 30 აკადემიური საათი სავსებით საკმარისი იქნებოდა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ყოველ კლასში და არცერთი საგნის მასწავლებელი არ იქნებოდა უკმაყოფილო საათების სიმცირით.

მაგრამ რაკი მოსწავლეთა ამუშავება ვერ შევძელით, ვერ აღვუძარით სიყვარული შრომისადმი, ვერ დავაინტერესეთ, ვერ შევაჩვიეთ კლასში ახსნილი მასალის ყოველთვის ყურადღებით მოსმენას და შინ დავალების კეთილსინდისიერად მომზადებას, ჩვენვე მივდივართ კომპრომისზე, მოსწავლის ტვირთის გარკვეულ ნაწილს ჩვენვე ვკისრულობთ. სწორედ ამ მოტივით უნდა იყოს უმთავრესად ნაკარნახევი მოსწავლეთა განტვირთვა და ამ მოსაზრებით საშინაო დავალების მოცულობის შემცირება.

ზედმეტი მეცადინეობა მოსწავლისათვის მავნეა და ჯანმრთელობისთვის საზიანო, ეს ფაქტია, მაგრამ სად მთავრდება დატვირთვა და სად იწყება გადატვირთვა, მეტად ძნელი გასარჩევი ხდება.

მოსწავლემ 6 გაკვეთილის განმავლობაში უნდა უსმინოს მასწავლებელს, რაც 4 სთ. და 30 წუთს შეადგენს. საშინაო დავალების შესრულებისათვის კი 3—4 საათი სრულიად საკმარისია, თუ ის სისტემატურად მუშაობს ამ დავალებებზე სახლში და სკოლაშიც მასწავლებელსაც ყურადღებით უსმენს. თუ ამ დროს ძილისთვის საჭირო 7—8 საათს დავუმატებთ მივიღებთ, რომ მოსწავლეებს კიდევ რჩებათ დღეღამეში 8—9 საათი დასვენების, გართობის, ფიზიკური ვარჯიშისა და თვითგანვითარებისათვის, რაც სრულიად ნორმალურია.

როგორ მუშაობდნენ თავის თავზე ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები: მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც გარკვეული კვალი დააჩნიეს მშობლიურ მეცნიერებას, აზროვნებას? ვითომ წუთობით უზომავდა მას სამუშაო დროს მშობელი ან მასწავლებელი? იქნებ გვკითხონ: ყველა ხომ დიდი მეცნიერი ან საზოგადო მოღვაწე ვერ გამოვაო? პასუხი მხოლოდ ერთია: — ჩვენ ყველანი დიდი მიზნისთვის უნდა ვამზადოთ, ყველას უნდა შევაყვაროთ შრომა. რომელი მათგანი მიაღწევს მწვერვალებს და რომელი ვერა, ამას ცხოვრება დაგვანახებს.

საშინაო დავალებებზე ხელის აღება არ შეიძლება, რადგანაც ეს მუშაობა ისევე აუცილებელი და საჭიროა, როგორც სკოლაში გაკვეთილებზე მუშაობა. მასწავლებლის დახმარების გარეშე მოსწავლე მასალას ვერ გაიგებს, ხოლო თუ ის სახლში გაკვეთილს თვითონ არ დაამუშავებს, ისე ცოდნასა და განვითარებას ვერ მიიღებს.

სწავლა-აღზრდის საქმეში არ არსებობს სავალდებულო რეცეპტები და ტრაფარეტები, რომელთა გამოყენებაც ყველა მასწავლებლისათვის ერთნაირ დადებით შედეგს იძლეოდეს. ლაპარაკი უნდა იყოს სასურველ რეცეპტებზე, ხოლო რომელ მათგანს აირჩევს, ეს თვით მასწავლებელზე უნდა იყოს დამოკიდებული. ისე როგორც კარგი იარაღით ცუდი დურგალი მოხდენილ ავეჯს ვერ დაამზადებს, ასევე კარგი და მოწინავე მეთოდით სუსტი მასწავლებელი კარგ გაკვეთილს ვერ ჩაატარებს, თუ ეს მეთოდი მას პირადად არ მოეწონა და არ შეიგუა.

მოსწავლის თხრობას გულდასმით უნდა მოვუსმინოთ, ვაცალოთ დინჯად ჩამოაყალიბოს მასალა, შევუსწოროთ მსჯელობაში დაშვებული შეცდომები. და ბოლოს, დავარწმუნოთ იმ ნიშნის სისწორეში, რომელსაც ვუწერთ. აღმზრდელობითი თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია მოსწავლე დარწმუნდეს რომ მისი ცოდნა მასწავლებელმა ობიექტურად შეაფასა, რომ ის ამ მხრივ თავს დაჩაგრულად, შეურაცხყოფილად არ გრძნობდეს, რომ მასწავლებელმა მას განუმარტა, თუ რა ხარვეზები ჰქონდა მის თხრობას, რომელი საკითხი ვერ გააშუქა ამომწურავად; რომ მოუწონა კიდეც თხრობის ის ადგილები, რომლებიც მან კარგად ჩამოაყალიბა და საბოლოოდ შეაჯამა დადებითი თუ უარყოფითი და სა-

მართლიანად არ დაუწერია უმაღლესი ნიშანი. ამის შემდეგ მას უფრო ნათლად ეცოდინება, როგორ უნდა მოამზადოს დავალება, რომ უმაღლესი შეფასება დაიმსახუროს.

განვიხილოთ სხვა შესაძლებელი შემთხვევა: საპასუხოდ გამოდის მოსწავლე, რომელსაც დავალება არ აქვს მომზადებული და ცდილობს ორიანიც არ მიიღოს. მისი მიზანია როგორმე გამოსძალოს მასწავლებელს დამაკმაყოფილებელი ნიშანი, რომ მეოთხედის ბოლომდე სახელმძღვანელო არ გადაშალოს და ამ საგანში დავალებაზე აღარ იფიქროს. ერთი მხრივ ამხანაგების და, მეორე მხრივ, იმ იმედით, რომ მასწავლებელი მისგან ბევრს არ მოითხოვს, იგი თამამად გამოდის საპასუხოდ. დავალების მწყობრად მოყოლა მას არ შეუძლია და ელოდება მასწავლებლის კითხვებს. იმეორებს თითოეულ კითხვას რამდენჯერმე, თითქოს მოგონებას ცდილობს, სინამდვილეში კი ელოდება ვინმემ უკარნახოს და მან თუთიყუშივით გაიმეოროს. მასწავლებელი დარწმუნებულია უკვე, რომ მოსწავლემ ვაკვეთილი არ იცის და ის „2“-ს იმსახურებს. მაგრამ მოსწავლე სთხოვს, ედავება, ვიცი გაკვეთილი, კიდევ მკითხეო. მასწავლებელი ისეთ კითხვას აძლევს, რომელიც ნახევრად პასუხს შეიცავს და „3“ უწერს. გამოდის რომ მეთოდურად სავსებით გამართლებული ღონისძიება მასწავლებლის სისუსტის გამო, სრულიად საწინააღმდეგო, მავნე შედეგს იძლევა. თუ მოსწავლე თაღლითობს, არ მოუმზადებია დავალება და მაინც ამბობს ვიცი, მასწავლებელს დროს უშედეგოდ აკარგვინებს და ამით ხელს უშლის ახალი მასალის საფუძვლიანად დამუშავებას, აღარ არის საჭირო მის ამგვარ „პასუხს“ ყური ვუგდოთ და ველოდოთ როდის იტყვის —გაკვეთილი არ ვიცი. ასეთი მოსწავლე დროულად უნდა დავსვათ ადგილზე და სათანადო ნიშანიც დავუწეროთ. შეიძლება ის უკმაყოფილო დარჩეს, გვისაყვედუროს, მაგრამ თუ ამ ხანაგებში თანაგრძნობა ვერ იპოვა, თუ მათ დასვენებაზე მაინც უთხრეს, არ იცოდი გაკვეთილი (მასწავლებლის მიზანი ყოველთვის ის უნდა იყოს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ემხრობოდეს), ის ადვილად დაწყნარდება.

მოსწავლეთა გადატვირთვის, მათი დაბალი აკადემიური მაჩვენებლების და სასწავლო გეგმების გადატვირთვის რამდენიმე მიზეზი უკვე დავასახელეთ. ყველა ზემოჩამოთვლილი მიზეზი ერთი უმთავრესი მიზეზიდან გამომდინარეობს. ეს მიზეზი არის მომთხოვნელობის შესუსტება და მოსწავლეთა კლასიდან კლასში დაუმსახურებლად გადაყვანის ხშირი შემთხვევა. აქედანვე გამომდინარეობს ზოგი მასწავლებლის ცდა დაუმსახურებლად გახდეს მოწინავე, ყალბი მაჩვენებლების მიცემით. ასეთ მასწავლებლებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, რადგანაც ისინი უდიდეს ზიანს აყენებენ სკოლას. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ მისწრაფება მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისადმი კვლავ არ წახალისდეს.

ამისათვის საჭიროა გულდასმით ვამოწმოთ, როგორც დაბალი, ისე მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე მასწავლებლები. დაწვრილებით შევისწავლოთ მათი მუშაობა, ვამხილოთ სუსტი, თვალის ამხვევი და ვაქოთ ის, ვინც ამას ნამდვილად იმსახურებს.

ხშირად მიდიან ორიანის გარეშე მომუშავე მასწავლებლებთან მეთოდისტები, ინსპექტორები, სხვა სკოლის მასწავლებლები, მიდიან იმისთვის, რომ გაიგონ, თუ როგორ მიაღწია ამ მასწავლებელმა ასეთ მაჩვენებლებს, მაგრამ ავიწყდებათ იმის გამორკვევა, მიაღწია საერთოდ რაიმე სასურველს, თუ არა.

რაც ადრე მოვსპობთ გაყალბების ცდებს, მით უკეთესი იქნება სკოლისთვის, რადგანაც შესაძლოა მათ მიმდევარი გამოუჩნდეს ისევ სუსტ მასწავლებლებში. ძლიერი, კარგი მასწავლებელი კი ამას არ იკადრებს, მას საქმის სიყვარული უორკეცებს ენერგიას და პირად ინტერესებზე ზრუნვას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ასეთი მასწავლებელი ენერგიას და დროს არ იშურებს, რათა მოსწავლეებს მეტი ცოდნა მისცეს. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: მოვსპოთ მოსწავლის დაუმსახურებლად, სათანადო განვითარებისა და მომზადების გარეშე კლასიდან კლასში გადაყვანის შემთხვევები. მარტო ეს ღონისძიებაც კი საგრძნობლად შეამსუბუქებს იმ ტვირთს, რომელიც საკმაოდ მძიმედ ეჩვენება დღეს მოსწავლესაც და მასწავლებელსაც.

ზედმეტი მზრუნველობის უარყოფითი გავლენა

ყველა მშობელს ერთნაირად სურს კარგი, დადებითი ჩვევებითა და ცოდნით შეიარაღებული შვილი აზღარდოს, მაგრამ ბევრმა მათგანმა არ იცის როგორ განახორციელოს ეს. ან იცის და ვერ ატარებს პრაქტიკაში. ყველა მშობელს უყვარს შვილი და ზრუნავს მის წესიერ აღზრდაზე, მაგრამ ხშირად თავისი სურვილის საწინააღმდეგო შედეგს ღებულობს.

ნათქვამია: ადამიანს შეუძლია სხვას ასწავლოს მხოლოდ ის, რაც თვითონ კარგად იცის, ამიტომ მასწავლებლის ხელობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ კონტროლი გაუწიოს ბავშვის აღზრდის პირობებს ოჯახში და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო გავლენა მოახდინოს მშობლებზეც.

ამ ხნის მანძილზე ეს საკითხი საკმაოდ მომწიფდა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. შეიქმნა დიდი პედაგოგიური და მხატვრული ლიტერატურა, მომრავლდნენ მაღალკვალიფიციური კადრები. სწავლა-აღზრდის საქმე საერთო საქმედ გამოცხადდა და მისი უშუალო ხელმძღვანელობა პარტიამ და მთავრობამ აიღო ხელში.

რაც მთავარია, ამაღლდა მშობლების წიგნიერება და საერთო კულტურა.. მაგრამ გაჩნდა ახალი სიძნელე. ვინც საშუალო ან უმაღლესი განათლება მიიღო, ყველა აღზრდის სპეციალისტად თვლის თავს და შვილებს თავისებურად მზრუნველობს. ავიწყდებათ, რომ ეს ცალკე, დამოუკიდებელი მეცნიერებაა და მას სპეციალური შესწავლა სჭირდება. მშობლები ხშირად უხეშად ერევიან მასწავლებლის საქმიანობაში. ეს საკითხი შენს მასწავლებელზე ნაკლებად არ მესმისო, — ხშირად ეუბნებიან შვილებს. უმაღლესი პედაგოგიური განათლებაც რომ ჰქონდეს და მასწავლებლადაც მუშაობდეს, როცა მშობელი თავის შვილის მასწავლებელთან მიდის, იმ მომენტში მხოლოდ მშობელია და არა მასწავლებელი. მას შვილის ორმოცი თანაკლასელიდან მხოლოდ ერთი აინტერესებს, მხოლოდ ერთ მათგანზე, შვილზე არის პასუხისმგებელი, მასწავლებელი კი — თითოეულ მათგანზე.

როგორ იქცევა ბავშვი გაკვეთილზე, როგორი ყურადღებით უსმენს მასწავლებელს, რამდენად აინტერესებს ის მასალა, რომელსაც მასწავლებელი აწვდის, როგორ უნარს იჩენს გაკვეთილის მსვლელობაში; როგორია ის მოსწავლეთა კოლექტივში, რამდენად გულისხმიერია ამხანაგებისადმი და სარგებლობს თუ არა ავტორიტეტით, როგორ ინტერესს იჩენს საზოგადოებრივ საქმიანობაში—ყოველივე ამას ხედავს და ყოველდღიურად გრძნობს მასწავლებელი. ამიტომ ყველაზე კარგად მან იცის მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და ისიც, თუ რა დახმარება სჭირდება მას. მშობელმა გულდასმით უნდა მოუსმინოს მასწავლებელს, გაუზიაროს თავისი აზრი შვილზე და მასწავლებელთან შეთანხმებით დასახოს ღონისძიებანი.

ზოგიერთი მშობელი ხშირად არც კი უსმენს მასწავლებელს, რომელიც შვილის შესახებ ესაუბრება. ის შვილისაგან მიღებული ინფორმაციის შედეგად წინასწარ მომზადებული მიდის სკოლაში, ცდილობს თვითონ ელაპარაკოს, გააცნოს მასწავლებელს შვილის თავისებურება, როგორი ნიჭიერია და რაში გამოიხატება ეს ნიჭი. და, რაც ყველაზე მთავარია, აფრთხილებს მასწავლებელს, რომ მის შვილზე მხოლოდ მოფერება სჭრის, რომ ის თავისებური ბავშვია, და თავისებურ, ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს. თუ იმასაც წარმოვიდგენთ, რომ სხვა მშობლებიც ასეთსავე საუბრებს უტარებენ მასწავლებელს და ასეთსავე განსაკუთრებულ სიყვარულსა და ყურადღებას მოითხოვენ შვილისადმი, მაშინ ადვილად ვიგრძნობთ იმ სიძნელეებს, რომლებსაც ასეთი მშობლები უქმნიან აღმზრდელს. გამოდის, რომ ზოგიერთი მშობელი არ კმაყოფილდება ბავშვის სახლში განებივრებით და იგივეს მოითხოვს მასწავლებლისაგანაც.

გადაჭარბებული სიყვარული, გაუმართლებელი შებრალება და პასუხისმგებლობის მოხსნა არის მთავარი ბოროტება, რაც აუცილებლად

უნდა დასძლიოს სკოლამ, მშობლებმა და საზოგადოებამ. ხშირად ნახავთ ქუჩაში, რომ მილიციელი შენიშვნას აძლევს ბავშვს, უწყრება, ან აჩერებს და მოსწავლის მოწმობას სთხოვს. ბავშვი ძალადობს, სურს გაითავისუფლოს თავი და ტირის. გამვლელნი, ვითომ ბავშვისთვის სიკეთე სურთ, ექომაგებიან მას და ედავებიან მილიციელს. ამ შემთხვევაში საზოგადოება ცდება. გაუმართლებელი გამოსარჩლებით გათამამებულმა ბავშვმა შეიძლება მეორე შემთხვევაში უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინოს. გამვლელებს რომ ეცლიათ, მილიციელი ბავშვს მოსწავლის მოწმობას ჩამოართმევდა და სკოლას გადაუგზავნიდა. ამით ბავშვის ცუდი ქცევა ცნობილი გახდებოდა სკოლისა და მშობლებისათვის და შესაძლოა მათი სათანადო რეაგირებით ბავშვი სწორ გზაზე დაგვეყენებინა. მეორე მხრივ, შესაძლებელია ასეთი გამოსარჩლებით წათამამებულმა ბავშვმა ქუჩაში ცელქობას და მოძრაობის წესების დარღვევას უმატოს, რაიმე ხიფათს გადაეყაროს. ღონისძიებანი, რომლებსაც მილიციელები ქუჩაში ატარებენ, პროფილაქტიკაა და ამ კეთილშობილურ საქმიანობას საზოგადოებამ ხელი არ უნდა შეუშალოს.

„საერთოდ, ადამიანისაგან უნდა მოვითხოვოთ, მოვითხოვოთ, მოვითხოვოთ!" — გვასწავლის ა. ს. მაკარენკო. შემდეგ ავითარებს ამ აზრს და დაასკვნის: „არ შეიძლება იყოს აღზრდა, თუ არ არის მომთხოვნელობა". ამ მოთხოვნას ჩვენ ვერ ვიცავთ ვერც ოჯახში და ვერც სკოლაში. სკოლის ხელმძღვანელობას ეს მოთხოვნა ხშირად მოსწავლის ნაცვლად მასწავლებელზე და განსაკუთრებით კლასის ხელმძღვანელზე გადააქვს. მაგალითად, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე არ დარჩა კონსულტაციაზე, არ გამოცხადდა სასკოლო ფიზვარჯიშზე. გააცდინა გუნდის მეცადინეობა, ან მასზე საყვედური გამოთქვა საგნის მასწავლებელმა, — სკოლის დირექტორი იბარებს კლასის ხელმძღვანელს და ავალებს მოიყვანოს ამ ბავშვის მშობელი. მთელი დღის შრომით დაღლილი მასწავლებელიც მიდის გაკვეთილების შემდეგ მოსწავლის მშობლების საძებრად; მოსწავლემ სასკოლო ბიბლიოთეკას წიგნი დროულად არ დაუბრუნა, ბიბლიოთეკარი კლასის ხელმძღვანელს სთხოვს მოატანინოს ბავშვს წიგნი. უფროსი, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებსაც კლასის ხელმძღვანელი უნდა წაყვეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში სპექტაკლზე. ამის შესახებ მას ხელის მოწერით აფრთხილებს დირექცია. კლასის ხელმძღვანელს ევალება, სპექტაკლის მიმდინარეობის დროს მოსწავლემ წესრიგი არ დაარღვიოს. კლასის ხელმძღვანელი უნდა ეჯდეს მოსწავლეებს გვერდით, საჭიროების შემთხვევაში კი შენიშვნა მისცეს. პედთათბირებზე და საბჭოს სხდომებზეც კლასის ხელმძღვანელს კიცხავენ, ფრიადოსანმა მოსწავლემ რომ „4" მიიღო ამა თუ იმ საგანში, შენ რა ზომები მიიღე, ან ეს როგორ დაუშვიო. ერთი სიტყვით, ყველაფერი ევალება და მოეთხოვება მასწავლებელს და ძლიერ

ცოტა — მოსწავლეს, რადგანაც მასწავლებელზე ზომების მიღება ადვილია, მოსწავლეზე კი უფრო ძნელი.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ა. ს. მაკარენკოს მოთხრობა „ექიმი". კოლონიაში მილიციელმა მას მიუყვანა წესრიგის დამრღვევი, ქურდობისათვის პატიმრობაში ნამყოფი 16 წლის ვასკა კორნეევი. მაკარენკოს წინადადებაზე — დარჩი კოლონიაში, შრომას შეეჩვევი და კაცი გამოხვალო — ვასკას გაეცინა. ეტყობოდა მეტად ეშმაკი, გამოცდილი და „ბევრის" მნახველი იყო. — ფეხსაცმელების კერვა, წერა ან მჭედლობა უნდა მასწავლოთ, — რა საჭიროა, ამბობდა ახალგაზრდა.

— ექიმი, მფრინავი შეიძლება გამოხვიდეო — უთხრა მაკარენკომ. მაგრამ ვასკა არც ამან მოხიბლა. კოლონიაში დარჩა ორი თვე, მუშაობდა ცუდად, ზარმაცი იყო. შემდეგ გაქურდა სახელოსნო და თვალს მიეფარა. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მიიყვანა მილიციელმა კოლონიაში და დატოვა. როგორც კი წავიდა მილიციელი, კორნეევი დაუდგა წინ ა. ს. მაკარენკოს და შესაბრალისი სახე მიიღო, თითქოს დიდად დარცხვენილი იყო და გმობდა თავის საქციელს, მაგრამ მაკარენკომ არც კი შეხედა, ცივად მიატოვა კორნეევი და აივანზე გავიდა. ვასკას ოინებმა აღარ გასჭრა. მის „მსახიობობას", რომელიც ყოველთვის სჭრიდა, აქ არავითარი წარმატება არ ხვდა, რასაც ალბათ, ის სრულიად არ მოელოდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ შეაღო კარი კორნეევმა და ისევ დაუდგა წინ ა.ს. მაკარენკოს. „ამხანაგო გამგეე! გახსოვთ რომ მითხარით ექიმი გამოხვალთო, გახსოვთ?... ამხანაგო გამგეე! ვიყო მე ქვეწარმავალი, ცხრად გავიკრები... რაც გნებავს! მიწის ჭამას დავიწყებ და ექიმი გავხდები". თან ბოდიშს იხდიდა სახელოსნოს გაქურდვისათვის. პედაგოგმა ყური მოუგდო. მის ხმაში ყალბი ტონი აღარ ისმოდა. „მე მიცქერდნენ მგზნებარე და დაძაბული თვალები ადამიანისა," — წერს მაკარენკო „წადი დასაძინებელ ოთახში," — უთხრა მან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნება მისცა კორნეევს დარჩენილიყო კოლონიაში.

საკუთარი დასაშვებად მიმაჩნია, რომ მე მას მეტად ვძულდი აღებული მძიმე ვალდებულებისათვის, ამიტომ არ მიახლოვდებოდა, არ იყო გულახდილი ჩემთან, რაღაც გამირბოდაო, — წერს ა. ს. მაკარენკო. უკვე სამედიცინო ინსტიტუტის პირველკურსელი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ისე, რომ თვალებში არ შემოუხედავს: „აღარ შემიძლია, ძალა არ მყოფნის, სულერთია ვერ გავუძლებ. მომიხდება ინსტიტუტის მიტოვება. 'მე უხმოდ ვუცქერდი მას. ფიქრებში წასული საკმაოდ შეკუოვნდი და შემდეგ მოკლედ მივუგე: „არა! ინსტიტუტს შენ დაამთავრებ"! ის წავიდა ჩემგან მოწყენილი, დამძიმებული გუნებით და მე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ დანაშაული არ ჩავიდინეო," — ამბობს ა. ს. მაკარენკო.

კორნეევმა დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი. ბოლოს წერილიც მივიღე. ბოდიშს იხდიდა კავშირის შეწყვეტის გამო და მატყობინებდა:

„მე ეხლა გამარჯვებული ვარ, მხიარული განწყობილება მაქვს. ხასანის ბრძოლებში მივიღე მონაწილეობა. ჩემზე ამბობენ, რომ კარგი ქირურგი ვარ“ და მადლობას მიხდიდა ყურადღებისა და მზრუნველობისთვის“.

თავიდან კორნეევს, ალბათ, ნამდვილად სძულდა ა. ს. მაკარენკო იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა, როგორც ძლიერი ბუნების ადამიანმა, სძლია მას და აიძულა ნებაყოფლობით აეღო ხელი თავის ძველ საქმიანობაზე და ჩაბმულიყო ახალი ცხოვრების ფერხულში, რომელიც ნებისყოფისა და ენერგიის დიდ დაძაბვას მოითხოვდა მისგან. ყველაზე მეტად ის აწუხებდა კორნეევს, რომ მისი ყოველი ოინი, რომელიც ადვილად სჭრიდა სხვებთან, მაკარენკოსთან აღარ გამოდგა. ა. ს. მაკარენკომ ადვილად იცნო ის და სწრაფი და გადამწყვეტი რეაგირება მაშინვე მოახდინა. სადაც გინდა იქ წადი, მე არ მენაღვლებაო,— უთხრა. ეს კი კორნეევისათვის სრულიად მოულოდნელი იყო. ასეთი შემთხვევისათვის ის მომზადებული არ იყო და ამიტომ პასუხიც არ ჰქონდა გათვალისწინებული. იგულისხმება, რომ უკანასკნელი სიტყვები დამაჯერებლად უთხრა და დაარწმუნა კორნეევი, რომ იმისი ბედი მასწავლებელს აღარ აინტერესებდა. ა. ს. მაკარენკომ ამ შემთხვევაში მტკიცედ გადაწყვიტა, თუ კორნეევი ჩვეულებრივ თვალთმაქცობასა და მოტყუებაზე ხელს არ აიღებდა და გულწრფელი არ გახდებოდა, მაშინ მის კოლონიაში მიღებას აზრი არ ჰქონდა და ამიტომ სჯობდა მისი ინტერესი შეეწირა კოლექტივის ინტერესებისათვის. ეს სწრაფად იგრძნო კორნეევმა და თავისდაუნებურად განიმსჭვალა სურვილით, დაემტკიცებინა მაკარენკოსათვის, რომ ის არ ტყუის, რომ მას ნამდვილად სურს ახალ გზაზე დადგომა. ეს ახალი ნოტები კორნეევის ხმაში ა. ს. მაკარენკომ ადვილად გამოიცნო და მას უფლება მისცა დარჩენილიყო კოლონიაში.

ბუნებრივია, რომ არ ეყვარებოდა ამის შემდეგ კორნეევს ის ადამიანი, რომელმაც მას ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ააღებინა ხელი ძველ საქმიანობაზე და ჩააბა მეტად მძიმე, მისთვის სრულიად უჩვეულო, მაგრამ სასარგებლო საქმეში. კორნეევს მისივე სურვილით ნაკისრი ვალდებულება აიძულებდა გაეძლო ამ შრომისთვის. ამის მიზეზი კი ა. ს. მაკარენკო იყო. ცხადია, კორნეევს გარკვეული სიმპატიაც უნდა გასჩენოდა მისდამი, როგორც ძლიერის, მისი მძლეველი ადამიანისადმი. კორნეევის წარმატებებთან ერთად ეს სიმპატიის გრძნობა თანდათან გაიზრდებოდა, როცა მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახალ გზაზე, როცა სძლია სიძნელე და ექიმის წოდებაც მოიპოვა, არ შეიძლება პატივისცემის გრძნობით არ ავსებულიყო თავისი მსხნელის ა. ს. მაკარენკოს მიმართ. სწორედ ასეც მოხდა, თავისი უდიდესი წარმატებით გამოწვეული სიხარული მაშინვე გაუზიარა მას.

ეს იყო კორნეევის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გამართლებული გზა, რაც კარგად უნდა გაითვალისწინონ აღმზრდელებმა,

მზრუნველობასა და სიყვარულშიც საჭიროა გარკვეული დოზირების დაცვა", — გვასწავლის იგივე ადამიანი, დიდი პედაგოგი ა. ს. მაკარენკო. როგორც ყოველი წამალი გადიდებული დოზით შეიძლება საწამლავად იქცეს, ისევე ზედმეტი ყურადღებითა და განუსაზღვრელი პატიებით შეიძლება მტრობა გავუწიოთ იმას, ვისთვისაც ნამდვილად სიკეთე გვინდა.

ახლა ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ კორნეევი რამდენიმე თვის წანწალის შემდეგ ხელმეორედ მოიყვანეს ჩვენს რომელიმე ინტერნატში, სადაც ადმინისტრაცია და აღმზრდელთა კოლექტივი უფრო „შემბრალეა", რომელთაც თითქოს უფრო „უყვართ" ბავშვიც და მისი ბედიც მეტად აინტერესებთ. ის რა თქმა უნდა დაფლეთილი, ჭუჭყიანი და გაუკრეჭავი იქნებოდა. მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ძლიერ შეებრალებოდათ. ზოგს შეიძლება თვალებზე ცრემლიც მოსდგომოდა და თავის ასეთ განწყობას დაანახვებდნენ კორნეევს. შეიძლება დირექტორი ცოტა გაჯავრებულიყო, მაგრამ გუნებაში მასაც ესიამოვნებოდა კორნეევის მობრუნება: ერთი განთესილი მოსწავლე მომაკლდება, ესეც საქმეაო, — იფიქრებდა და აღმზრდელ მასწავლებელთა თხოვნაზე ისიც „მოლბებოდა". კორნეევს დიდი გაფრთხილებისა და „პატიოსანი" სიტყვის ჩამორთმევის შემდეგ მიიღებდნენ. მაგრამ კორნეევისათვის ყოველივე ეს უბრალო გასართობი იქნებოდა, რომელზედაც თავისუფალ დროს ბევრს იცინებდა ძმა-ბიჭებში და სასაცილოდ აიღებდა აღმზრდელთა გულაჩუყებას და დირექტორის ვითომ წინააღმდეგობას. ცხადია, მისი დროებითი თავდახრა მოჩვენებითი იქნებოდა და სინამდვილეში შეიძლება სიამაყის გრძნობაც განეცადა, ზოგიერთი თანაკლასელის თვალში პატარა გმირადაც კი ჩაეთვალა თავი ასეთი გამბედაობისა და შენიღბვისათვის. მერე, როცა ცოტას დაისვენებდა ინტერნატში, გათბებოდა, ახალ ტანსაცმელს მიიღებდა, მობეზრდებოდა ერთ ადგილზე ყოფნა და გარკვეულ რეჟიმში მოქცევა, გაიმეორებდა იმას, რაც რამდენიმე თვის წინათ გააკეთა.

არა! მუდამ დათმობით, მუდამ პატიებით და მარტო სიყვარულზე დაყრდნობით წესიერ და ქვეყნისთვის სასარგებლო მოქალაქეებს ვერ აღვზრდით. თუ ვერ შევძელით ზღვარის დადება, სად გათავდეს დათმობა, პატიება, სიყვარულის ჩვენება და სად დაიწყოს მოთხოვნა, თუ ვერ შევძელით, საჭიროების შემთხვევაში, მოსაჩვენებლად მაინც, მოსიყვარულე გულის გაგრილება, ვერ აღვზრდით მეცნიერებისათვის თავდადებულ, ცოდნით შეიარაღებულ კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს. შეიძლება ეს ძნელი იყოს, მაგრამ აუცილებელი კი არის აღზრდისათვის.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ შეგნებულ მოსწავლეთა აღზრდაზე, მაგრამ ამ კეთილშობილური ამოცანის მისაღწევად ხშირად უმართებულო ხერხებს ვიყენებთ, როგორც კი კლასში წესრიგი დაირღვევა, კლასის ხელმძღვანელი იწვევს მოსწავლეთა საერთო კრებას და არიგებს. მოსწავლეებს, მორალს უკითხავს, სრულიად არ უწევს ანგარიშს მოსწავლეთა განწყობას და დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი, არ ითრევს მათ კამათში, თავს ახვევს საკუთარ შეხედულებას. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეებიც გულგრილად უსმენენ მასწავლებელს და სავალდებულოდ არც კი თვლიან შეასრულონ ყოველივე ის, რაც დაავალეს. თუ ამ საუბარმა არ გასჭრა და საჭირო ღონისძიება არ გატარდა, ან წესრიგის დარღვევა გამეორდა, ხელმძღვანელი ხელმეორედ იწვევს კრებას. გულმოსული და გაცხარებული კიდევ უფრო ხანგრძლივად ლაპარაკობს, ერთხელ ნათქვამს მეორედ და მესამედ იმეორებს. ხოლო როცა მოსწავლეებს ერთი და იგივეს მრავალჯერ მოსმენა მობეზრდებათ, დაიღლებიან, თანდათანობით ხმაურს იწყებენ, ყურს აღარ უგდებენ მასწავლებელს, ეს უკანასკნელიც წონასწორობას კარგავს და მოსწავლეთა ლანძღვაზე გადადის. ცხადია, რომ ამგვარად „დამუშავებული" საკითხი მიზანს ვერ მიაღწევს, სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. მოხდება პირიქით: მოსწავლეები გაბოროტდებიან კლასის ხელმძღვანელზე, ჯიბრში ჩაუდგებიან და გააკეთებენ იმის საწინააღმდეგოს, რასაც მათგან მოითხოვენ.

მუშაობის ასეთ უმართებულო ხერხს ხშირად თვით სკოლის ადმინისტრაცია მოითხოვს მასწავლებლებისაგან. ვთქვათ პედთათბირზე დამუშავდა რაღაც ღონისძიება, რომლის შესრულება და დასკვნის წერილობითი წარმოდგენა გარკვეული დროისთვის დაევალათ მასწავლებლებს, მაგრამ დავალება ძლიერ მცირე ნაწილმა წარმოადგინა. იმის ნაცვლად რომ უსაყვედურონ იმას, ვინც დავალების წარმოდგენა დააგვიანა, იწვევენ თათბირს ხელმეორედ. ამ თათბირზე აცხადებენ რომ მასწავლებლები კარგად არ მუშაობენ, უპასუხისმგებლოდ იქცევიან და ასეთი ზოგადი განცხადების შემდეგ ნიშნავენ ახალ ვადას და თან იმუქრებიან—ვინც დროზე არ წარმოადგენს, ის დაისჯებაო. ყველამ კი იცის, რომ სინამდვილეში არავინ არ დაისჯება. ხშირად იმასაც არ დაასახელებენ, ვინ შეასრულა დავალება დროულად და ვინ არა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ისჯება დისციპლინიანი და შემსრულებელი მასწავლებელი.

ამ საკითხზე საინტერესოა ა. ს. მაკარენკოს შეხედულება: „ჩვენ არ გვსურს ეგრეთ წოდებულ შეგნებას მივანიჭოთ განსაკუთრებული, გადაჭარბებული მნიშვნელობა, — შეგნება წინ არ უნდა უსწრებდეს ცდას. ყველაზე შეუპოვარი წვრთნაც კი ადამიანისა სანაქებო აზრებსა და ცოდნაში — ფუჭი საქმიანობაა, უკეთეს შემთხვევაში მისგან მივიღებთ ფარისევგლს, მლიქვნელს. შეგნება უნდა მივიღოთ მრავალრიცხოვანი სოცია-

ლური ვარჯიშის შედეგად, მხოლოდ მაშინ არის იგი ძვირფასი. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენში ფართოდ მიღებული სიტყვიერი აღზრდა ე. ი. უსასრულო საუბარი სხვადასხვა კარგ საქმეებზე, როცა მას თან არ ახლავს ქცევის პრაქტიკა ყველაზე უმწეო აგიტაციაა. შეგნება, რომელიც აგებული არ არის გამოცდილებაზე, სინამდვილეში, უსუსურია, განმარტოებულია, უნარი არ აქვს შექმნას რაიმე არსებითი — ეს ისაა, რაც ჩვენი საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო საშიშია". სრული ჭეშმარიტებაა გამოთქმული დიდი პედაგოგის მიერ. როგორც ცურვას ვერ ვასწავლით ადამიანს ხმელეთზე, ისე ქცევის წესებს და დადებით შეხედულებებს ვერ დავნერგავთ, ჩვევის გამომუშავებას ვერ მივაღწევთ თეორიული საუბრებით, დაუსრულებელი ლექციების კითხვით მორალზე. ყოველმა მოზრდილმა მოსწავლემ კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რას მოითხოვს მისგან საზოგადოება—ეს შედარებით ადვილი გასაგებია, მაგრამ შესრულება მისი უფრო ძნელია. ამას ენერგია და ნებისყოფა სჭირდება. ამიტომ სიძნელეთა დაძლევას თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ კარგი მაგალითების ჩვენებით, შრომაში ჩაბმით და სისტემატური მოთხოვნებით.

მაგალითისათვის მოვიგონოთ სასკოლო პრაქტიკიდან რამდენიმე შემთხვევა; ცნობილია, რომ საშუალო სკოლის უფროს კლასებში შემოღებულია თვითმომსახურება, მოსწავლეები თავის საკლასო ოთახს თვითონვე ალაგებენ მორიგეობით. ახალი სასწავლო წლის დაწყებიდანვე კლასის ხელმძღვანელი ცდილობს, მოაგონოს მოსწავლეებს გასული წლის გამოცდილება საკლასო ოთახის დასუფთავება-მოვლის შესახებ.

მასწავლებელმა ახალი სასწავლო წლის დასაწყისში გაკვეთილების შემდეგ მოწვეულ საერთო კრებაზე გაუმეორა მოსწავლეებს მათი მოვალეობა. აუხსნა სისუფთავისა და ჰიგიენის მნიშვნელობა. მაგრამ საკითხის დამუშავებაში მოსწავლეებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. მასწავლებელმა ახალგაზრდებს წინასწარ მომზადებული რეცეპტები მიაწოდა ისე, რომ მათ მხოლოდ შესრულება ევალებოდათ. ბავშვებს მობეზრდათ კიდეც ერთსადა იმავე საკითხებზე ამდენი საუბარი — გავიგეთ მასწავლებელო, ეხლა გაგვიშვით სახლშიო — სთხოვენ ხელმძღვანელს. მასწავლებლის სიტყვითვე დამთავრდა ეს საკმაოდ გრძელი და მომაბეზრებელი კრება. მეორე დღეს კი, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც სახლში წავიდნენ, — კლასი კი დაულაგებელი დარჩა. ამის გამო ნაწყენმა მასწავლებელმა მეორე დღეს უფრო გრძელი კრება მოიწვია, უფრო მეტი და უფრო ნერვიულად ილაპარაკა იმავე საკითხებზე. მეტი შეურაცხყოფა მიაყენა მოსწავლეებს და უფრო მეტად განაწყო თავის საწინააღმდეგოდ. ამის შემდეგაც კი აღნიშნული კლასი ხშირად ისევ დაულაგებელი რჩებოდა, იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ ამ საქმეს თვით კლასის ხელმძღვანელი ასრულებდა.

სხვა კლასის ხელმძღვანელმა სულ სხვა გზა აირჩია. ვინაიდან ეს საკითხი გასულ წელს დამუშავებული იყო, ამიტომ დაავალა კლასის ორგანიზატორს შეედგინა მორიგეობის სია და ეჩვენებინა მისთვის. მოსწავლეებს კი მოაგონა, რომ კლასის მოვლა-დასუფთავებაზე ისევ ჩვენ მოგვიხდება ზრუნვაო. ამ საუბარს მან სულ ერთი-ორი წუთი მოანდომა და როცა მორიგეობის სია კლასში უკვე გამოკრული იყო, იკითხა: დღეს ვისი ჯერია, ოთახს ვინ დაასუფთავებსო. ბოლო გაკვეთილის დამთავრებისას, ვითომ შემთხვევით, შევიდა საკლასო ოთახში, ერთ მოსწავლეს ფორმაზე მისცა შენიშვნა, მეორეს თმის ვარცხნილობაზე მიუთითა და თან აკვირდებოდა სახლში მიმავალ მოსწავლეებს მორიგეებიც ხომ არ მიჰყვებოდნენ. როცა ყველანი წავიდნენ, მორიგეებს სთხოვა კლასი კარგად დაესუფთავებინათ. თვითონ მახლობლად ტრიალებდა, რაღაც საქმე გაიჩინა, თან მორიგეების მუშაობას ადევნებდა თვალს და საჭიროების შემთხვევაში მითითებასაც აძლევდა, მუშაობას ასწავლიდა. ასე, თანდათანობით შეაჩვია მოსწავლეები თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ერთი კვირის შემდეგ მორიგეებს უთხრა: მე დღეს მეჩქარება, გაკვეთილების დამთავრებისთანავე უნდა წავიდე და გთხოვთ, კლასის დასუფთავება არ დაგავიწყდეთო. თუ რაიმე აუცილებელი საქმე გაქვთ და თქვენც გეჩქარებათ, მითხარით და დღეს თქვენს მოვალეობას სხვებს დავავალებო. იმათაც სიამოვნებით მისცეს პირობა, რომ ყველაფერს წესიერად შეასრულებდნენ. თვითონ წავიდა, მაგრამ ამხანაგ მასწავლებელს მაინც სთხოვა — შეიხედეთ ჩემს კლასში გაკვეთილების შემდეგ, ნახეთ მორიგეების მუშაობა, კლასი დაულაგებელი არ დამიტოვონო. ამ მასწავლებელმაც, ვითომ შემთხვევით, შეიხედა კლასში, მოეწონა მორიგეების საქმიანობა, მუშაობა მოუწონა, და უთხრა: აუცილებლად ვეტყვი თქვენს კლასის ხელმძღვანელს, რომ თქვენ კარგად ასუფთავებთ კლასსო. ბავშვებსაც ესიამოვნათ, რომ მათი შრომა მოიწონეს და მეტის მონდომებით განაგრძეს დაწყებული საქმე.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ამ საკითხში ჩარევა კლასის ხელმძღვანელს თითქმის აღარ სჭირდებოდა. მაგრამ იგი სიფრთხილეს მაინც არ ღალატობდა. დილით პირველად თავის საკლასო ოთახში შეიხედავდა და მორიგეების საქმიანობას ამოწმებდა. რა შეგნებული და ჭკვიანი მოსწავლეები ჰყავსო, — ხშირად იტყოდნენ ამ მასწავლებელზე მისი კოლეგები, — საკლასო ოთახში არც კი შეიხედავს, ბავშვებს კი ერთხელაც არ დაუტოვებიათ კლასი დაულაგებელიო. სინამდვილეში ისინი მხოლოდ კარგ შედეგს ხედავდნენ და არ იცოდნენ როგორ მიაღწია ასეთ შედეგს ამ კლასის ხელმძღვანელმა.

სკოლაში პირველ გაკვეთილზე დაგვიანებამ მასიური ხასიათი მიიღო. სწორედ ზარის დარეკვის პროცესში ან ერთი-ორი წუთის შემდეგ მორბოდნენ მოსწავლეები და ზედა ტანსაცმლის გაუხდელად აქოშინებულნი

შედიოდნენ საკლასო ოთახში. პირველი გაკვეთილის რამდენიმე წუთი უშედეგოდ იკარგებოდა. ამ საკითხზე პედაგოგიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ ყოველდღიურად ზარის დარეკვისთანავე დაეკეტათ კარები და დაგვიანებული მოსწავლეების სია შეედგინათ სათანადო ზომების მისაღებად. ამ საკითხის მოგვარებას კლასის ხელმძღვანელები სხვადასხვაგვარად მიუდგნენ. ზოგმა სწრაფად აღმოფხვრა დაგვიანების შემთხვევები, ზოგმა კი წლის ბოლომდეც ვერა.

ერთმა კლასის ხელმძღვანელმა მოკლე საუბრით გააცნო მოსწავლეებს პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და საჭიროება მისი შესრულებისა. რომ გაკვეთილზე დაგვიანებით შესვლა ხელს უშლის მასწავლებელს და აბრკოლებს მუშაობას, ამ საკითხს კამათი არ გამოუწვევია. უმთავრესად მსჯელობა შეეხებოდა იმას, თუ რა, ღონისძიებით შეიძლებოდა მისი აღმოფხვრა. შეთანხმება მოსწავლეებსა და კლასის ხელმძღვანელს შორის სწრაფად მოხდა, გადაწყვიტეს: თითოეულ მოსწავლეს ევალება დილით გამოცხადდეს სკოლაში ზარის დარეკვამდე შვიდი-რვა წუთით ადრე. ორი-სამი წუთი უნდა ვივარაუდოთ საათებს შორის მოსალოდნელი განსხვავებისათვის, ხოლო ხუთი წუთი საჭიროა იმისთვის, რომ მოსწავლემ ზედა ტანსაცმელი გაიხადოს, ჩანთა შეინახოს, დაისვენოს, და მოწესრიგდეს გაკვეთილისთვის, მერხზე ადგილი დაიჭიროს და ელოდოს მასწავლებელს. ვინც ზარის დარეკვამდე ხუთი წუთით ადრე არ გამოცხადდება სკოლაში, მას დაგვიანება ჩაეთვალოს. დაადგინეს, რომ ამის შესასრულებლად საჭიროა ყოველი მოსწავლე დილით შვიდიოდე წუთით ადრე ადგეს, ვიდრე ჩვეულებრივად დგებოდა.

ამის შემდეგ კლასის ხელმძღვანელი ზარის დარეკვამდე ათი წუთით ადრე შეიხედავდა საკლასო ოთახში, მოსწავლეთა ძალიან ადრე მოსვლაც არ მიაჩნდა სასურველად. ნახავდა, ამ დროისათვის ვინ იყო მოსული და შემდეგ კლასის წინ დერეფანში სეირნობდა, თან ათვალიერებდა, რომელი მოსწავლე როდის გამოცხადდებოდა. იმ მოსწავლეს, რომელიც ზუსტად ხუთი წუთით ადრე გამოცხადდებოდა ეუბნებოდა — ფრთხილად შემდეგისთვისო და საათს უჩვენებდა, იმათ ვინც მხოლოდ ოთხი წუთით ადრე გამოცხადდებოდა, აფრთხილებდა და დაგვიანებულთა სიაში შეჰქონდა. ასეთმა ღონისძიებამ სასურველი შედეგიც სწრაფად გამოიღო. თითო-ოროლა თუ არღვევდა კლასის მიერ დასახულ ღონისძიებას და მათი რიცხვიც თანდათან კლებულობდა. ზოგიერთს მასწავლებელი ეუბნებოდა: მეორედ დაგაგვიანდა ორი წუთით, იფრთხილე, აღარ გამეორდეს ასეთი შემთხვევა. რაც შეეხება გაკვეთილზე დაგვიანებას, ეს თითქმის სრულიად აღმოიფხვრა. ამ კლასებში კი, სადაც მორალის კითხვით დაიწყეს საკითხის დამუშავება, სადაც ხშირად კლასის ხელმძღვანელი დაგვიანებულ მოსწავლეებთან ერთად არბოდა კიბეზე, დაგვიანებულთა რიცხვი არ მცირდებოდა. დირექტორი კლასის ხელმძღვანელს საყვე-

დურობდა ამისთვის. კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს ეჩხუბებოდა და კლასის საერთო კრებებსაც ხშირად იწვევდა, მაგრამ ამით საქმე წინ არ მიდიოდა.

ამგვარად, კლასის ხელმძღვანელმა შეძლო მოსწავლეთა ნაკლები შეწუხებით, საკუთარი ენერგიისა და დროის ეკონომიით ჯგუფში წესრიგის დამყარება. ასე განუვითარა მოსწავლეებს პასუხისმგებლობის გრძნობა. დადებითი ჩვევების გამომუშავებას შეგნების განვითარებაც მოჰყვა. ახლა ამ ბავშვებს თვითონ შეეძლოთ სხვებისთვის დაესაბუთებინათ, რომ ადრე გამოცხადება საჭირო და სასარგებლოა მათთვისვე, რომ სუფთა ოთახში მეცადინეობა და სუფთა ჰაერით სუნთქვა აუცილებელია მათივე ჯანმრთელობისათვის და სასიამოვნო ყველასათვის, რომ სკოლაში საჭიროა დისციპლინა, დათქმულ დროზე გამოცხადება და სხვა; რომ ამით ისინი პატივს ცემენ პირველ ყოვლისა საკუთარ თავს, შემდეგ კლასის ხელმძღვანელს და ყველა მასწავლებელს. დიახ! ამ საკითხშიც ზუსტია ა. ს. მაკარენკოს აზრი: საჭიროა დადებითი ჩვევები დავნერგოთ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ, შეგნებას ის თავად მოიტანს.

ზოგიერთი მასწავლებლის „საკუთარი პედაგოგიური“ შეხედულებანი

საკონტროლო წერით ნამუშევრებს ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ვასწორებდი. ვცდილობდი შეცდომა გაუსწორებელი არ დამრჩენოდა, რადგანაც ამას შეეძლო ჩემი დაწერილი ნიშანი არარეალურად ექცია. გარდა ამისა, გარკვეულ უხერხულობასაც ვგრძნობდი, რადგანაც სავსებით შესაძლებელია, უფროს კლასებში მაინც, ასეთი (გამოტოვებული) შეცდომა თვით მოსწავლეებს შეენიშნათ, ისინი ხომ ხშირად ადარებენ თავიანთ ნამუშევრებს შეცდომების გასწორების დროს, მაგრამ არასდროს არ მიფიქრია, ამ მოსალოდნელი უხერხულობიდან თავის დასაღწევად სხვა ღონისძიებისათვის მიმემართა, გარდა სიფრთხილისა და ყურადღების გაორკეცებისა. გამოირკვა, რომ ამ საკითხს ზოგიერთი მასწავლებელი სულ სხვაგვარად უცქერის.

ირკვევა, რომ ზოგი მასწავლებელი ასე ფიქრობს: დღეში ასი რვეულის გასწორება (მშობლიური ენა და ლიტერატურა, არითმეტიკა) ძლიერ მომქანცველია და მოსალოდნელია შეუმჩნეველი და გაუსწორებელი დარჩეს შეცდომა. ეს მდგომარეობა თავიდანვე გავითვალისწინე. ისიც ვიცოდი, რომ ჩემს მიერ შეუმჩნეველი შეცდომა შეიძლებოდა თვით ბავშვებს აღმოეჩინათ. ამით, ცხადია, ჩრდილი მიადგებოდა ჩემს სახელს,

მოსწავლის თვალში რამდენადმე დავმცირდებოდი, ავტორიტეტი შემელახებოდა. იმ მიზნით, რომ ასეთი მოსალოდნელი მარცხი თავიდან ამეცდინა ასეთ გაფრთხილებას ვაძლევ კლასს:

— „ბავშვებო, ვისი წერითი ნამუშევარიც ძალიან მომწონს, მის ერთ უმნიშვნელო შეცდომას თვალს განგებ ავარიდებ ხოლმე, რადგან შეფასებაში არ მინდა ნიშანი დავაკლო. მაგრამ, დაიხსომეთ, ამ მოსწავლემ თვითონ უნდა მიაგნოს თავის შეცდომას და ჩემთან ერთად გაასწოროს“.

ასამდე რვეულის გასწორება ყოველდღიურად ნამდვილად ძნელია, მაგრამ, თუ საჭიროა და აუცილებელი, რა გაეწყობა, უნდა გაკეთდეს. მაგრამ ისიც უნდა დავიხსომოთ, რომ თაღლითობისა და მოტყუების გზა მასწავლებელმა არ უნდა აირჩიოს, რადგანაც ცუდ მაგალითზე კარგი ადამიანი არ აღიზრდება. სჯობს ერთი-ორი შეცდომა მთელ კლასში გაუსწორებელი დარჩეს, ვიდრე მოსწავლეების წინაშე ვიცრუოთ. პატიოსნად და ხარისხიანად საქმის გაკეთება დიდი მონდომებით, გულმოდგინებით და უურადღებით შეიძლება მხოლოდ.

მასწავლებელმა თავისი ვალი პირნათლად უნდა შეასრულოს მოსწავლეების წინაშე, როგორც აღმზრდელმა და მოქალაქემ და სრულიად არ უნდა იფიქროს სხვა რაიმეზე — მოსწავლეთა კარგი განწყობა, სიყვარული, პატივისცემის გრძნობა თავისთავად მოვა. თუ მასწავლებელმა თითოეული თავისი ღონისძიება იმას უფარდა, მოეწონება ეს ჩემს აღსაზრდელებს თუ არაო, მაშინ მოსწავლეთა დასაცინიც გახდება.

ნიშნის დაკლებაც უმართებულოდ ესმის ზოგ მასწავლებელს. სინამდვილეში კი ნიშნის დაკლება ნიშნავს, დავუწეროთ იმაზე დაბალი ნიშანი, ვიდრე მოსწავლე იმსახურებს. მაგალითად, მოსწავლის პასუხი ან წერითი ნამუშევარი იმსახურებს „4“-ს, მასწავლებელი კი უწერს „3“-ს. აქ მასწავლებელი აცხადებს: „ერთ უმნიშვნელო შეცდომას თვალს ავარიდებ, რადგან არ მინდა ნიშანი დავაკლოო“. ვთქვათ, მოსწავლემ დაუშვა ერთი „უმნიშვნელო“ შეცდომა, მასწავლებელმა ეს მიიღო მხედველობაში და ამის მიხედვით დაუწერა ნიშანი. ეს იქნება ნამდვილი, დამსახურებული ნიშანი და არა დაკლებული. ხოლო როცა ამ შეცდომას უურადღებას არ აქცევს მასწავლებელი, ვითომ ვერ ხედავს და ნიშანს ისე წერს თითქოს შეცდომა სრულიად არ იყოს, — ეს უკვე ნიშნის მომატებაა, ზედმეტი ნიშნის დაწერაა. სხვა საკითხია, ყველა უმნიშვნელო შეცდომისათვის მასწავლებელმა ნიშანი აუცილებლად უნდა დააკლოს, თუ არა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა შეცდომა მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც აუცილებლად გასწორდეს თითოეული მოსწავლის რვეულში და შემდეგ დაიწეროს ნიშანი არსებული ნორმების მიხედვით.

საერთოდ კი შეცდომები ყველა მნიშვნელოვანია და უმნიშვნელო

არ არსებობს. მოსწავლე შეცდა, დაუშვა რაღაც შეცდომა. ეს შეიძლება იყოს არსებითი და გამომდინარეობდეს რაიმე კანონის არ ცოდნიდან, შეიძლება იყოს მექანიკური, ე. ი. მოსწავლემ იცოდა კანონი, მაგრამ აჩქარდა, არ ჩაუფიქრდა და ამან გამოიწვია შეცდომა. ყველა ესენი შეცდომებია. თითოეული მათგანი მიგვითითებს, რომ მოსწავლის მომზადებაში, ჩვევაში, ხასიათში არის რაღაც მოუწესრიგებელი, რაც აუცილებლად უნდა გასწორდეს.

მოსწავლემ ამოცანის ამოხსნის დროს დასაწყისშივე დაუშვა მექანიკური შეცდომა — ნიშანი „პლიუსის" მაგიერ მეორე სტრიქონზე გადაიტანა „მინუსი". ამის შედეგად ყოველივე შეიცვალა. მიიღო ისეთი განტოლება, რომლის ამოხსნა ვერ შეძლო. მასწავლებელმა ამ ნამუშევრის გასწორებისას ვერაფერი ვერ იპოვა სწორად შესრულებული და დაწერა ორიანი. ვითომ, დადებითი ნიშნის მაგიერ უარყოფითი ნიშნის გადატანა უმნიშვნელო შეცდომაა? სრულიად არა! ეს არის არსებითი შეცდომა და მაუწყებელი, რომ სერიოზულ ხარვეზებთან გვაქვს საქმე, — ბავშვს არა აქვს დაკვირვების, ყურადღების კონცენტრაციის უნარი, გონებავაფანტულია და არც იმისი ჩვევა აქვს, რომ ნამუშევარი გადასინჯოს და შეცდომა იპოვოს. ყოველივე კი იქიდან მომდინარეობს, რომ დაბალ კლასში, როცა მან „მ"-ს ნაცვლად „შ" დაწერა, მასწავლებელმა ჩუმად თვალებით ანიშნა: ნუ გეშინია, მე გადავაქცევ მაგ „შ"-ს „მ"-თო. მოსწავლემაც თავისი ტვირთის ნაწილი მასწავლებელზე გადაიტანა და გული დაიარხეინა.

არა, უმნიშვნელო შეცდომა არ არსებობს. მათი სიმძიმე უნდა გაიზომოს იმის მიხედვით, თუ როგორ შრომას მოითხოვს თითოეული მათგანის ლიკვიდირება. ბევრი მექანიკური შეცდომა, როცა ის ჩვევაში გადაივა, სხვა არსებით შეცდომაზე უფრო მძიმეა. ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს თითოეულმა მასწავლებელმა.

მასწავლებელმა მოსწავლეს შეცდომა ამოუშალა საკონტროლო წერის რვეულში და ნიშანი მაინც „5" დაუტოვა. რა დახმარება გაუწია მასწავლებელმა მოსწავლეს? ის, რომ „4"-ს ნაცვლად „5" დაუწერა. აქედან ეყრება საფუძველი იმ მახინჯ ჩვევას, რომელსაც ნიშნისთვის ბრძოლა ეწოდება, რომელმაც ცოდნის მიღებისათვის ბრძოლა შესცვალა. მაინც საკითხავია: თუ ზედმეტი ნიშნის წერა დახმარებაა, რატომ არ გვემეტება ის სხვებისთვის. ვუწეროთ ყველას „5". განა გვენანება ეს „სიკეთე" ჩვენი აღსაზრდელებისათვის?

ყველა ნიშანი პირობითია და თითოეულ მათგანს გარკვეული შინაარსი აქვს, რომელიც მას ფასს აძლევს. „5" იმიტომ გვიხარია, იმიტომ გვეამაყება, რომ მოსწავლემ რომელმაც, ვთქვათ, საკონტროლო წერაში მიიღო ეს ნიშანი, შეძლო ამომწურავად ეპასუხა დასმულ კითხვაზე, თავისი აზრი ჩამოაყალიბა მწყობრი თანამიმდევრული ქართულით, გააფორ-

მა სუფთად, ლამაზად და არ დაუშვა არც ერთი შეცდომა. ასეთი მუშაობის შედეგად მიღებული ნიშანი „5“ არის ნამდვილი, ის არის ფრიადი, ძლიერ კარგი, წარჩინებული. ის უნდა ახარებდეს მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს. ასეთი „5“ იქნება არა „დახმარება“, არამედ სასიხარულო ფაქტის აღნიშვნა. ძნელია იმისი თქმა, აქ მოსწავლემ უნდა უთხრას მასწავლებელს მადლობა, თუ მასწავლებელმა — მოსწავლეს იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მან მიიღო მასალის გადმოცემის დროს.

არის შემთხვევა, როცა მასწავლებელი „4“-ის ნაცვლად წერს „5“-ს. მოსწავლე ეჩვევა მომატებულ, დაუმსახურებელ ნიშანს. დღეს თუ ერთი შეეშალა და აპატიეს, ხვალ ორი შეცდომის პატიებას მოითხოვს. ამას მისი თანაკლასელებიც უცქერიან და ზოგი მათგანი მიბაძვასაც ცდილობს, გამოდის ბრძოლა ნიშნებისათვის. ამ ბრძოლაში ხშირად მშობლებიც აქტიურად ებმებიან. ძლიერ ხშირად არც ბავშვები და არც მშობლები ზედმეტ ნიშანს არ თაკილობენ. ბავშვის თანაკლასელები გრძნობენ მასწავლებლის მიკერძოებას და ხშირად წასძახებენ მას: შენ დაუმსახურებლად გიწერენ ნიშანსო. იყო შემთხვევა, რომ თბილისის ერთ-ერთი სკოლის მეათე კლასელმა განაცხადა: მიწერს და რა ექნა, ხომ არ ვეტყვი ნუ დამიწერო. რომ ამ ბავშვს არ სიამოვნებდეს ზედმეტი ნიშნები, ნამდვილად ეტყოდა მასწავლებელს: ნუ მიწერთ, ისეთ ნიშანს, რაც არ მეკუთვნის ამხანაგები სასაცილოდ მიგდებენო. ბავშვის ასეთ „თავმდაბლობას“ ოჯახიც უწყობს ხელს. მშობლები ავალებენ შვილებს ხუთიანზე ისწავლონ, მაგრამ, როცა ამას ბავშვი ვერ ახერხებს, შემდეგ თვითონვე ცდილობენ სხვადასხვა საშუალებით მოახდინონ გავლენა მასწავლებლებზე. ასე იცვლება კეთილშობილური მისწრაფება ცოდნის შეძენისა მაღალი ნიშნებისათვის ბრძოლით.

ამას ნაწილობრივ სკოლაც უწყობს ხელს, მისი მისწრაფებით მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისადმი. სკოლის ადმინისტრაციაც ამავე საფუძველზე მოითხოვს მასწავლებლებისაგან სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების დონის ამაღლებას, რამაც ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს აკადემიური მაჩვენებლების ამაღლებაც, მაგრამ მასწავლებლის სისუსტისა და ადმინისტრაციის წაყრუების შედეგად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების სათანადო დონეზე აყვანა მიუღწეველი რჩება, რადგანაც ეს ძნელია, ბევრ შრომას და ოფლის ღვრას მოითხოვს, ხოლო მაღალი მაჩვენებლების წერა შედარებით ადვილია.

დაუმსახურებლად ნიშნების წერა და თვალის ახვევის ცდები იწვევს სწორედ იმ მდგომარეობას, რომ მოსწავლეები შემდგომ საფეხურზე ვეღარ ამართლებენ იმ ნიშნებს, რომლებიც მათ მანამდე ჰქონდათ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: პედაგოგიური ინსტიტუტის ორი კურსდამთავრებული ქალიშვილი ერთი წლის მუშაობის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. ისინი კარგი სტუდენტები იყვნენ და ინსტი-

ტუტის კურსიც წარჩინებით დაამთავრეს. ერთი მათგანი თბილისის საშუალო სკოლაში მოეწყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, მეორე კი კახეთში.

პირველი მოკითხვისთანავე საუბარი პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გადაიტანეს, თუ როგორ იმუშავეს, როგორ კოლექტივში მოხვდნენ, როგორ შეეწყვნენ სკოლას და სხვ.

ორივემ ერთად აღნიშნეს, რომ მათ ყველაზე მეტად საკონტროლო წერების მომზადება და ჩატარება უძნელდებათ. — როგორ არ ვეცადე, მაგრამ მაინც ბევრმა მიიღო წერაში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, — განაცხადა ერთმა მათგანმა. შემეშინდა კიდეც, ვინმეს რომ ეს რვეულები ენახა, სირცხვილისაგან რა უნდა მეთქვა? ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით გულდასმით მოვამზადე მეორე საკონტროლო წერა და ახალ რვეულებში დავაწერინე სამუშაო, მაგრამ თითქმის იგივე განმეორდა, — ნახევარმა კლასმა არადამაკმაყოფილებელი ნიშანი მიიღო. რა უნდა მექნა, აღარ ვიცოდი. სკოლიდან წასვლაც კი ვიფიქრე და, ბოლოს, ჩემი გასაჭირი ერთ ხანდაზმულ და სტაჟიან მასწავლებელს გავუმხილე. ჩვენც ყველანი მაგ დღეში ვართო, — მითხრა მან. ამიტომ ნაწერს ჯერ შავი მელნით ვასწორებთ, რისი გასწორებაც შეიძლება, — დარჩენილ შეცდომებს, რომელთა გასწორებაც გადაშლას მოითხოვს, ან მთელი წინადადება ან სიტყვა არის უმარცხებულოდ დაწერილი, — წითელი მელნითო. იმ დროს, როცა ერთი საკონტროლო წერაზე ლაპარაკობდა, მეორე გამოცოცხლდა და ამხანაგს სიტყვა ჩამოართვა. მეც სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ძლიერ შემეშინდა, მაგრამ, მოვისაზრე და ვაკეთებდი სწორედ ისე, როგორც შენ.

ორთავემ აღნიშნეს, რომ ძალიან გაუძნელდათ ამ სიყალბის გზაზე დადგომა, პირველ ხანებში მაინც, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო.

ამგვარად, ახალგაზრდა, ნიჭიერი სპეციალისტი პედაგოგიური მუშაობის დაწყების პირველსავე წელს იძულებული ხდება მანკიერ, ყალბ გზას დაადგეს, მოტყუებასა და თვალის ახვევას მიმართოს. საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მდგომარეობა ყველა სკოლაში არ არის.

სკოლის გაჯანსაღებისა და სასწავლო-საალმზრდელო პროცესების უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაში, პირველ რიგში, უურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ იწერებოდეს რეალური, ნამდვილი — ცოდნის შესატყვისი ნიშნები.

დღეს მოსწავლე ხშირად ახერხებს საშუალო სკოლის ისე დამთავრებას, რომ საგნებში მუშაობით თავი დიდად არ შეიწუხოს. ერთი წინადადება თუ თვითონ თქვა, მეორეს ამხანაგი ან თვით მასწავლებელი მიახვედრებს და ნიშანი „3“ უკვე განაღდებულია. საკონტროლო წერაში ამხანაგების დახმარებითა და მასწავლებლის მიერ წაყრუების და მომთხოვნელობის შემცირების შედეგად როგორმე ერთი დამაკმაყოფილე-

ბელი ნიშანი თუ მიიღო, წერაზე მეტს აღარც გამოცხადდება. ასეთ მოსწავლეს რომ თემის დაწერა ილია ჭავჭავაძეზე დაავალოთ და მისმა გვერდით მჯდომმა „შუშანიკის ცხოვრება“ წეროს, ისიც მიჰყვება, სუფთად გადაიწერს და დიდის რიხითაც ჩააბარებს რვეულს მასწავლებელს — კარგად დავწერეო, — იტყვის ამხანაგებში. ხოლო როცა ამგვარად „მომზადებული“ აბითურიენტი საკონკურსო გამოცდაზე მიდის უმაღლეს სასწავლებელში, რა უნდა წაიღოს თან, თუ არა შპარგალკები ჯიბით. რამდენიც არ უნდა ვუმტკიცოთ, რომ ეს დასაგმობი საქციელია, თვალის ახვევაა, ამით არა გამოვა რა. ასეთმა მოსწავლემ ან ვერ უნდა მიიღოს სიმწიფის ატესტატი, ან ისეთი პირობები შეიქმნას გამოცდაზე, რომ მას წარმატების შანსები არ ჰქონდეს.

დირექციამ ეს კარგად იცის, მაგრამ თვალს ხუჭავს. თუ მოხდა და ასეთი მასწავლებელი ამხილეს „არ ეიცოდიო“ იტყვის და ყოველივეც ამით დამთავრდება. საქმე მაშინ გასწორდება, როცა ადამიანს უსაყვედურებენ არა მარტო იმისთვის, რაც შენიშნა და არ გაასწორა, არამედ იმისთვისაც, რაც უნდა შეენიშნა და გაესწორებინა.

ნუ მივცემთ გასაქანს სწავლების მანკიერ მეთოდებს. მოვითხოვოთ, ყოველი ნიშანი შეესაბამებოდეს მოსწავლის ნამდვილ ცოდნას. შევქმნათ ისეთი პირობები, რომ თითოეულ პედაგოგს შეეძლოს კეთილსინდისიერად მუშაობა. ამით ამ საპატიო საქმის ნახევარზე მეტი გაკეთებული იქნება.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გამოცდილებიდან

კლასის წარმატება როგორც აღზრდის, ისე აკადემიური მომზადების საკითხში დიდად არის დამოკიდებული კლასის ხელმძღვანელის მომზადებასა და უნარზე.

მაგრამ კლასის ხელმძღვანელს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმის სწორად წარმართვა გაუძნელდება, თუ მას მჭიდრო კავშირი არა აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, თუ არ იცნობს მათ საქმიანობას და საზოგადოებრივ მდგომარეობას, თუ არ იცნობს იმ გარემოს, რომელშიც უხდება მუშაობა და ცხოვრება მოსწავლეს. ეს კავშირი აღმზრდელისათვის იმიტომაც არის საჭირო, რომ მან მშობლებისაგან მიიღოს ზოგიერთი საინტერესო ცნობა ბავშვების შესახებ: ამჟღავნებს თუ არა ბავშვი შრომის სიყვარულს და როგორია მისი შრომისუნარიანობა, როგორ იქცევა ბავშვი ოჯახის წევრთა შორის, მეზობლებსა და ნათესავებში. ახასიათებს თუ არა თავმდაბლობა და კაცთმოყვარეობა, გულისხმიერია თუ არა მახლობლის გასაჭირსა თუ ლხინში, რა უყვარს, რა ეჯავრება, რით არის

დაინტერესებული, რით ერთობა, როგორ მეცადინეობს: ინტერესითა და ხიყვარულით, თუ უფროსების მითითებითა და ძალდატანებით, ადვილად ითვისებს მასალას თუ ძნელად.

ამ ცნობებს აღმზრდელისათვის იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ ბავშვი ზოგჯერ სულ სხვაა სკოლაში და სხვაა სახლში, თუმცა საჭიროა, მშობლებისაგან მიღებულ ცნობებს კრიტიკულად შეხედოს მასწავლებელმა და შეძლებისდაგვარად შეამოწმოს კიდეც, რადგანაც ხშირად მშობლებს უძნელდებათ იყვნენ ობიექტურნი შვილებისადმი.

აღზრდის საქმე ისე უნდა მოგვარდეს, რომ მშობელმა მუდამ იცოდეს, როგორ იქცევა ან როგორ სწავლობს მისი შვილი სკოლაში. აღმზრდელმა ასევე უნდა იცოდეს ყველაფერი, რასაც მოსწავლე აკეთებს მას შემდეგაც როცა ის მასწავლებლის მხედველობის არეს სცილდება. ყოველი ცვლილება მოსწავლის ყოფაქცევაში მასწავლებლისა და მშობლის საერთო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

შეუძლებელია ბავშვის აღზრდის საქმეში მშობლების როლის უგულებელყოფა, მაგრამ ეს უფლებას არ გვაძლევს გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში: ბავშვის ყოველგვარი წარუმატებლობისათვის პასუხისმგებლად მშობელი გამოვაცხადოთ და ჩვენი როლი უბრალო ფაქტების აღრიცხვითა და მათი მშობლებამდე მიტანით შემოვფარგლოთ, ხდება ხოლმე, როცა კლასის ხელმძღვანელი ბავშვის ყოველგვარ დანაშაულს აღრიცხავს, იბარებს მშობელს ან თვით მიდის მასთან, წაუკითხავს იმ შენიშვნებს, რომლებიც მის შვილზე აქვს შეტანილი სათანადო რვეულში და ხელსაც აწერინებს, რომ მშობელმა ყოველივე იცის მის შესახებ.

ასეთ მუშაობას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ეს არის მოვალეობის ფორმალური, უსულგულოდ მოხდა და არა მისი წესიერად შესრულება. სკოლა ხომ სასამართლო არ არის! ამიტომ, დამოკიდებულება აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის არ უნდა გავაგივოთ ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის დამოკიდებულებასთან. თუმცა სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა ამგვარად „გაფორმებული“ რვეულებით კლასის ხელმძღვანელი ზოგჯერ სკოლის ადმინისტრაციის მადლობასაც კი იმსახურებს.

კლასის ხელმძღვანელის მუშაობა უნდა ფასდებოდეს არა იმის მიხედვით, თუ რა ღონისძიებანი გაატარა მან და როგორ გააფორმა ეს საქმიანობა, რა ენერგია და დრო დახარჯა ამაზე, არამედ იმ შედეგების მიხედვით, რომლებიც მას ამ კლასთან მუშაობაში აქვს. თუ ეს შედეგები კარგია, მაშინ საინტერესოა ის დოკუმენტები, რომლებიც კლასის ხელმძღვანელის მუშაობის აღრიცხვას წარმოადგენს. თუ ზოგიერთი მასწავლებელი მოახერხებს ნაკლები ენერგიის დახარჯვით უკეთესი შედეგების მიღებას, ასეთი მიღწევა მისაბაძად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც

მიზანი არის მოსწავლის აღზრდა და არა მასწავლებლის ზედმეტად გადატვირთვა. არაიშვიათად გვესმის პედაგოგიურ საბჭოებსა და თათბირებზე: იყავით კლასთან, არ მოშორდეთ კლასს, დასვენებაზე არავინ ვნახო სამასწავლებლოში. ან ასეთი: X კლასს კარგი ხელმძღვანელი ყავს, ის მუდამ თავისი კლასის ოთახის კარებთან დგას, ყველა საბუთი წესრიგზე აქვს. მშობელთა გაფრთხილების და ხელმოწერის რვეული, მშობელთა და მოსწავლეთა საერთო კრებების ოქმები, მოსწავლეთა ოჯახური პირობების შესწავლის საბუთები, გამაფრთხილებელი ნიშნები, მჭიდრო კავშირი აქვს მშობლებთან და სხვ. ამას ზოგჯერ ისეთ ხელმძღვანელზედაც იტყვიან, რომელიც, მართალია, კლასთან არის, მაგრამ მასზე გავლენა სრულიად არა აქვს. მისი თანდასწრებით მოსწავლეები ყვირიან საკლასო ოთახში, ჩხუბობენ, დარბიან მერხებზე, აფუჭებენ საკლასო ინვენტარს და სხვ.

მუდამ კლასთან ყოფნითა და ერთი და იმავეს ჩიჩინით კლასის ხელმძღვანელი ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს, სიყვარულსა და პატივისცემას ვერ დაიმსახურებს თავის აღსაზრდელებში. გამუდმებული და დაუსრულებელი ნოტაციების კითხვა მოსწავლეებს ბეზრდებათ, რომელიც შემდეგ მასწავლებლებისადმი უპატივცემლობაში გადადის. ასეთი მასწავლებლის სიტყა ფასსა და დამაჯერებლობას კარგავს და იწყება მასწავლებლის ნერვიულობა, ხმის აწევა, მოსწავლეების ლანძღვა და, საერთოდ, იქმნება არაჯანსაღი დამოკიდებულება კლასში.

მოსწავლეებს ზოგჯერ მაინც უნდა მივცეთ საშუალება დარჩნენ მარტო, მასწავლებლის მხედველობის არის გარეთ და იმოქმედონ თავისუფლად, როგორც სურთ და საჭიროდ მიაჩნიათ, ხოლო კლასის ხელმძღვანელი შორიდან, მოსწავლეთათვის შეუმჩნეველად უნდა ადევნებდეს თვალყურს, თუ როგორ სრულდება მის მიერ დასახული ღონისძიებანი.

თუ თითოეულ დასვენებაზე მოსწავლეები კლასიდან მასწავლებელმა ან კლასის ხელმძღვანელმა გამოიყვანა და ასევე შეიყვანა შემდეგ გაკვეთილზე, მშობელთა საერთო კრებისათვის თვითონ მივიდა თითოეულთან ბინაზე ან დირექტორის ხელმოწერილი ბარათები გაგზავნა მშობელთა აქტივის საშუალებით, —ეს არ იქნება აღზრდა და ასეთ მოსწავლეებს არ ეწოდება წესიერად აღზრდილი.

ა. ს. მაკარენკო წერს: „ჩემი აღსაზრდელები ჩემთან რომ კარგად იქცეოდნენ, ეს მე სრულიად არ მაკმაყოფილებდა. მე მაინტერესებდა, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი მაშინ, როცა მე არ მხედავდნენ. ამიტომ როცა ტრამვაის ვაგონში შევიდოდი, თუ იქ ჩემი აღსაზრდელები აღმოჩნდებოდნენ, ყოველთვის მოფარებულად ვდგებოდი და თვალყურს ვადევნებდი, იძენდნენ თუ არა სამგზავრო ბილეთებს, უთმობდნენ თუ არა ადგილს მოხუცებს, ავადმყოფებსა და ბავშვებს, და საერთოდ, იქცეოდნენ თუ არა საზოგადოებაში წესიერად“.

სავსებით სამართლიანია ა. ს. მაკარენკოს შენიშვნა. კარგად აღზრდილი შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმას, ვისაც უკვე გამოუმუშავდა დადებითი ჩვევები და გარკვეულ წესებს ასრულებს საკუთარი შეგნებით და არა ვინმეს გავლენით ან შიშით. კლასის ხელმძღვანელს თავის მუშაობაში დახმარებას უწევს სკოლის ადმინისტრაცია, ამ კლასის მასწავლებლები და მშობლები, მაგრამ მთავარი ფიგურა აქ მაინც თვითონ არის. თუ მან, პირადად თავი ვერ გაართვა ამ მუშაობას, მოსწავლეებსა და მათ მშობლებში ავტორიტეტი ვერ მოიპოვა, მას ვერავითარი დახმარება ვერ უშველის და კლასის საქმეც კარგად ვერ წავა.

კლასის ხელმძღვანელის მთავარი იარაღი, რომლითაც მოსწავლეებზე უნდა იმოქმედოს და თავის გავლენაში მოაქციოს, არის მისი სიტყვა, სამართლიანი და ობიექტური, საჭიროების მიხედვით ხან თბილი, ხან ცივი, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი და მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, — სიტყვა, გასაგებად ნათქვამი, მუდამ თანამიმდევრული და მკაცრად ლოგიკური. უნდა ვერიდოთ მომაბეზრებელ ნოტაციებსა და გამუდმებულ ჩიჩინს ყოველ წვრილმანზე. შეიძლება მოსწავლეები ისე შევაჩვიოთ ჩვენს მოთხოვნებს, რომ ზოგჯერ უბრალო ხელის მოძრაობაც კი შეხედვა ან რაიმე ჟესტი, ბევრის მთქმელი იყოს მათთვის.

კლასის წარმატებისა და აღზრდის საქმე ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კონტაქტი არსებობს ამ კლასის მასწავლებლებს შორის, რამდენად შეთანხმებულად და ერთიანი მოთხოვნით ეკიდებიან ისინი მოსწავლეებს. საგრძნობლად შეფერხდება ეს მიღწევები, თუ რომელიმე მასწავლებელი განკერძოებულად მუშაობს და დისონანსი შეაქვს საერთო საქმიანობაში. ამიტომ კლასის ხელმძღვანელი მუდამ მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს მასწავლებლებთან.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

პირველ სექტემბერს სახელმძღვანელოდ მივიღე XI² კლასი. კლასი აკადემიურად სუსტი იყო და, რაც მთავარია, იყვნენ ძნელად მოსავლელი მოსწავლეები. მათ შორის გამოირჩეოდა ა. რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ამხანაგებზე. ამისათვის მას ფიზიკური ძალაც უწყობდა ხელს, — ის ორი წლით დიდი იყო თანაკლასელებზე. ვიფიქრე, ამ მოსწავლის გავლენა და ავტორიტეტი გამომეყენებინა მთელი კლასის სასარგებლოდ და ამ მიზნით განვიზრახე მისი კლასის ორგანიზატორად არჩევა. მოსწავლეები პირველად უფრო დისციპლინიან და წარჩინებულ ამხანაგებს ასახელებდნენ, მაგრამ მე რჩევა მივეცი, რომ ორგანიზატორად უმჯობესი იქნება ისეთი მოსწავლე, რომელსაც რაიმე გავლენის მოხდენა შეუძლია ამხანაგებზე. თქვენი კანდიდატი თვითონ კარგია, მაგრამ სხვებზე ზემოქმედება გაუძნელდება, მეტად თავმდაბალია და მორიდებულიმეთქი. ამის შემდეგ ერთხმად დაასახელეს და სიხარულითაც აირჩიეს

კლასის ორგანიზატორად ა., რომელიც ფაქტიურად ისედაც იყო მათი „მეთაური“.

მოსწავლე მონდომებით და ხალისით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. რამდენჯერმე მქონდა საუბარი ა.-სთან და ვგრძნობდი, რომ ის მომყვებოდა და თავის თავსაც უფრო კრიტიკულად უდგებოდა. მაგრამ ეს მოსწავლე საკმაოდ ცნობილი იყო სკოლაში როგორც წესრიგის დამრღვევი და მეტად თავნება. ამიტომ კლასს დავავალე, ჯერჯერობით არ გაემხილათ მასწავლებლებისთვის, რომ ა. კლასის ორგანიზატორია. მაგრამ დიდხანს საიდუმლო ვერ შეინახეს და 3—4 კვირაში ეს ამბავი გამომჟღავნდა. მასწავლებლებმა მოსწავლეს დაცინვა დაუწყეს.— თავი ვერ გაგისწორებია, სხვებს რა მაგალითს მისცემო და ამ შემთხვევას, როგორც საკვირველ ამბავს, ერთმეორეს უზიარებდნენ. ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლემ მომმართა: — დამცინიან მასწავლებლები, აღარ მინდა ორგანიზატორობა, გადამირჩიონო. ჩემმა კოლეგებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ხერხი და მეთოდი, როგორი სრულქმნილიც უნდა იყოს, თავისთავად კი არ მოქმედებს, არამედ მას უნდა იყენებდნენ ადამიანები, ხოლო შედეგები დამოკიდებულია ამ ადამიანების უნარზე.

სასწაელო წლის პირველი დღეებიდანვე ყურადღება გავამახვილე მოსწავლეთა თმის ვარცხნილობაზე. მოსწავლე გ. გამიჯიუტდა. ყველა ვაჟმა თმა გაიკრიჭა, ის კი სულ მპირდებოდა და დანაპირებს არ ასრულებდა. მშობელმაც ვერაფერი გააწყო. იმ დღეებში, შემთხვევით, ამ მოსწავლის უფროსი ძმა ვნახე, ისიც ჩემი ყოფილი მოსწავლე იყო, და მას დავავალე მიეღო ზომები. მაგრამ არც აქედან გამოვიდა რა. ამის შემდეგ გამოვუცხადე, კმარა შენი ტყუილების მოსმენა, თუ თმა არ გაგიკრეჭია, ხვალ გაკვეთილზე არ დაიშვები-მეთქი. მეორე დღესაც თმა გაუკრეჭელი გამოცხადდა სკოლაში, დადგა საკლასო ოთახის მახლობლად და კლასში არ შევიდა. როცა მასწავლებელმა ჰკითხა, რატომ არ შედიხარო, უპასუხა: „კლასის ხელმძღვანელი არ მიშვებსო“. ეხლა ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მოსწავლე თმის გაკრეჭას არ აპირებდა: ის უბრალოდ ერთობოდა იმ ორი კვირის მანძილზე, როცა მე სხვადასხვა ზომებს ეღებულობდი მასზე. ალბათ ფიქრობდა — დაიღლება და თავს დამანებებსო. ამიტომ, იძულებული გავხდი მიდგომა შემეცვალა. მასზე ზემოქმედების მოსახდენად სხვა გზა მომენახა. მოსწავლე კლასში შევიყვანე და დავავალე გაკვეთილების შემდეგ ჩემთან მოსულიყო.

ის მართლაც გამოცხადდა დანიშნულ დროს. მოვიდა საკმაოდ თამამად. თვალებს მისწორებდა და არავითარ სინდისის ქეჯნას არ გრძნობდა. ჩანს, მოელოდა, რომ ხელმძღვანელი მას დაუწყებდა ლანძღვას, ყვირილს, მუქარას და ყოველივე ამის მოსათმენად მომზადებული იყო. ჩვენს შორის მეტად მშვიდი (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) დაახლოებით შემდეგი შინაარსის საუბარი გაიმართა: — შენ ვინ ხარ? —

თქვენი მოსწავლე. (დამხმარე კითხვების მიცემით მე ვაიძულე მისი პასუხი საბოლოოდ ისეთი ყოფილიყო, როგორიც მე მსურდა). მე ვინ ვარ? — ჩემი მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. ვინ ვის განკარგულებას უნდა ასრულებდეს წესის თანახმად? — მოსწავლე მასწავლებლის განკარგულებას. არასწორი მოთხოვნა ხომ არ წარმომიდგენია შენთვის? — არა, მოთხოვნა სამართლიანია. შენ რა გევალებოდა? — თმა უნდა შემეკრიჭა. გამოდის, რომ შენ არ შეასრულე ჩემი სწორი და სამართლიანი მოთხოვნა. —დიახ. გაქვს კი მაგის უფლება? — არა. თუ ჩემმა მოსწავლეებმა ჩემი მოთხოვნა არ შეასრულეს, შეეძლებ მე მათ სწორად აღზრდას?—ვერა. ხომ არ არი საჭირო XI კლასის მოსწავლეებთან რაიმე იძულებითი ღონისძიების ჩატარება? — არა. აქედან წასული რას გააკეთებ? — თმას გავიკრიჭავ. ნამდვილად? — ნამდვილად. გაქვს საჭირო ფული? — მაქვს, — მიპასუხა და ფულიც მანახა. მეორე დღეს მოსწავლე მართლაც თმაგაკრეჭილი გამოცხადდა. მართალია. თმა ოდნავ მეტი დაეტოვებინა, ვიდრე ეს საჭირო იყო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო, ის რომ მოსწავლემ თავი დამარცხებულად სცნო და ეს მოხდა არა ადმინისტრირებისა და ძალის გამოყენებით, არამედ მკაცრი, თანამიმდევრული მოთხოვნის შედეგად.

რა თქმა უნდა აქედან არ იგულისხმება, რომ ასეთი საუბარი ყველა შემთხვევაში დადებით შედეგს მოგვცემს, რომ წარმატების მიღწევისათვის გადამწყვეტია მოყვანილი სიტყვების იმავე თანმიმდევრობით წარმოთქმა და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება. აქ გადამწყვეტი ის არის, თუ როგორ ეჭირა ამ დროს თავი მასწავლებელს, როგორი გამომეტყველება ჰქონდა მის სახეს, რა გავლენას ახდენდა ამ საუბრის დროს თავისი პერსონით მოსწავლეზე, როგორ გამოთქვამდა აღნიშნულ სიტყვებს და სხვა მრავალი.

პირველსავე მეოთხედში ერთ-ერთ საკლასო კრებაზე მოსწავლე ლ. მ. ჩაილაპარაკა: ყოველ წვრილმანზე მშობელს რად იბარებენო. შენიშვნა მომეწონა, მოსწავლე გამოვიყვანე, წავახალისე და ვურჩიე, უფრო გარკვევით, ყველას გასაგონად შემოეტანა ეს წინადადება და თან დაესაბუთებინა, თუ რით არის ეს ცუდი. კამათში მოსწავლეთა საგრძნობმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ასაბუთებდნენ ამ წინადადებას იმით, რომ საკმაოდ დიდები არიან და თავის საქციელზე თვითონვე შეუძლიათ აგონ პასუხი: ჩვენი მშობლები რას გახდებიან, თუ ჩვენ არ მოვინდომეთო და სხვ.

მე აღვნიშნე, რომ არა ვარ წინააღმდეგი თქვენი წინადადებისა, რადგანაც თქვენოდენა ქალიშვილებსა და ვაჟებს უნდა ჰქონდეთ იმდენი შეგნება, რომ სწორად გაითვალისწინონ თავისი მოვალეობა და ამის შესაფერისად მოიქცნენ. ზედმეტად არ უნდა აწუხებდნენ არც მასწავლებლებსა და არც მშობლებს. თქვენ უფლება გაქვთ წამოაყენოთ მოსწავლეთა

საერთო კრებაზე საკითხები, შემოიტანოთ წინადადებები, ვიკამათოთ ყოველივე იმაზე რაც საკამათოა, მაგრამ რაზედაც შევთანხმდებით. რასაც უმრავლესობა ერთხელ გადაწყვეტს, იმის შესახებ მეორედ აღარ ვილაპარაკოთ, იმას მხოლოდ შესრულება უნდა-მეთქი. ერთიმეორეს უნდა დაქხმაროთ და მაშინ არ დამარცხდებით. თუ ხედავთ, თქვენი თანაკლასელი სტყუის, დააშავა და არ აღიარებს ამას, იგი მოურიდებლად უნდა ამხილოთ და თანაც აგრძნობინოთ, რომ მხოლოდ ასეთი მეგობრობაა საუკეთესო მეგობრობა.

დაბოლოს შევთანხმდით, რომ ისინი ბეჯითად იმუშავებდნენ და წესრიგსაც არ დაარღვევდნენ. მე კი, თუ ნაკისრ ვალდებულებას შემისრულებდნენ, მშობლის მოყვანას არ დავავალებდი.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ის სასწავლო წელი მათ წესიერად დაამთავრეს. წლის მანძილზე არცერთ უხეშ გამოსვლას კლასში ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მეცადინეობას, აქაც საკმაო წინსვლა ჰქონდათ და სკოლის დამთავრების ატესტატი ყველამ მიიღო. არც ერთი მოსწავლისათვის მშობლის მოყვანა არ დამივალებია, რადგანაც ამის საჭიროება არ იყო.

მეორე მეოთხედის ბოლო დღეებში, როცა XI კლასის საკლასო ოთახის წინ ვიდექი და მეოთხედური ნიშნების ფურცელს ვათვალიერებდი, ჩემთან მოვიდა მოსწავლე ტ, ს., რაღაც მკითხა და თანაც ნიშნების ფურცელში ჩაიხედა. შემდეგ კი სწრაფად შებრუნდა საკლასო ოთახში. ამ დროს ძლიერი ხმაური შემომესმა იმავე კლასიდან. ისმოდა მხიარული ჟრიამული, სიცილი და ტაშის ცემა. სასწრაფოდ მეც შევედი ოთახში და როცა მოსწავლეები მოწესრიგდნენ, მხიარულების მიზეზი ვიკითხე. მიპასუხეს, ჩვენი ამხანაგი ნ. ს. ფრიადოსანი ყოფილა ამ მეოთხედშიც და ეს გვესიამოვნა ყველასო. ცხადია, მეც ძლიერ მესიამოვნა ის გარემოება, რომ ამხანაგის ასეთი წარმატება უხაროდა მთელ კლასს. ნ. ს. კლასში მოწინავე, წარჩინებული მოსწავლე იყო, ამხანაგებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

ამ შემთხვევამდე და მას შემდეგაც ხშირად მიფიქრია მტკიცე, ერთსულოვან, საქმიან და შეგნებულ მოსწავლეთა კოლექტივზე, კოლექტივზე რომელიც გაერთიანებულია არა ძმაბიჭობისა, უფროსებისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და ერთიმეორის „გაუცემლობის“ პრინციპზე, არამედ სრულიად საწინააღმდეგოზე: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“.

როგორი დიდი ძალა აქვს ასეთ კოლექტივს, რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მას სკოლისათვის, რამდენი დრო და ენერგია გაუთავისუფლდებათ კლასის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს, რამდენით გაიზრდება სასარგებლო დრო გაკვეთილებზე და საერთოდ შრომის ნაყოფიერება! ამ ამოცანის გადაწყვეტა კი არ არის შეუძლებელი, მიუღწეველი.

ამბობენ. შეუცდომელი არავინ არისო. ეს მასწავლებლებზედაც ვრცელდება. შეიძლება მასწავლებელიც შეცდეს, მოტყუვდეს რამეში შეიძლება დაუფიქრებლობის გამო, ან სიჩქარით რაიმე ფაქტი სწორად არ განსაზღვროს, უმართებულოდ მისცეს შენიშვნა მოსწავლეს, მაგრამ ეს არ არის მომაკვდინებელი ცოდვა, ეს მას სახელს არ გაუტეხს, თუ იგი მოსწავლეებს ანგარიშს გაუწევს, მოუსმენს და მომხდარ ფაქტს სწორ ანალიზს გაუკეთებს.

ამ შემთხვევაში მასწავლებლის ჯიუტობა, უსაფუძვლო თავის გამართლება და იმედი იმისა, რომ უფლებითა და ავტორიტეტით ყოველთვის შეიძლება მოსწავლეთა ჩაჩუმება, მცდარი აზრია. მოსწავლე შეიძლება გავაჩუმოთ კიდეც, მაგრამ ეს არც სასარგებლოა და არც საჭირო. ის უნდა დავარწმუნოთ ისე, რომ სათქმელი და თავის გასამართლებელი აღარა დარჩეს რა, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, მოსწავლის გვარი დავასახელე და წესრიგისაკენ მოვუწოდე. ის თავს იმართლებს, რომ წყნარად მისმენდა და წესრიგი არ დაურღვევია. ამ შემთხვევაში, მე მას ვეუბნები: შეიძლება შენ მართალიც იყო, მაშინ თავს ნუ ჩათვლი შეურაცხყოფილად. ამ წუთში მე არ მაქვს საშუალება შევწყვიტო გაკვეთილი და შენი საქმის გამოძიებას შევუდგე. ამიტომ იმ მომენტში, როცა შენიშვნა მოგეცი, ნუ ჩრას მიპასუხებ, მოითმინე, დამთავრდება გაკვეთილი, მოდი ჩემთან და ამიხსენი მდგომარეობა, მე ან დაგიჯერებ, რომ მართალი ხარ, ან დაგიმტკიცებ რომ შენ ეს და ეს გააკეთე და ამან კლასში ხმაური გამოიწვია.

არასოდეს არ იყო ჩემთვის დიდი პრობლემა საერთო კრებაზე მშობელთა უკლებლივ დასწრების უზრუნველყოფა. ამ მიზნით მათთან ბინაზე არასოდეს მივსულვარ და არც მოსაწვევი ბარათები გამიგზავნია. მოსწავლეებს რამდენიმე დღით ადრე ვაფრთხილებდი, ვუსახელებდი დღესა და საათს. თან ვუხსნიდი, რომ ამ კრებაზე მშობლების დასწრება სავალდებულოა. თუ შეგიძლიათ, თქვენ უზრუნველყავით ეს საქმე. ვისაც არ შეუძლია, მითხრას და მე მივიღებ ზომებს. რა თქმა უნდა, მოსწავლეები ამ საქმეში მესამე პირის ჩარევას თაკილობენ. შემდეგ ვუმატებდი: ვინც ვერ უზრუნველყოფს დანიშნულ დღეს მშობლების მოყვანას, მე მაინც ვაიძულებ მოიყვანონ მეორე ან მესამე დღეს. ასე რომ, მშობლის მოყვანა მაინც არ აგცდებათ და თავსაც შეირცხვენთ-მეთქი. პირველ შემთხვევაში კიდევ აღმოჩნდებოდა რამდენიმე ისეთი „გულადი“ მოსწავლე, რომელიც ამ დავალებას არ შეასრულებდა. მეორე დღეს, გაკვეთილების შემდეგ, დავიბარებდი, გამოვკითხავდი მიზეზს და მათთანვე შეთანხმებით ვნიშნავდი მშობლის მოყვანის ახალ ვადას (2-3 დღის ფარგლებში). ვინც ამჯერად არ შეასრულებდა ჩემს დავალებას, მას ვეუბნებოდი: შენ, როგორც ჩანს, ვერ ახერხებ ამ საქმის მოგვარებას. ამიტომ მოდი ჩემთან გაკვეთილების შემდეგ, წავიდეთ ერთად სამსახურში შენს

დედასთან ან მამასთან და მე ვეტყვი მათ, რაც საჭიროა. იცოდნენ რა, რომ ამას აუცილებლად შევუსრულებდი, ისინი პატიოსან სიტყვას მაძლევდნენ, რომ მეორე დღეს აუცილებლად მოიყვანდნენ მშობლებს, და ამას კიდევაც ასრულებდნენ.

ერთ ორშაბათს მოსწავლეებს გამოვუცხადე, რომ ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე შედგება მშობელთა საერთო კრება და დავავალე წინასწარ გაეფრთხილებინათ მშობლები და უზრუნველეყოთ მათი კრებაზე გამოცხადება.

მოსწავლეებმა იგრძნეს, რომ ამ კრებაზე მშობლებს გავაცნობდი მიმდინარე ნიშნებს და მეტად შეწუხდნენ, ვინაიდან ბევრი მათგანი იმედოვნებდა მეოთხედის ბოლოსათვის ნიშნის გასწორებას, მეც დავუდასტურე, რომ ამ კრებას, ძირითადად, სწორედ ასეთი მიზანი ჰქონდა. დაბოლოს ადგა ერთი მოსწავლე და მთხოვა, თუ შესაძლებელია გადამედო კრების მოწვევის ვადა ერთი კვირით: ამ წინადადებას იმავე წუთში მხარი დაუჭირა მთელმა კლასმა და პირობას დებდნენ ამ დროში კარგად იმუშავებდნენ და ნიშნებსაც საგრძნობლად გააუმჯობესებდნენ.

პირველად ვუსაყვედურე, რომ მუშაობა საჭიროა სისტემატურად და არა სეზონურად, მეოთხედის ბოლოს, რაზედაც თქვენ მრავალჯერ ხართ გაფრთხილებული, მაგრამ არ ასრულებთ. მეორე მხრივ, არ მაქვს იმედი, რომ ახლა მაინც შეიგნოთ წესიერად თქვენი მოვალეობა და ბეჯით მუშაობას შეუდგეთ.

დაბოლოს შევთანხმდით, რომ მშობელთა საერთო კრება ჩატარდებოდა მეორე ხუთშაბათს. თან დავუმატე, რომ იმედი მაქვს ამ კრებაზე თითოეული თქვენთაგანი უზრუნველყოფს მშობლის მოყვანას, რაზედაც ერთსულოვნად დამთანხმდნენ. საერთოდ, ადვილია პირობის თქმა ისეთ ვალდებულებაზე, რომელიც უნდა შესრულდეს არა დღეს, არამედ რამდენიმე დღის შემდეგ. მეც ვისარგებლე ამით და მტკიცე პირობა დავადებინე, რომ უკან დასახევი გზა აღარ ქონოდათ. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეებმა საკმაოდ კარგად იმუშავეს ამ ათი დღის განმავლობაში და საკმაო წარმატებასაც მიაღწიეს.

არის შემთხვევა, როცა მოსწავლეები ხშირად იგვიანებენ პირველ გაკვეთილზე, რაც კლასის ხელმძღვანელის სისუსტის ნიშანია. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი არ არის. უფრო ძნელია ბრძოლა გაკვეთილების არასაპატიო მიზეზებით გაცდენასთან. ცნობილია, რომ გარდა ავადმყოფობისა, მოსწავლეები გაკვეთილებს აცდენენ მუსიკის გამოცდებისა და კონცერტებზე გამოსვლის დროს. აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ გაკვეთილების მომზადება ვერ მოასწრო ან ემზადება საკონტროლო წერისათვის. ეს გაცდენები უმეტეს შემთხვევაში მშობლებთან შეთანხმებით ხდება. ისინი იღებენ ექიმისაგან ყალბ ცნობებს შვილის ავადმყოფობის გამო, ან მიდიან კლასის ხელმძღვანელებთან და

სთხოვენ: ბავშვი ავად იყო, ექიმი არ მყოლია და გაცდენა საპატიოდ ჩაუთვალეთო. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მშობლები შვილს მეტად ცუდ სამსახურს უწევენ.

ამ საკითხს ყოველთვის გულდასმით ვამუშავებ მშობელთა საერთო კრებაზე, ვურჩევ, რომ ტყუილი არ უნდა თქვან, საერთოდ, და მით უმეტეს, ბავშვებთან. სჯობს მოსწავლემ ორიანი მიიღოს, ვიდრე გაკვეთილები გააცდინოს და შემდეგ ყალბი ცნობა მოიტანოს სკოლაში. აგრეთვე ვურჩევ მშობლებს — თუ ბავშვს სამუშაო დღეები თანაბრად არა აქვს დატვირთული, მას შეუძლია მძიმე დღეების ერთი ან ორი საგანი წინ გადმოიტანოს და დატვირთვა გაათანაბროს.

კიდევ მეტ სიძნელეს ქმნის შემთხვევა, როცა მოსწავლე ატყუებს მშობლებს და სახლიდან წამოსული სკოლაში სრულიად არ ცხადდება. ამ მხრივ დიდი სიფრთხილე მართებს როგორც სკოლას, ისე მშობლებს. რადგანაც, გარდა იმისა, რომ მოსწავლე გაკვეთილებს ცდება, იგი ნახევარ დღეს ქუჩაში ატარებს უსაქმოდ. ამ დროის განმავლობაში, ვინ იცის, ვის გადაეყრება, რა შეემთხვევა.

კლასის ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ყოველივე, რაც მის კლასში ხდება. მასწავლებლის მუშაობა დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება, თუ ამას ვერ აღწევს. ვიღაცამ კლასში მინა გატეხა, მეორემ კედელი მელნით დასვარა, მესამემ ამხანაგი გოგონა აატირა ან რომელიმე გაკვეთილზე რაღაც წამოიძახა და ამით მასწავლებელს აწყენინა. კლასის ხელმძღვანელს, თუ მას ახლად ჩაბარებული არ ჰყავს ეს კლასი, დიდი გამოძიების ჩატარება არ უნდა მოუხდეს იმის გამოსარკვევად, თუ ვინ გატეხა მინა, ან ვინ დასვარა კედელი და სხვა. არც მესამე პირის დახმარება არის საჭირო, რადგანაც მთავარი ის კი არ არის გაირკვეს ვინ გატეხა ფანჯარა, არამედ ისიც, რომ დამნაშავემ იგრძნოს და აღიაროს დანაშაული.

გაუმართლებელია მოსწავლეების სათითაოდ გამოკითხვა და ცდა რომელიმე მათგანის გამოტეხვისა. ასეთი მიდგომა ხელს არ უწყობს მოსწავლეთა ჯანსაღი კოლექტივის შექმნას. ხდება პირიქითაც. ამხანაგები ასეთ მოსწავლეს აითვალწუნებენ, რაც კლასის დაჯგუფებას იწვევს, ე. ი. კოლექტივის დაშლას ემსახურება.

ჩემი მუშაობის მანძილზე ამ პრინციპიდან გადახვევა მხოლოდ ერთხელ მომიხდა და ისიც სამუდამოდ ჩამრჩა გულში. შუა გაკვეთილის დროს ერთმა მოსწავლემ რაღაც წამოიძახა, მოკლე, მაგრამ რაღაც ისეთი ბგერები გამოსცა, რომ არც ერთი მოსწავლის ხმას არ ჰგავდა. რადგანაც ეჭვი ვერავიზე მივიტანე, განვაგრძე გაკვეთილი, ისე, ვითომ არაფერი მომხდარა. გაკვეთილის ბოლოს ეს უხეშობა განმეორდა. შევნიშნე, რომელი მხრიდან მოდიოდა ხმა. მაგრამ იმ ადგილზე, სადაც დამრღვევი მოსწავლე უნდა ყოფილიყო, ასეთის ჩამდენად ვერავინ წარმოვიდგინე.

ზარიც დაირეკა. მე დავრჩი კათედრასთან, თითქოს ველოდებოდი მოსწავლეების მიერ საკლასო ოთახის განთავისუფლებას. როცა გვერდით ჩამიარა ი. ზ. — ძემ, ხელი გავუწოდე და გვერდზე ფანჯრისაკენ დავუპირე წაყვანა. როგორც კი ჩემი ხელი იგრძნო, მაშინვე მიხვდა რა მაინტერესებდა და ღიმილით მიპასუხა: არ ვიტყვი, მასწავლებელო. სვლაც არ შეგვინელებია, ისე ეუთხარი: არ დავსჯი და არც ვეტყვი, რომ გავიგე. სიტყვის შებრუნება არ დამჭირვებია, ისე დამისახელა კ. ა -ძე. როცა მოსწავლემ ამხანაგის გვარი დამისახელა, მე უხერხულობა ვიგრძენი. მივხვდი, რომ ცუდად გამოვიყენე მისი ნდობა, რომ შეიძლება ეს მოსწავლე გაეკიცხათ ამხანაგებს. ამიტომ, კლასისკენ მობრუნება გამიძნელდა, ალბათ ისინი სახეში შემომხედავდნენ და მე სიმართლის დამალვა გამიძნელდებოდა. მოვბრუნდი მეორე მხარეზე და საკლასო ოთახიდან ისე გავედი, მოსწავლეებისათვის არც კი შემიხედავს.

საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ არ შეიძლება სწავლა-აღზრდის საქმე მთლიანად ძალაზე დავამყაროთ. რაც უფრო მაღალი კლასის მოსწავლეებთან გვექნება საქმე, მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთ მათ აზრსა და შეხედულებას. ხალხურმა სიბრძნემ „სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა“ — აღზრდის საკითხში საპატიო ადგილი უნდა დაიკავოს. მოსწავლე თუ რამეში არ გვეთანხმება, საწინააღმდეგო აზრს ავითარებს, ეს მისასალმებელიცაა. თუ მე ვარ მართალი და ცოდნაც, გამოცდილებაც მეტი მაქვს, ცხადია, ადვილად შევძლებ მოსწავლის საწინააღმდეგოში დარწმუნებას. ამით ჩემს სიტყვასა და აზრს დამაჯერებლობაც მოემატება და პატივისცემაც. მე უფრო ძნელად აღსაზრდელი მგონია ის მოსწავლე, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ გვიწევს, დადგება მუნჯივით და პასუხსაც არ იძლევა, ყველაფერზე თავს გვიკრავს, „დიახს“ გაიძახის და იქვე სახეზე ეტყობა, რომ არაფრის შესრულებას არ ფიქრობს.

ამრიგად, თუ კლასის ხელმძღვანელი შეძლებს გამონახოს საერთო ენა თავის აღსაზრდელებთან, იპოვის მათი გულისა და სულის გასაღებს ისე, რომ მოსწავლეები მას სრული ნდობითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ, ის ნამდვილად შექმნის ერთსულოვან, დადებითი ჩვევებისა და პრინციპების მქონე მოსწავლეთა მტკიცე კოლექტივს, რომელიც ყოველგვარ გამოცდას გაუძლებს. მაგრამ, თუ კლასის ხელმძღვანელი ასეთი არ არის, რაგინდ ძლიერიც იყოს ამ კლასის მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობა, კლასს სუსტი ხელმძღვანელის ხელი მაინც დააჩნდება სამუდამოდ, რადგანაც არ იქნება ის მაორგანიზებელი ძალა, რომელიც თავს მოუყრის და სისტემაში მოიყვანს ყოველივე კარგს, რასაც ამ კლასში მასწავლებლები და მოსწავლეები აკეთებენ.

ბავშვის აღზრდაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. სკოლამდელ ასაკამდე გადამწყვეტია ოჯახი, ან სკოლამდელი დაწესებულება, ხოლო სასკოლო ასაკიდან — ოჯახი და სკოლა. სკოლასა და ოჯახს შორის აუცილებლად უნდა იყოს ურთიერთგაგება. ისინი ერთმანეთს უნდა ეხმარებოდნენ და ავსებდნენ, მათ შორის უნდა იყოს ნდობა და პატივისცემა. ამის გარეშე ბავშვის აღზრდა წესიერად ვერ წარიმართება.

მასწავლებლის რომელიმე ღონისძიება შეიძლება არ მოეწონოს მშობელს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას მართებს მოთმინება, რათა გაერკვეს იმაში, თუ რატომ ატარებს მასწავლებელი ამ ღონისძიებას, რა მიზანს ისახავს და რამ გამოიწვია მისი საჭიროება. შესაძლებელია მასწავლებელი დაკვირვებას ან ცდას აწარმოებდეს, რომელიც ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება, ამიტომ საჭიროა გულდასმით მოვუსმინოთ მასწავლებელს, ხელი შევუწყოთ და უხეშად არ ჩავერიოთ მის საქმიანობაში. მასწავლებლის მიმართ ბავშვის საჩივარს მშობელმა უნდა მოუსმინოს, მაგრამ კრიტიკულად შეხედოს მას და საჭიროების შემთხვევაში შეამოწმოს კიდეც. ზოგჯერ ბავშვს არაობიექტური ეჩვენება მასწავლებლის მოქმედება, ზოგჯერ კი განზრახ ტყუის, რომ მშობელთან თავი იმართლოს. მშობელი უნდა ეცადოს ავტორიტეტი შეუქმნას მასწავლებელს შვილის თვალში, ურჩიოს და დაარწმუნოს, რომ იგი ისე უნდა მოიქცეს, როგორც მასწავლებელი მოითხოვს, იმეცადინოს ბეჯითად და სხვ.

... კლასის ხელმძღვანელმა საკლასო ოთახის გასაღები ჩააბარა მორიგეს. ლაბორატორია-კაბინეტებში წასვლისას მოსწავლეებს მიჰქონდათ მხოლოდ რვეულები და სახელმძღვანელოები, დანარჩენი სასწავლო ნივთები რჩებოდა დაკეტილ საკლასო ოთახში. ერთ დღეს კლასის ხელმძღვანელმა შენიშნა, რომ გაკვეთილის დაწყების შემდეგ საკლასო ოთახი დაკეტილია, ხოლო მასწავლებელი და მოსწავლეები გარეთ დგანან. გამოირკვა, რომ მორიგეს გასაღები დაუკარგავს. როდესაც მას შეეკითხნენ, სად და როგორ დაკარგა გასაღები, ის ხმას არ იღებდა, უბრალოდ მხრებს იჩეჩდა და არც ეტყობოდა, რომ მომხდარის გამო წუხდა. სკოლის სამნეო წაწილის გამგისაგან სხვა გასაღების მიღებამდე გაკვეთილის ათი წუთი მაინც გაცდა. ამ დაუდევრობის გამო კლასის ხელმძღვანელმა მორიგე მოწაფე გაკვეთილზე არ დაუშვა. ამ დროს სკოლაში მოვიდა ბავშვის დედა. როცა გაიგო, რატომ არ დაუშვეს მისი შვილი გაკვეთილზე, საშინლად აღშფოთდა და კლასის ხელმძღვანელს დაუწყო დავა, მისი შვილის კლასიდან გარეთ გამოშვების გამო. შეიძლება ვიდავოთ იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ამ შემთხვევაში გაკვეთილიდან ბავშვის გამოყვანა. ერთნი ამბობენ, რომ მოსწავლეს ამით გაკვეთილი უცდება, რაც მის აკადემიურ ჩამორჩენას უწყობს ხელს, რომ დასჯის ღონისძიებას სჯობს

აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა და სხვ. მეორენი ამტკიცებენ, რომ საჭიროა მოსწავლემ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნოს ჩადენილი დანაშაულისათვის და დაისაჯოს; სავსებით უდავოა, რომ მშობლის ჩარევა ამ შემთხვევაში დაუშვებელი და მიუღებელია. ის საზიანოა თვით მისი შვილისათვის, რადგან კლასის ხელმძღვანელის ავტორიტეტს აქვეითებს.

მეხუთეკლასელმა მოსწავლემ დედას უთხრა: ყველაფერი სწორად ვუპასუხე, მაგრამ მასწავლებელმა მაინც ორიანი დამიწერაო. დედამ შვილის ეს განცხადება უკრიტიკოდ მიიღო, მოეფერა „უკანონოდ დაჩაგრულ" შვილს და ასე ანუგეშა: ხვალ მივალ სკოლაში და ნახე, რა დღე დავაყენო შენს მასწავლებელსო. მის შვილს ყველაფერი რომ სცოდნოდა, მასწავლებელი ორიანს არ დაუწერდა. სამწუხაროდ, არიან მშობლები, რომლებსაც ყველაფერი სჯერათ თავისი შვილებისა, ყველა შემთხვევაში ცდილობენ მათ დაცვას, გამართლებასა და შვილის ყოველი წარუმატებლობის მიზეზს სხვას აბრალებენ.

... ნანამ სკოლაში სამი დღე გააცდინა. კლასის ხელმძღვანელმა გაიგო, რომ ის ავად არ იყო, კონცერტზე გამოსასვლელად ემზადებოდა. სამი დღის შემდეგ დედა გამოცხადდა სკოლაში და კლასის ხელმძღვანელს უთხრა — ნანა ავად მყავდა, სიცხე ჰქონდა და ამიტომ გაუცდა გაკვეთილებიო. ცხადია, მოტყუების ეს ვარიანტი შემუშავდა ოჯახში თვით ბავშვის თანდასწრებით. ისმება კითხვა: ამის შემდეგ დედას უფლება აქვს მოსთხოვოს შვილს, რომ მან ტყუილი არ ილაპარაკოს? დღეს დედა-შვილმა სცადეს კლასის ხელმძღვანელის მოტყუება, ხვალ შვილი მშობელს მოატყუებს, დედა კი მასწავლებლებს შესჩივლებს — ვისგან ისწავლა ჩემმა შვილმა ტყუილიო.

დიდი სიფრთხილე მართებთ მშობლებს, როცა ისინი შვილებს დავალების შესრულებაში ეხმარებიან, მზა პასუხის მიცემა იგივე კარნახია, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. როცა შვილი ეკითხება დედას, 6-ჯერ 15 რამდენიაო, პირდაპირი პასუხის გაცემას სჯობს ვასწავლოთ როგორ იანგარიშოს და ნამრავლი 90 თვითონ იპოვოს. როცა წაკითხულ ტექსტში რაიმე ვერ გაიგო, ვურჩიოთ უფრო გულდასმით წაიკითხოს ეს ადგილი. ასეთი მიდგომით ბავშვი თანდათანობით მიეჩვევა სიძნელეების საკუთარი ძალებით გადალახვას და დავალების დამოუკიდებლად შესრულებას. მაგრამ კონტროლზე მშობლებმა ხელი არ უნდა აიღონ!

მშობლები ზოგჯერ მიმართავენ ბავშვების ფიზიკურ დასჯას. სამწუხაროდ, ზოგიერთს ამ „მეთოდით" თავიც მოსწონს. არის შემთხვევა, როცა სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეების თანდასწრებით მშობელი სცემს შვილს — გოგონასაც კი.

არაპედაგოგიურია ის ღონისძიებაც, რომელიც ითვალისწინებს სახლ-

ში ბავშვის ჩაკეტვას, შიმშილობას და სხვა. ამ ღონისძიებათა შესახებ პედაგოგიკის თეორეტიკოსებს და მასწავლებლებს შორის ორი აზრი არ არსებობს. ეს „მეთოდები" დიდი ხანია დაგმობილია და ამის შესახებ მშობლებმაც იციან, მაგრამ ზოგიერთი მას მაინც მიმართავს.

გარდა ფიზიკური დასჯისა, არსებობს სხვა უამრავი საშუალება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიმართოს მშობელმა, მაგრამ ერთი აუცილებელი პირობა ყოველთვის უნდა იქნას დაცული. დასასჯელმა ყოველთვის უნდა იცოდეს რა დააშავა, რით არის ცუდი მისი საქციელი და განუმარტოთ როგორ უნდა მოქცეულიყო. ამის გარეშე დასჯა დადებითი შედეგის მაგივრად ზიანს მოიტანს.

სკოლის დირექტორი

სკოლის დირექტორის როლი პედაგოგიური კოლექტივისათვის განუსაზღვრელად დიდია. მას შეუძლია განამტკიცოს, შეადუღაბოს და ერთ მთლიან, ერთსულოვან ორგანიზმად აქციოს მასწავლებელთა კოლექტივი, და თავისი ცუდი მუშაობითა და სისუსტით წაახდინოს და დაშალოს მეტად კარგი კოლექტივი. დირექტორი სკოლის სულიც არის და გულიც, მისი ტვინიცა და თვალებიც — ამიტომ ის, აუცილებლად, მასწავლებელთა მასწავლებელიც უნდა იყოს. საინტერესოა ამ საკითხზე ა. ს. მაკარენკოს შეხედულება: „პედაგოგიური კოლექტივის ერთიანობა აუცილებელია, ყველაზე ახალგაზრდა, ყველაზე გამოუცდელი პედაგოგიც კი მთლიან მტკიცედ შეკავშირებულ კოლექტივში, რომელსაც თაოსნობს კარგი ოსტატი ხელმძღვანელი, მეტს გააკეთებს, ვიდრე გამოცდილი და უნარიანი პედაგოგი ისეთი დირექტორის ხელში, რომელიც მოქმედებს პედაგოგიურ კოლექტივთან შეუთანხმებლად.

საჭირო და აუცილებელიც არის, რომ დირექტორი თავისი სკოლის მასწავლებელთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდეს, მათთვის ავტორიტეტს წარმოადგენდეს, მისდამი რწმენა ჰქონდეთ და ენდობოდნენ მას. მაგრამ ყველა ეს თვისებები არ მოვა თავისთავად, არც დაკვეთით და არც მოთხოვნით. საჭიროა მათი დამსახურება. კარგი მუშაობითა და კოლექტივის წევრთა პატივისცემით, მათი სამართლიანი ინტერესების დაცვით.

დირექტორი, რომელსაც გაკვეთილის ჩატარების დროს კარი მაგრად აქვს ჩაკეტილი, ასეთ პატივს ვერ დაიმსახურებს. თუ მისი გაკვეთილი რამდენიმეჯერ არ მოისმინა მასწავლებელმა, თუ გაკვეთილი სანიმუშო არ აღმოჩნდა, რაიმე ახალი და მახვილგონივრული არ უჩვენა დამსწრეთ,

გაკვეთილის გარჩევის დროს თავმდაბლობა არ გამოიჩინა, ისე ხელოვანისა და კარგი მასწავლებლის ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს. მის რჩევა-დარიგებას დამაჯერებლობა მოაკლდება.

იყო ობიექტური და სამართლიანი ყველას მიმართ, აუცილებელია ადამიანისთვის, მაგრამ საკმაოდ ძნელიც. სხვადასხვა გარემოებათა გამო, რაღაც წინასწარ შემუშავებული აზრი თუ წარმოდგენა ქვეშეცნობილად მაინც ახდენს გავლენას ჩვენზე და სწორ გეზს აგვაცდენს ხოლმე. სიდინჯე და აუჩქარებლობა, სხვებისთვის ყურის დაგდება და მოსმენა თავდებია იმისა, რომ ასეთ ცდუნებას თავი ავარიდოთ.

მოვიტან ასეთ მაგალითს: მეათე კლასის მოსწავლე ორმა ვაჟმა ჩაუარა სასკოლო ბუფეტს. იქ საკმაოდ გრძელი რიგი იდგა და ქუჩაში გავიდნენ. იქვე, მოსახვევში, კასრით ლუდი იყიდებოდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ მივიდნენ და თითო ჭიქა ლუდი დალიეს. ჭიქები დაცლილი არც კი ჰქონდათ, რომ დირექტორის ხმა მოესმათ: როცა დაამთავროთ, ჩემთან შემოიარეთო. ბიჭები საკმაოდ კარგი წარმატების მოსწავლეები იყვნენ და წესრიგის დარღვევაშიც არასდროს ყოფილან შემჩნეული. დირექტორმა ფარული ღიმილით და გამარჯვებულის ტონით, თითქოს ორი დიდი ბოროტმოქმედი შეიპყრო, ტელეფონით გამოიძახა კლასს ხელმძღვანელი და დაავალა მათზე სათანადო ზომების მიღება. ამ უკანასკნელმა კი დირექტორის დავალება ფრიად სერიოზულად მიიღო და დიდი „აღმზრდელობითი“ მუშაობაც ჩაატარა მათთან. „სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოსო“, — სწორედ ასეთ დირექტორზე და მასწავლებელზე ითქმის.

რა საჭირო იყო ასეთი გაზვიადება, ან რა ჩაიდინეს ბიჭებმა ისეთი, რომ განგაში გამოაცხადა დირექტორმა და მას გვერდში კლასის ხელმძღვანელიც ამოუდგა. საკითხის ამგვარ დაყენებას კარგი არავისთვის არ მოაქვს. ამის გამო დირექტორმაც და მასწავლებელმაც, ამ ბიჭების თვალში დაკარგეს ყოველგვარი პატივისცემა და ნდობა.

უფრო გონიერი და წინდახედული დირექტორი გვერდით ისე გაუვლიდათ, რომ ახალგაზრდები საგონებელში ჩავარდნილიყვნენ — დაგვინახა თუ არაო. ამას გაცილებით უკეთესი შედეგი მოჰყვებოდა. შემდეგ გაეცნობოდა მათ აკადემიურ წარმატებას. თუ ყველაფერი წესრიგში იქნებოდა, საქმეს ამით დახურავდა; შემდეგ შეეძლო ეთქვა, რომ სკოლის ეზოდან გასვლა, გაკვეთილების დამთავრებამდე არ არის დასაშვები.

ასეთი საქციელის გამო დირექტორის ავტორიტეტი ამ მოსწავლეების თვალში გაიზრდებოდა, და მის რჩევა-დარიგებას შემდეგისათვის ფასი მიეცემოდა.

კარგი დირექტორი და, საერთოდ, კარგი ხელმძღვანელი ყოველთვის მომთხოვნია. მომთხოვნელობა აუცილებელი პირობაა. ამის გარეშე ხელმძღვანელი მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგება, როგორი კარგი

თვისებებითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული. მასწავლებლისთვის ყოველი დავალების მიცემის დროს, დირექტორი სწორად უნდა ანგარიშობდეს, რა დრო და ენერგია მოუნდება მის შესრულებას. მხედველობაში უნდა მიიღოს მასწავლებლის პირადი ინტერესებიც, რომ მას აქვს ოჯახი, რომელიც მისგან გარკვეულ დროსა და ენერგიას მოითხოვს, აქვს სულიერი ცხოვრებაც, კულტურული მოთხოვნილებები და სხვა, რომლებზედაც ხელის აღება არ შეიძლება. ვისაც ეს ინტერესები არ აქვს, ის მასწავლებლად არ გამოდგება. ყოველთვის, ყოველგვარი დავალებისა და მომთხოვნელობის დროს, შესაძლებლობის ფარგლებში მაინც უნდა იქნას გათვალისწინებული როგორც სკოლის, ისე თითოეული თანამშრომლის ინტერესები. ამის გარეშე ნორმალური დამოკიდებულება და ურთიერთგაგება ვერ დამყარდება დირექტორსა და პედკოლექტივს შორის და, მაშასადამე, წესიერი ნაყოფიერი მუშაობისთვის საჭირო ატმოსფერო არ შეიქმნება სკოლაში.

გამოდის რომ, დავალების მიცემის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, მომთხოვნელობაში დიდი სიმტკიცე და სიმკაცრე, მაგრამ სიმკაცრეში უხეშობა არ იგულისხმება. ეს საჭიროა არა მარტო იმისთვის, რომ რომელიმე კონკრეტული დავალება ხარისხიანად იქნას შესრულებული, არამედ იმ მასწავლებლებისთვისაც, რომელთაც დავალება ეძლევათ, რადგანაც ყოველი საქმიანობის დროს დირექტორი უნდა აწარმოებდეს პედკოლექტივის აღზრდას. სწორედ ამ მოსაზრებით მან დაბალი ხარისხით შესრულებული სამუშაო არ უნდა მიიღოს, მაგრამ მეტად თავაზიანად და სათანადო დასაბუთებით კი დაუბრუნოს უკან. აშკარად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ამდენი ცერემონიისთვის დირექტორს დრო არ ეყოფაო. სწორედ დროის დაზოგვის მიზნითაც გამართლებული იქნება ასეთი მიდგომა. მასწავლებლები ჩქარა აუღებენ ალღოს, შეეჩვევიან მომთხოვნელობას და ადვილად შეეგუებიან მას. საბოლოოდ კი დირექტორს ბევრი დრო გაუთავისუფლდება, დავალება ხარისხიანად შეუსრულდება და პედკოლექტივიც სწორ აღზრდას მიიღებს.

დირექტორმა უნდა იმუშაოს თავისი საკუთარი პედაგოგიური სინდისის მიხედვით და ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს საქმის ინტერესებიდან გამოდიოდეს.

თუ ადამიანი პრინციპული არ არის, ის სხვის ხელმძღვანელად არ გამოდგება. ჭეშმარიტება და სიმართლე არ იბადება თავისთავად, უმტკივნეულოდ. მისი მოპოვებისათვის დიდი ბრძოლაა საჭირო და ვისაც ამ ბრძოლის ეშინია, ის დაწესებულების მეთაურად არ გამოდგება. ასევე, ვინც სკოლის სამართლიან ინტერესებს ბოლომდე ვერ დაიცავს და რაღაც „სხვა“ მოსაზრებებით მას საკუთარი ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანს, ის დირექტორად არ ვარგა.

თუ დირექტორი არ არის ძლიერი, არ ხასიათდება მაღალი კულტუ-

რითა და ფართო განათლებით, არ ბრწყინავს პედაგოგიური დახელოვნებით, მაღალ პედაგოგიურ დონეზე ვერ ატარებს გაკვეთილებს, ვერ გრძნობს თავის დიდ პასუხისმგებლობას. ახალგაზრდობისა და საზოგადოების წინაშე — ასეთ დირექტორს არ შეიძლება ავტორიტეტი ჰქონდეს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. აქედან გამომდინარე — პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაც ვერ იქნება ნაყოფიერი. დირექტორი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დამალავს თავის სისუსტეს არა თუ პედკოლექტივის, არამედ მოსწავლეთა წინაშეც.

სკოლის დირექტორის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა ისიც არის, რომ აამაღლოს მასწავლებელთა პედაგოგიური დონე: გააუმჯობესოს მათ მიერ გადაცემული გაკვეთილების ხარისხი, ამრავლოს მოწინავე მასწავლებელთა რიცხვი, გახადოს ისინი მომთხოვნი, სამართლიანი, დისციპლინიანი, შეადუღაბოს და შეკრას მასწავლებელთა კოლექტივი, რის გარეშეც სკოლა თავის საპატიო მისიას ჯეროვნად ვერ შეასრულებს, როგორ შეუძლია ამ რთულ და დიდად საპასუხისმგებლო ამოცანებს თავი გაართვას სუსტმა დირექტორმა!

როგორ წესი, სკოლიდან თანდათანობით მიდიან ხანშიშესული და გამოცდილი მასწავლებლები მოხუცებულობის პენსიაზე გადასვლის გამო. მათ ადგილს იკერენ ახალგაზრდები, რომლებიც პირველად გამოდიან მასწავლებლის როლში. მათ უმაღლესმა სასწავლებელმა მასწავლებლობის წოდება მისცა მხოლოდ. ნამდვილ მასწავლებლად კი უნდა იქნენ და გაიზარდონ სკოლაში. მათი მასწავლებლად ჩამოყალიბება ბევრად არის დამოკიდებული იმ პედაგოგიური კოლექტივისაგან, რომელიც მათ ამ სკოლაში დახვდებათ. განსაკუთრებით დიდი გავლენა ექნება მათზე დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგეების სწორსა და კარგ ხელმძღვანელობას. რამდენად გულთბილად მიიღებენ სკოლაში და სამართლიანად მოექცევიან, რა რჩევა-დარიგებას მისცემენ, რა მაგალითებს უჩვენებენ თავიანთი მუშაობიდან, როგორ ობიექტურად და ხარისხიანად გაურჩევენ გაკვეთილებს და სხვა, ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მათ ნამდვილ მასწავლებლად ფორმირებაში.

მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია დირექტორის სამუშაო. მაგალითად, ცნობილია, რომ მასწავლებლების მუშაობას პერიოდულად ამოწმებენ ქალაქისა და რაიონის ინსპექტორები, საგნის მეთოდისტები, მაგრამ ერთი ან ორი გაკვეთილის მოსმენით და სათანადო დაგმების განხილვით არ შეიძლება მასწავლებლის მუშაობაზე, მის უნარზე, მომზადებაზე, შრომისმოყვარეობაზე და სხვა მრავალ თვისებაზე სრული წარმოდგენა ვიქონიოთ. ეს საქმე ძირითადად სკოლის დირექტორის ფუნქციაა, რომელსაც ის თავისი სასწავლო ნაწილის გამგეების დახმარებით ახორციელებს. მასწავლებელმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს, თვალი აუხვიოს გარედან მოსულ მეთოდისტს და თავისი ნამუშევარი ისეთი კუთხით

უჩვენოს, რომ რაღაც დადებითი ეფექტი მოახდინოს მასზე. მაგრამ ის ვერაფერს გამოაპარებს დირექტორს, რომელიც მას ხედავს გაკვეთილზე წასვლისას და გაკვეთილიდან დაბრუნების დროს, ხედავს მოსწავლეებში, ან მათ მშობლებთან მოსაუბრეს, ხედავს პედთათბირებზეც და პედსაბჭოს სხდომებზე. დირექტორს საშუალება აქვს გაკვეთილზე დაესწროს მასწავლებელს, როცა მოესურვება და რამდენჯერაც საჭიროდ დაინახავს. დირექტორი უნდა ხედავდეს, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს მასწავლებელი მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და კოლეგებს შორის, რამდენად დროულად და ხარისხიანად ასრულებს დავალებებს. თუ ამას დავუმატებთ იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც დარჩა მოსმენილი გაკვეთილებიდან, მაშინ მას სრული და ნათელი წარმოდგენა შეექმნება თითოეულ მასწავლებელზე,—რამდენად პასუხობენ ისინი თავიანთ დანიშნულებას როგორც საგნის მასწავლებლები, როგორც აღმზრდელები, როგორც პატრიოტები და ქვეყნის გულშემატკივრები.

დიახ! დიდია დირექტორის საქმიანობის არე, და თუ მას აქვს თვალი იმისთვის, რომ ყოველივე დაინახოს და შენიშნოს, ყური იმისთვის, რომ ყოველივე გაიგოს, გონება და ცოდნა-განვითარება იმისთვის, რომ ის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მოახმაროს, მაშინ ასეთი სკოლის ჩარხი მუდამ წაღმა იტრიალებს.

სწავლა და აღზრდა განუყოფელია

„შეუძლებელია აღვზარდოთ ისე, რომ ცოდნა არ გადავცეთ. ყოველი ცოდნა აღმზრდელობითად მოქმედებს.“ ლ. ტოლსტოის ეს სიტყვები სრული ჭეშმარიტებაა. ხოლო თუ ზოგ შემთხვევაში ვლაპარაკობთ და ვსახავთ ღონისძიებებს ცალკე სწავლებაზე, ცალკე ცოდნის გადაცემაზე და ცალკე აღზრდაზე, ეს იმის მანიშნებელია, რომ ყურადღება ძირითადად მახვილდება კერძოდ ამ საკითხზე. ყოველი სასწავლო მასალის ახსნა, საუბარი მეცნიერულ თემაზე და სწავლება საერთოდ, ყოველთვის შეიცავს აღზრდის მომენტებს. ზოგ შემთხვევაში ეს მომენტი მეტია, ზოგგან ნაკლები, მაგრამ საკვანძოთ გამორიცხული ის არასდროს არ არის.

მაგალითად, იმ ლექსის დაზეპირება, რომელიც მასწავლებელმა მოსწავლეს საშინაო დავალებად მისცა, განეკუთვნება სწავლა-ცოდნის შეძენას, მაგრამ მასში ძლიერ ბევრია აღზრდის მომენტები. მოსწავლემ დამოუკიდებლად, სხვისი გაფრთხილების გარეშე გაიხსენა, რომ ლექსი აქვს დასასწავლი. ამისთვის მან მოიკრიბა ენერგია, გამოყო სათანადო დრო და შეუდგა საქმიანობას. ამ დროის გამოყენება შეიძლება მას სხვაგვარად უფრო ესიამოვნებოდა, მაგრამ დაძლია ცდუნება და შეუდგა

თავისი ვალდებულების შესრულებას. ეს უკვე ნებისყოფის გამოჩენის, პასუხისმგებლობის გრძნობის გამოხატვაა. გაუძნელდა დაზეპირება, მას მეტხანს მოუნდა, ვიდრე ეგონა, მაგრამ მაინც არ ეშვება და განაგრძობს მუშაობას, სანამ არ დარწმუნდა კარგად ვიცი. გამარჯვებამ კარგ განწყობაზე დააყენა, გაახარა და გადაშლილი წიგნით დედასთან გაიქცა: დედიკო, აბა დაიჭირე წიგნი, მე ვიტყვი ლექსს ზეპირადო. ლექსი უშეცდომოდ თქვა და შენიშნა, თუ როგორ ასიამოვნა დედას, როგორ მოეფერა და შეაქო მან. ბეჯითობასა და შრომისმყვარეობაზე ჩატარებული საუბარი იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანდა ბავშვს, რამდენიც ამ მეცადინეობამ მოუტანა.

ადამიანს მარტოობაში არ მოსწყინდება თუ მას ერთი კარგი წიგნი მაინც აქვს ხელთ. მკითხველს, რომელსაც განვითარებული აქვს მხატვრული გემოვნება, უყვარს ჩვენი აწმყო და წარსული, იმედით შეჰყურებს მომავალს — ასეთი ადამიანის ხელში ჩვენი სახელოვანი პოეტების მხატვრული სიტყვის ოსტატების ნაწარმოებები და სხვა ენიდან თარგმნილი შედევრები სიბრძნის, სიკეთის და სილამაზის უშრეტი წყარო იქნება, რომელიც მოსაწყენი არასდროს არ არის და ყოველი წაკითხვის შემდეგ სულ ახალ და ახალ ლამაზ სახეებს გვაცნობს. მისი სიკეთე ისევე უშრეტია, როგორც დიდი სიღრმიდან მომდინარე მთის წყარო.

მოსწავლე ახალგაზრდობაში ლიტერატურის ასეთი სიყვარული თავისთავად არ მოვა. ის მასწავლებელთა, აღმზრდელთა და, განსაკუთრებით, ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დაუღალავი შრომისა და ყურადღების შედეგი უნდა იყოს. ყოველმხრივ განვითარებული, მაღალი ზნეობის ადამიანის ფორმირებაში ყველა სასწავლო დისციპლინას შეაქვს გარკვეული წვლილი. მშობლიური ენისა და ლიტერატურის როლი ამ საქმეში განსაკუთრებით დიდია — მისი საგანი ხომ თვით სილამაზე და მშვენიერებაა, სიყვარული და მეგობრობაა, თავდადება და მამულიშვილობაა და ამიტომ ამ იდეებმა რომ მოზარდი ახალგაზრდობა არ დაინტერესოს, არ გაიტაცოს,—შეუძლებელია, თუ მასალა მოხერხებულად და საინტერესოდ იქნება მიწოდებული, თუ მასწავლებლების საუბარში გასაგებად იქნება ნაჩვენები ნაწარმოების სიკეთე.

მეფის დროინდელ გიმნაზიებში ისწავლებოდა მეტად მდიდარი კლასიკური ენები — ლათინური და ძველი ბერძნული. მათ ყველა განათლებულ ქვეყანაში ასწავლიდნენ. ამიტომ, ამ ენებზე არსებული მრავალი აფორიზმი, მხატვრული შედარებები, მახვილგონივრული თქმები, ბრძნული და ფილოსოფიური გამონათქმები მაშინ ყველა ნასწავლმა და განათლებულმა ადამიანმა იცოდა ზეპირად იმიტომ, რომ ეს მასალა სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი და მათ მოსწავლეებს აზეპირებინებდნენ. ყოველგვარი კამათისა და აზრთა ჭიდილის დროს ისინი ამ ცოდნას მეტად მოხერხებულად იყენებდნენ, როგორც ზეპირ ისე წერით მეტყველებაში, რაც მსჯელობას ლაკონურს ხდიდა, სილამაზე შეჰქონდა შიგ და დამაჯერებლობას მატებდა.

ამ ენების სასწავლო გეგმიდან ამოღების შემდეგ თანდათანობით შემცირდა მათი მცოდნე ადამიანთა რიცხვი და აღნიშნული მასალა ხმარებიდან გამოვიდა. სამწუხაროდ მის ადგილზე თითქმის სიცარიელე დარჩა, რამაც უცილობლად გააღარიბა ჩვენი მეტყველებაც.

ჩვენი მდიდარი და ღრმაშინაარსიანი, თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობა, განსაკუთრებით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების უხვმოსავლიანი პოეზია და პროზა, ისეთ მდიდარ მასალას შეიცავს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია გადაჭარბებით შეავსოს ეს ხარვეზი. ამ ძვირფასი მასალის შემეცნებითსა და აღმზრდელობით მნიშვნელობას რომ ჯეროვნად ვერ ვიყენებთ, ამაში უპირველესად ჩვენს ფილოლოგებს, განსაკუთრებით მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს და შესაბამისი სახელმძღვანელოების ავტორებს უნდა ვუსაყვედუროთ.

ცნობილია, რომ რაიმე მსჯელობის, ან დებულების ნათელსაყოფად ერთ ანდაზას ან აფორიზმს იმდენის მოცემა შეუძლია, რამდენსაც ვერ მივცემთ ათი-თხუთმეტი წუთის მსჯელობისას. გარდა ამისა, ამ მასალის გამოყენება მსჯელობას, ზეპირ თუ წერით მეტყველებას სილამაზეს, სიმახვილეს მატებს და უფრო გასაგებსა და დამაჯერებელს ხდის მათთვის, ვინც გვისმენს. ამ გარემოებას აუცილებლად ანგარიშის გაწევა უნდა, რადგანაც დიდია მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. მაგრამ ეს მასალა რომ საჭირო ადგილზე მოხერხებულად გამოვიყენოთ, ის ჩვენ თვითონ უნდა ვიცოდეთ კარგად, გვესმოდეს მისი ღირსება-ღირებულება და ღრმად ვიყოთ ჩამწვდარი მის აზრსა და შინაარსში.

ამ მეტად სასარგებლო და კეთილშობილურ საქმეს დიდად შეუწყობს ხელს, თუ ამ მასალას ამოკრებთ ჩვენი მწერლებისა და ჟურნალისტების შემოქმედებიდან, დაწყებული რუსთაველით, ან უფრო ადრეც, და დამთავრებული თანამედროვეობით. მისი გამოცემა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისთვისაც კი განუსაღზვრელად დიდი იქნება. თავისთავად ცხადია აქ ჯეროვანი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენმა მეტად მდიდარმა ფოლკლორმა. გამომცემლობა „ნაკადულმა" ქართველ მკითხველს უძღვნა ოცტომიანი „ჩვენი საუნჯე". ახლა რომ ამ მარგალიტებსაც ამოკრებდეს, მაშინ ჩვენ საუნჯეთა საუნჯეს მივიღებდით. შემდეგ, ცხადია, საჭირო იქნება ამ მასალიდან ყველაზე უფრო ძვირფასი ანდაზები, გამოცანები, აფორიზმები, ულამაზესი შედარებები, მახვილგონივრული თქმები და აღმზრელობითი მნიშვნელობის სხვა მასალა, რომლებიც სრულქმნილნი არიან, როგორც შინაარსის ისე ფორმის მიხედვითაც, ცალკე გამოყონ სახელმძღვანელოთა ავტორებმა და მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად უხვად შეიტანონ სახელმძღვანელოებში, როგორც დამხმარე მასალა.

მასწავლებელი მაშინ შეძლებს დამხმარე მასალით მოსწავლეთა დაინტერესებას, თუ თვითონ იქნება ამ საკითხში დახელოვნებული, თუ თავისი საუბრის დროს მოხდენილად გამოიყენებს მას და მოსწავლეთა დაინტერესებას ყურადღებისა და სათანადო რეაგირების გარეშე არ დატოვებს. ეს მასალა მოსწავლეებს უნდა დავასწავლოთ, მის გამოყენებას

შევაჩვიოთ, მაგრამ არა ბრძანებით და ძალდატანებით. მასწავლებელმა უნდა შეძლოს დააინტერესოს ამ მასალით თავისი მოსწავლეები, შეაყვაროს მათ კითხვა და აღუძრას სურვილი მათი დაზეპირების.

მზა მასალის მიწოდება და მისი, თუ გნებავთ, შეგნებულად დაზეპირების მოთხოვნა წარმატებისთვის სრულიად არ არის საკმარისი. საჭიროა მოსწავლეებს იმდენად გავუმახვილოთ მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება, ალღო და ნაწარმოების სიღრმეში ჩაწვდომის უნარი, რომ ახალ ტექსტზე მუშაობის დროს დამოუკიდებლად შეძლონ მისი სწორად წაკითხვა, მთავარი იდეის გაგება, მხატვრული ღირსების შეფასება და, ყოველივე ამის გამო, სიამოვნების განცდა, როგორც ამას განვიცდით კარგი მუსიკის მოსმენის დროს, ან ხელოვნების სხვა დარგის შედევრის დათვალიერებისას. ამისთვის კი აუცილებელია თვით მასწავლებელი გრძნობდეს, განიცდიდეს ყოველივეს.

კლასგარეშე ლიტერატურის კითხვას მოსწავლეები პირველი კლასიდანვე იწყებენ, მათ მუშაობას ახალისებს და კონტროლს უწევს მასწავლებელი. სასურველია თავიდანვე კურსი ისე იქნას აღებული, რომ პირველ რიგში ყურადღება ექცეოდეს წაკითხვის ხარისხს, მის მნიშვნელობას, შინაარსის სწორად გაგებას და შემდეგ წაკითხულის რაოდენობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კითხვის „რაოდენობრიობით" გატაცება მოსწავლის წიგნიერებას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს. გატაცება იმითი, თუ საბოლოოდ რა მოხდა, ვინ გაიმარჯვა და ვინ დამარცხდა, ვის ვინ შეუყვარდა და სხვა ამგვარი საკითხები ჩრდილში აყენებს ნაწარმოების მთავარ იდეას, მის მორალურ-ესთეტიკურ მნიშვნელობას და, რაც უმთავრესია, აჩვევს სრულ გულგრილობას ნაწარმოების მხატვრული ღირებულებისადმი. არავითარი სარგებლობა ასეთ კითხვას არ მოაქვს, ხოლო ვნება—ძლიერ ბევრი.

კლასგარეშე ლიტერატურის კითხვამ რომ შეგნებულად გაიტაცოს მოსწავლე და მასწავლებელსა და მშობელს მეტი საშუალება მიეცეს თვალყური ადევნონ ბავშვის მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში სათანადო რჩევა-დარიგებაც მისცენ, სასურველი იქნება მესამე კლასიდან მაინც შევაჩვიოთ მოსწავლე, იქონიოს წაკითხული წიგნების აღრიცხვა. ამ მოსაზრებით, როგორც მიღებულია სკოლის პრაქტიკაში, მან უნდა შემოიღოს სპეციალური რვეული, რომელშიც პირველ ხანებში შეიტანს წაკითხული ნაწარმოების შესახებ ზოგიერთ ცნობებს ავტორის დასახელებით და წაკითხვის თარიღის აღნიშვნით. ეს მუშაობა საშუალო სკოლის კურსის დამთავრებამდე უნდა გაგრძელდეს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლე აღნიშნავს, თუ რომელ კლასში ირიცხება და უჩვენებს თარიღს—წელს, თვეს რიცხვს.

პირველად მოსწავლე შეიძლება დაკმაყოფილდეს წაკითხული წიგნის მოკლე შინაარსის ჩაწერით. შემდეგ კი, ასაკის მატებასთან ერთად ეს

მოთხოვნები გაფართოვდება. თანდათანობით შეიტანს რვეულში — რა მოეწონა ნაწარმოებში, რა გაიგო, რა ისწავლა ახალი, რომელი გმირის მხარეზეა მისი სიმპათია და რატომ. შემდეგ დაემატება ნაწარმოების იდეის, მხატვრული ადგილების, საერთოდ, მნიშვნელოვანი გამოთქმებისა და აზრების ამოწერა და სხვა.

ამ სახის მუშაობა ჩვენს ყველა საშუალო სკოლაში ტარდება, მაგრამ სასურველია, რომ ამ საქმეს მასწავლებლების მიერ მეტი ყურადღება მიექცეს, საერთოდ, და მეტი ფასიც დაედვას. ამ მიზნით, მასწავლებელი დროგამოშვებით უნდა სინჯავდეს თითოეული მოსწავლის რვეულს, და ეს მხედველობაში მიიღოს მეოთხედური ნიშნის გამოყვანისას. მოსწავლეებს კლასგარეშე ლიტერატურის კითხვა ეხალისებათ, მაგრამ დანარჩენ პროცედურებს ინტერესით არ ასრულებენ, რითაც ისინი ძლიერ ბევრს კარგავენ. მასწავლებელმა ეს სიძნელე როგორმე უნდა დააძლევინოს მოსწავლეებს. ამისთვის ერთი უმთავრეს ღონისძიებათაგანი იქნება ამ რვეულებისა და მუშაობისთვის მეტი ღირებულების მინიჭება. რვეულის მოვლას და სუფთად წარმოებასაც უნდა შევაჩვიოთ მოსწავლეები. გავაფრთხილოთ, რომ ნამუშევარი, რომელსაც ისინი III კლასში აკეთებენ, მათ შეიძლება მოსთხოვონ IV, VII, X კლასებშიც. ეს განცხადება რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, შეიძლება ვუჩვენოთ უფროსი კლასის მოსწავლეების კარგი რვეულები. მოსალოდნელია VII ან VIII კლასის მოსწავლეს უკვე რამდენიმე ასეთი ნამუშევრით სავსე საერთო რვეულიც ჰქონდეს. შემდეგ შეიძლება წავუკითხოთ ჩანაწერი ერთი რომელიმე წაკითხული წიგნის შესახებ და ვუთხრათ: თუ თქვენც ასევე იბეჯითებთ და ყურადღებით მოეპყრობით მასწავლებლის რჩევა-დარიგებას შემდეგში როცა უფროსი კლასის მოსწავლეები გახდებით თქვენც გექნებათ ასეთი რვეულები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ X კლასის მოსწავლეებს ეს ნამუშევრები დაწყებული III კლასიდან, ისეთის გულმოდგინებით ჰქონდეთ შესრულებული, რომ მათ უყვარდეთ ეს რვეულები, საჭირო განძად თვლიდენ და, რაც უმთავრესია, მათგან რაიმე სასარგებლო ცოდნის მიღება შეიძლებოდეს.

დასახული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლიტერატურის წრე, მაგრამ ასეთ წრეებში, როგორც წესი, ერთიანდება რამდენიმე. კლასი, მაგალითად, V—VIII, ან IX—X კლასის მოსწავლეები შერჩევით. იქ თავს იყრიან ლიტერატურით დაინტერესებული მოსწავლეები. ხოლო ისინი, რომლებიც უფრო გულგრილნი არიან, ვისაც საგანი ვერ შევაყვარეთ, რჩებიან ამ მუშაობის გარეშე, რაც ბუნებრივიც არის. არ შეიძლება ასეთ წრეებში ყველა მოსწავლე ირიცხებოდეს. მაგრამ მეტად სასურველი კი იქნებოდა ამ ინდიფერენტულად განწყობილი მოსწავლეებისათვის ცალკე წრის ჩამოყალიბება, თუ ეს მასწავლებლის გადატვირთვას არ გამოიწვევს. არ იქნება

სასარგებლო მუშაობაში მოსწავლეების ძალდატანებით ჩაბმა. როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ საქმის ორგანიზაცია ნებაყოფლობით მოხდეს. ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ კლასთან ერთად დავსახავთ ღონისძიებებს და განვსაზღვრავთ მუშაობის გეგმასა და შინაარსს. ხოლო, თუ თავიდან რამდენიმე მოსწავლე გამოგვაკლდა, ისინი შემდეგ მაინც შემოვიერთოთ, რაც უმთავრესად, მასწავლებლის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. თუ მასწავლებელმა თავიდანვე გაანაწილა თემები და მოხსენებების მომზადება მოსწავლეებს დაავალა, ცხადია, ეს მუშაობა ჩაიფუშება. დავალებების მიცემას, პირველ ხანებში მაინც, უნდა ვერიდოთ და მოსწავლეები იქვე ვამუშაოთ საინტერესო ლიტერატურულ საკითხებზე. მუშაობა არ უნდა აღმოჩნდეს გაკვეთილის გაგრძელება, არც სუსტებთან საკონსულტაციო მეცადინეობა.

ლიტერატურული წრის მეცადინეობით რომ დავაინტერესოთ მოსწავლეები, საჭიროა გეგმა ისე შევადგინოთ, რომ ის სასარგებლოც იყოს და საინტერესოც. ამ მიზნით გეგმაში მრავალფეროვნება უნდა შევიტანოთ. მაგალითად, გარდა ჩვეულებრივი საკითხებისა მასში შევიტანოთ ისეთი მასალა, რომლის დამუშავება შეჯიბრების ან თამაშის სახეს მიიღებს.

მასწავლებლებს ხშირად მიჰყავთ მოსწავლეები სხვადასხვა ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, რისთვისაც საათობით დარჩენა უხდებათ ავტობუსებში ან მატარებლის ვაგონებში. აგრეთვე ბევრი თავისუფალი დრო რჩებათ ადგილზე მისვლისას. ამ დროის უმეტეს ნაწილს ისინი ზოგჯერ ფუჭ საუბარში ატარებენ. სავსებით შესაძლებელია ეს დრო უფრო სასარგებლოდ იქნას გამოყენებული ისე, რომ მოსწავლეებს კი არ მოსწყინდეთ, არამედ გაერთონ კიდეც. ერთი ასეთი გართობის სახე იქნება შემდეგი: მასწავლებელი წრეზე დააყენებს მოსწავლეებს ისე, რომ ისინი ერთიმეორეს სახეში უცქერდნენ. შემდეგ ერთ-ერთ მოსწავლეს დაავალებს თქვას ჩვენი პოეტების ან მწერლების ნაწარმოებიდან ნაწყვეტი, რომელიმე აფორიზმი, ან ლამაზი შედარება, თან დაასახელოს ავტორი. მეორემ მის გვერდით მდგომმა იმავე წამს სხვა მსგავსი მასალა მოიყვანოს. ვინც დაყოვნდება— თამაშიდან გამოდის და აგრძელებს მის გვერდით მდგომი. ერთი წრის ჩამოვლის შემდეგ თამაში თავიდან იწყება. გამარჯვებული იქნება ის მოსწავლე, რომელიც საბოლოოდ შერჩება თამაშს.

ამავე თამაშს შეიძლება ასე შევუცვალოთ სახე: ისევ წრეზე დავაყენოთ მოსწავლეები, წარმოადგინონ იმგვარივე მასალა, მაგრამ ავტორის დასახელება მთელ კოლექტივს დავავალოთ — უპასუხებს ის, ვინც პირველად აწევს ხელს. შემდეგ მასალას პირველის გვერდით მდგომი წარმოადგენს — თუ დაყოვნდა და სწრაფად ვერ მოიფიქრა, გამოდის თამაშიდან, როგორც დამარცხებული. გამარჯვებულად ჩაითვლება ის,

ვიხც ყველაზე ძეტ ძასუხს გამოიცნობს და ბოლომდე შერჩება თამაშს. გამარჯვებულებს შეიძლება მივაკუთვნოთ პირველი, მეორე და მესამე ადგილი. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნება სწორი პასუხების აღმრიცხავი პირი ან კომისია ავირჩიოთ და გამარჯვებულებს ნიშანიც დავუწეროთ. ასეთ ვარჯიშში ზოგჯერ მაინც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი მდიდარი ფოლკლორიც.

ლიტერატურის მასწავლებლებს შეუძლიათ გააფართოონ ასეთ სამუშაოთა სახეობა და რომ მოსწყენი არ გახდეს აუცილებლად შეუნარჩუნონ გართობის ხასიათი, მსგავსი მუშაობა შეიძლება ზოგჯერ კლასის ლიტერატურის წრის მეცადინეობაზეც ჩავატაროთ, თუ ის გონივრულად იქნება მოფიქრებული, მოსწავლეებს დაეინტერესებს და თავისუფალ დროს მასწავლებლის მითითების გარეშეც მიმართავენ მას. ეს მოსწავლეებს შეაყვარებს ლიტერატურას, გამოუმუშავებს ნაწარმოების დაკვირვებული წაკითხვისა და მნიშვნელოვანი ადგილების შერჩევის უნარს, რასაც აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

სასურველია ასეთი მუშაობა შეფასდეს ნიშნის დაწერით თვით მოსწავლეების მიერ. არ უნდა შეგვაშინოს იმ გარემოებამ, რომ მოსწავლეები სწორი ნიშნის დაწერას თავს ვერ გაართმევენ.

სასურველია, რომ საერთოდ მასწავლებლის მიერ დაწერილ ყოველ ნიშანს კლასი იღებდეს და ადასტურებდეს. ცხადია, ეს მასწავლებელმა მოსწავლეთა სახეებზე უნდა ამოიკითხოს. მასწავლებლის მუშაობის ამ მხარეს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ის ხელს უწყობს ურთიერთ გაგების დამყარებას მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის. ასეთი მუშაობის შემდეგ მოსწავლე ვეღარ იტყვის თანაკლასელებთან ან მშობლებთან: არაობიექტურად დამიწერა მასწავლებელმა ნიშანიო და, წარუმატებლობის, ან არასასურველი ნიშნის მიღების მიზეზებს თავისთავში მონახავს.

საჭიროა განისაზღვროს მოსწავლის დღეღამის 24 საათი და იგი ისე განაწილდეს, რომ გეგმის გარეშე არცერთი წუთი არ დარჩეს. მშობელმა უნდა იცოდეს შვილის გაკვეთილების ცხრილი, როდის უმთავრდება გაკვეთილი და როდის უნდა მოვიდეს სახლში. ბავშვი ქუჩაში უსაქმოდ არ უნდა ჩერდებოდეს. სკოლიდან დაბრუნებული ბავშვის დრო მისი დაძინების დრომდე მტკიცედ უნდა იქნას განაწილებული, მაგრამ აქ მეტად გონივრული მოქმედებაა საჭირო. თუ ამ გეგმაში ბავშვის ყველა დასაშვები სულიერი მოთხოვნილებები არ იქნა გათვალისწინებული, ასეთი გეგმა არ შესრულდება, — ბავშვი მთელი ძალით გაუწევს მას წინააღმდეგობას და ბოლოს დაარღვევს კიდეც. ამიტომ არის საჭირო გეგმა მშობელმა და ბავშვმა ერთად, შეთანხმებულად შეადგინონ. უმჯობესია გეგმა ბავშვმა შეადგინოს მშობლის დახმარებით და მითითებებით. დასაშვებად უნდა ჩაითვალოს ამ გეგმის გადა-

Ѕინჯვა შვილის ან მშობლის წინადადებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ახსნა-განმარტება, სწავლება იმისა, თუ რა არის კარგი, დასაშვები, და რა არა, და ამ მიზნით დასაბუთებული მსჯელობის მოყვანა, ნაკლებ შედეგს იძლევა, ვიდრე პირადი მაგალითი. როცა დედა შვილს უმტკიცებს, ბავშვისთვის წამოწოლილ მდგომარეობაში წიგნის კითხვას მავნებლობა მოაქვსო — შვილი პასუხობს: მამა ხომ კითხულობს წამოწოლილიო. გულახდილად უნდა ითქვას, რომ სასკოლო ასაკის ბავშვისთვის საუბრით საწინააღმდეგოს დამტკიცება ისე, რომ ის დამაჯერებელი იყოს, საკმაოდ ძნელია.

ამიტომ არის საჭირო მშობლებმა ურთიერთშორის დანერგონ კარგი, კულტურული დამოკიდებულება, იყვნენ მორიდებული ერთიმეორისადმი, პუნქტუალურნი თავის საქმიანობაში. ყოველივე ამას შვილები თავისთავად შენიშნავენ და მიბაძავენ. მაგალითად, უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლე სახლიდან მიდის, მას არ სიამოვნებს, როცა დედა ეკითხება, სად მიდის და როდის დაბრუნდება. ბავშვი ფიქრობს, რომ ის უკვე მოზრდილია და ანგარიშის ჩაბარება დედისთვის მის თავმოყვარეობას ლახავს. ამ საკითხის მოგვარება კი მეტად ადვილად შეიძლება. პირველად ამის მაგალითი თვით მშობლებმა უნდა მისცენ. როცა ერთი მათგანი სახლიდან მიდის, ის მეორეს უნდა ეუბნებოდეს მივდივარ ამა და ამ ადგილას და დავბრუნდები ამ და ამ საათზე. როცა რაიმე მიზეზით დაიგვიანებს, იტყვის, რამ გამოიწვია ეს გადახვევა. თუ ერთი მათგანი წასულია სახლიდან და მეორეც მიდის რაიმე მიზეზით, მაშინ ეს უკანასკნელი შვილს დაუბარებს: მივდივარ ამა და ამ ადგილზე, დავბრუნდები ამ საათზე. ასე, რომ თუ ოჯახის რომელიმე წევრი ან ორთავენი წასული არიან, ოჯახის დანარჩენმა წევრებმა უნდა იცოდნენ სად არიან და როდის დაბრუნდებიან ისინი.

ასეთ პირობებში აღზრდილ ბავშვს, როცა მარტო წასვლის უფლებას მოიპოვებს, შეხსენება აღარ დასჭირდება: მალე მოდი, არ დაიგვიანო. თანაც უკვე გამომუშავებული ჩვევის გამო თავს შეურაცხყოფილად აღარ იგრძნობს, ქუჩაში უსაქმოდ გაჩერებას და დროის ფლანგვასაც მოერიდება, რადგანაც იცის, რომ დედას ან მამას დაგვიანების მიზეზი უნდა უთხრას. ასეთი დამოკიდებულება ოჯახის წევრებს შორის ბევრ უსიამოვნებას ააცდენს მშობლებს და ხელს შეუწყობს მათი შვილების სწორად აღზრდას.

აღზრდის საკითხი მეტად საპასუხისმგებლოა და აღმზრელისაგან დიდ სიფრთხილეს, დაკვირვებულობას და ზომიერების დაცვას მოითხოვს. აღზრდის საქმეში რომელიმე ღონისძიების, თუ გინდ ძლიერ კარგის, უხეშად, არა მართებულად გატარება ხშირად იმის საწინააღმდეგო შედეგს გვაძლევს, როგორსაც მოველოდით. მაგალითად, საჭიროა მშობელს ან აღმზრდელ მასწავლებელს უყვარდეს თავისი აღსაზრდელი, მაგრამ ამ

კეთილშობილური გრძნობის უხვად გამოვლინება ზოგჯერ უარყოფით შედეგს იძლევა. აღსაზრდელი ეგოისტი ხდება, კარგავს პასუხისმგებლობის გრძნობას. სხვებისგან კი მოითხოვს, რომ მას პატივისცემითა და ყურადღებით ეპყრობოდნენ. მოსწავლის კარგი მოქმედება, რომელიც გამოიხატება მის სწავლაში თუ კეთილშობილურ ქცევაში, აღმზრდელმა აუცილებლად უნდა შენიშნოს, აშკარად გამოხატოს თავისი სიამოვნება ამის გამო და აღინიშნოს კიდეც ეს მთელი კლასის წინაშე, მაგრამ ამ ფაქტის ზედმეტად გაზვიადება საჭირო და სასარგებლო არ არის. მით უმეტეს, უმნიშვნელო ფაქტის ან ნამდვილად არ არსებულის მიწერა მოსწავლეზე და ამის გამო მისი ქება, სრულიად დაუშვებელია. ბავშვები გაგვიგებენ ამ სიყალბეს და შესაძლოა მათი დასაცინიც გავხდეთ.

მომთხოვნელობა აღსაზრდელისადმი არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიც არის, მაგრამ ისეთი მოთხოვნის წაყენება, რომლის შესრულება მონდომების შემთხვევაშიც გაუძნელდება მოსწავლეს, არ შეიძლება. მაგალითად, გადაჭარბებული დავალების მიცემა აუტანელ ტვირთად აწვება მოსწავლეს. მას სძულდება საგანი, შემდეგ ამ საგნის მასწავლებელიც, და ეჩვევა მის უხარისხოდ შესრულებას. ბოლოს შეიძლება სულ დაანებოს თავი ამ საგნის მომზადებას, რადგანაც ასეთი დატვირთვა იწვევს მასში გულგრილობას და საკუთარი ძალების რწმენის დაკარგვას. აქ აღარც სწავლა გამოდის და აღარც აღზრდა.

ცნობილია, რომ წერითი კულტურის ამაღლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხშირ ვარჯიშს, მოსწავლის ყოველი ნამუშევარი მასწავლებლის მიერ გულდასმით სწორდება. ამ ნიადაგზე მათ გარკვეული მითითებები ეძლევათ, რამდენიმე კარგ ნამუშევარს მასწავლებელი სანიმუშოდ კითხულობს გაკვეთილზე და სხვა. თუ საკითხი ასე იქნება დაყენებული, მოსწავლეები სწრაფად დაეუფლებიან წერის ტექნიკურ მხარეს, დასმულ საკითხზე ამომწურავი პასუხის გაცემას.

ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს ბევრს ვაწერინებ, დავალების შესრულებას მტკიცედ მოვითხოვ, ნამუშევარს კი ზოგს გავასწორებ, ზოგს თვალს გადავავლებ და დიდი შრომის შედეგად ბავშვები თავისთავად დაეუფლებიან წერის კულტურასო. საფუძველშივე მცდარია ასეთი შეხედულება. თუ მოსწავლის ნამუშევარი დაწვრილებით არ სწორდება და სათანადო სამართლიანი შეფასება არ ეძლევა მას, ამას ისინი სწრაფად შენიშნავენ, როგორც არ უნდა ვეცადოთ მის დამალვას და შეეჩვევიან დავალების არაკეთილსინდისიერად შესრულებას.

მაგალითად, მშობლიური ლიტერატურის ერთმა მასწავლებელმა საშინაო დავალებად მისცა მოსწავლეებს დაეწერათ „პირველი ნაბიჯის“ ხუთმეტი თავის შინაარსი, თავების მიხედვით, ცალ-ცალკე. მეორე შემთხვევაში „ბაში-აჩუკის“ მოკლე შინაარსი მთლიანად, ისევ თითოეული თავის შინაარსი ცალ-ცალკე. მოსწავლეებმა სწრაფად მოისაზრეს, რომ

ამ დავალების შესრულებას ერთ-ორი რვეული მაინც მოუნდებოდა, მასწავლებელი ვერ შესძლებდა ამ ნამუშევრების გულდასმით გადაკითხვას. ამიტომ, ჯერ სუსტმა მოსწავლეებმა და შემდეგ ძლიერებმაც დაიწყეს დავალების დაუდევრად შესრულება. ისინი წერდნენ პირველი თავის შინაარსს და შემდეგ რაც მოხვდებოდათ ყველაფერს, ზოგჯერ გეოგრაფიის ან ისტორიის გაკვეთილებსაც კი. მასწავლებელი შემოწმების მიზნით ჩამოივლიდა მერხებს შორის, მოსწალვეები კი ფურცლავდნენ თავის რვეულებს და უჩვენებდნენ, თუ რამდენი დაწერა თითოეულმა მათგანმა.

მეოთხედური ნიშნებიც დაახლოებით ასე გამოჰყავდა: შეკრებდა ამ რვეულებს, ორ წარჩინებულ მოსწავლეს დაიბარებდა და მოუსხდებოდნენ მაგიდას. მოსწავლე ასახელებდა რვეულის პატრონის გვარს და შემდეგ ფურცლავდა რვეულს. მასწავლებელი ამის მიხედვით წერდა მეოთხედურ ნიშანს თავის უბის წიგნაკში. ასეთი მიდგომით ვერც ცოდნას ვაძლევთ ჩვენს აღსაზრდელებს და ვერც სათანადო აღზრდას. მოსწავლეები ისწავლიან დავალებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, თვალის ახვევას და მასწავლებლის მოტყუებას.

თუ მოსწავლემ გვასიამოვნა თავისი წარმატებით, გამოიჩინა მახვილგონივრული მიხვედრილობა, ან რაიმე სხვა უნარი, დაწერა კარგი თემა ან ლექსი, მათემატიკაში, ფიზიკაში ან ქიმიაში მაგალითის ან ამოცანის ამოხსნის საუკეთესო ხერხი იპოვა, აქვს მაღალი მიღწევები სპორტის რომელიმე სახეობაში, — ჩვენ მასწავლებლები და მშობლები მზად ვართ მასში დავინახოთ მომავალი დიდი მწერალი ან პოეტი, დიდი მეცნიერი ან დიდი სპორტსმენი, რასაც ყოველთვის სარგებლობა არ მოაქვს აღსაზრდელისათვის.

მოვიყვან ერთ მაგალითს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩ შემოქმედთა კლუბის მუშაობის პრაქტიკიდან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს კლუბი, სალონი თუ ლიტერატურული წრე დიდი ხანია არსებობს და მეტისმეტად საინტერესო და სასარგებლო, ნამდვილად შე მოქმედებით მუშაობას აწარმოებს საშუალო სკოლის აღსაზრდელებს შორის. ამ სალონის ხელმძღვანელის თავდადებული მუშაობა ქებისა და მიბაძვის ღირსია. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავეცნოთ ერთი სხდომის გეგმას, რომელიც 1965 წლის 27 თებერვალს ჩატარდა და ტელევიზიით იქნა გადაცემული. ამ სხდომის მოკლე შინაარსი ისეთი იყო: მოხსენება: ერმიტაჟის დათვალიერების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები, საკუთარი ლექსების კითხვა, მათ შორის კარგი ლექსი დედაზე, ინგილო გოგონას ლექსი დისადმი, ერთმა მოსწავლემ წაიკითხა საკუთარი თარგმანი უცხო ენიდან და სხვა. წარმოდგენილი ნამუშევრები აუცილებლად იმსახურებდნენ ყურადღებას საკითხის ცოდნით, მდიდარი მხატვრული სახეებით ორიგინალური, მოხდენილი შედარებებით,

ამ კლუბში რომ მეტად სასარგებლო მუშაობა წარმოებს, — ეს უკვე ითქვა, მაგრამ მზეზედაც არის ლაქებიო, ამბობენ. ამ მუშაობის შესახებ საზოგადოებას აცნობა გაზეთმა „კომუნისტმა“ 1964 წლის 28 დეკემბრის ნომერში, „სახალხო განათლებამ“ 1965 წლის 17 თებერვლის ნომერში. აგრეთვე გაზეთმა „თბილისმაც“, ხოლო 1965 წლის 28 თებერვალს ტელევიზიამ ერთი სხდომის სრული ანგარიში გადმოსცა. ცხადია კარგი მუშაობა იმითაც არის ღირებული, რომ ის უნდა განზოგადდეს, გაიცნოს თანამოსაქმეთა ფართო წრემ და გამოიყენონ პრაქტიკულად, მაგრამ 14—17 წლის ახალგაზრდა რომ რამდენიმეჯერ ნახავს ზედმეტად შექებულ თავის სახელს და ტელევიზორშიც იხილავს თავს, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მეტმა ქებამ გააყოყოჩოს, თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენა შეუქმნას და თავი დასრულებულ ვარსკვლავად წარმოიდგინოს.

ქება სამართლიანი და ზომიერი დიახაც საჭიროა, წახალისება სასარგებლოა, მოწოდება, რომ კიდევ ბევრი იმუშაონ,— აუცილებელია. როგორი მოქალაქე გამოვა მათგან, ეს მათ შრომისმოყვარეობაზე, ხასიათის გამძლეობაზე და ზოგიერთ სხვა თვისებებზეა დამოკიდებული. ამით, ცხადია, იმისი თქმა არ გვინდა, რომ ახალგაზრდამ ხელში კალამი არ აიღოს სანამ უმაღლეს სასწავლებელს არ დაამთავრებს, პირიქით, სასურველია, მისასალმებელია თუ მოსწავლეები საშუალო სკოლის ასაკიდანვე დაიწყებენ ლექსების, პატარა სურათებისა და მოთხრობების წერას. ასეთი შრომა უნდა წახალისდეს კიდეც, მაგრამ ამისთვის მათ ყავთ მასწავლებლები, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, აქვთ ლიტერატურული წრე, კედლის გაზეთი, საბავშვო, მოზრდილთა ჟურნალები და სხვა.

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ პოეტი, კაზმული სიტყვის ოსტატი და მეცნიერი მაშინ ვუწოდოთ ახალგაზრდას, როცა ამას ნამდვილად მიაღწევს და არა წინასწარი, მოჩვენებითი ნიშნების მიხედვით. კარგად აყვავებული ხეხილი კარგი მოსავლის იმედს იძლევა, მაგრამ ჯერ ის მოსავალი კიდევ არ არის. მათ უნდა მოვაგონოთ, რომ თვალსაჩინო პოეტი, მხატვრული სიტყვის ოსტატი მარტო ნიჭით ვერ გახდება, რომ აუცილებელია ცოდნის შეძენა, ბევრი შრომა, ბევრი მუშაობა თავისთავზე, რომ აუცილებელია, ჯერ რაიმე ღირებული, მნიშვნელოვანი შექმნან და სახელი, აღიარება და დიდება თვითონ მონახავს მათ. ვენდოთ ჩვენს სახელოვან მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას: „სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თავად მოგაკითხავს“.

თბილისის დ. გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკასთან დიდი ხნის მანძილზე არსებობდა „ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული წრე“. მასში გაერთიანებული იყვნენ მახლობელი სკოლების მოსწავლეები, მაგრამ ზოგი მათგანი, რომლებიც ლიტერატურული შემოქმედებით იყო დაინტერესებული, სტუდენტობის პერიოდში და უმაღლესი სასწავ-

ილებლის დამთავრების შემდეგაც არ ტოვებდა ამ წრეს და განაგრძობდა მასში მუშაობას.

წრის ხელმძღვანელს და გამგეობას თვითონ ირჩევდნენ საერთო კრებაზე. სხვა ოფიციალური, რომელიმე ორგანიზაციის მიერ დანიშნული ხელმძღვანელი მათ არ ჰყავდათ. ეს წრე მეტად საინტერესო შემოქმედებით ლიტერატურულ მუშაობას აწარმოებდა, მჭიდრო კავშირში იყო ბიბლიოთეკასთან და მის ყოველგვარ საქმიანობაში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას. პიონერები ძველი წიგნების მოვლასა და შეკეთებაში შველიდნენ ბიბლიოთეკას, ეხმარებოდნენ დაგვიანებული წიგნების შეგროვებაში. უფროსი ასაკის მოსწავლეები სწავლობდნენ წიგნების დამუშავებას, ეცნობოდნენ კატალოგებს და წიგნების განლაგებას ბიბლიოთეკაში. თითოეულ მათგანს შეეძლო შეეცვალა ბიბლიოთეკის ყოველი მომუშავე, — მიეღო გაცემული წიგნი და დახმარებოდა მკითხველს ახალი, წასაკითხი წიგნის შერჩევაში. ერთი სიტყვით, წრის ყოველ წევრი გათვითცნობიერებული იყო ბიბლიოთეკის საქმიანობაში და სიყვარულითა და მონდომებით ასრულებდნენ ამ სამუშაოს. გაკეთილების მომზადების შემდეგ ხშირად ცხადდებოდნენ ბიბლიოთეკაში: კითხულობდნენ საინტერესო ჟურნალ-გაზეთებს, ირჩევდნენ თავისთვის წასაკითხ წიგნს და საჭიროების შემთხვევაში ეხმარებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს.

ყოველ კვირას, დილის საათებში იმართებოდა წრის წევრთა საერთო კრება, რომელსაც სურვილის მიხედვით ზოგიერთი მშობელიც ესწრებოდა. ამ კრებებზე წრის წევრები თავიანთ შემოქმედებას აცნობდნენ დანარჩენ წევრებს. პატარები უმთავრესად საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ, მოზრდილებს პატარა მოთხრობებიც გამოჰქონდათ სამსჯავროზე. ცხადია, თითოეული მასალა, რომელიც განკუთვნილი იყო საჯარო წასაკითხად — წინასწარ იყო განხილული კომისიის მიერ. წაკითხულის შემდეგ ყოველთვის იმართებოდა ცხარე, მაგრამ ამხანაგური კამათი, მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ ყოველთვის კორექტურული. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს კამათი კინკლაობაში არასოდეს გადაზრდილა, აღსანიშნავია ისიც, რომ წრის ხელმძღვანელი დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა ყოველთვის.

წრის მუშაობის შედეგები ხშირად უფრო ფართო აუდიტორიაშიც განიხილებოდა. მახსოვს, ერთხელ, მწერალთა კავშირში დანიშნული იყო ჟურნალ „მნათობის“ ერთი წლის მუშაობის განხილვა-შეფასება. მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამ წრის წარგზავნილმა ორმა მოსწავლემ: ერთის მოხსენება ეხებოდა აღნიშნული ჟურნალის პროზას, მეორესი პოეზიას; მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კამათში გამოსულმა მწერლებმა მოუწონეს ბავშვებს გამოსვლა და ქებაც უძღვნეს. თავისი ხანგრძლივი და საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობის მანძილზე ამ წრეში გამთ-

იზარდა ბევრი პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკი, რომელთა სახელები დღეს მთელი რესპუბლიკისათვის არის ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წრეს არც ბრწყინვალე დარბაზებში უხდებოდა მუშაობა, არც შტატით გათვალისწინებული კვალიფიციური პედაგოგი ჰყავდა ხელმძღვანელად და მათი საქმიანობა არც ისე დიდად იყო რეკლამირებული, — რესპუბლიკის ვერც ერთი ლიტერატურული წრე ვერ დაიკვეხნის მათზე უკეთეს მუშაობას.

თავისთავად ისმება კითხვა, რამ განაპირობა მათი წარმატება? რა უპირატესობა ჰქონდათ მათ სხვებთან შედარებით, რომ ასეთი ბრწყინვალე შედეგები მიიღეს? ჩვენი დაკვირვებით, იმან, რომ მათ ზედმეტი მზრუნველობით და შექებით არ ანებივრებდნენ. მეორე მიზეზი შეიძლება ის იყო, რომ მათ აზროვნებას, დაკვირვებას მეტი გასაქანი ეძლეოდა, ჰქონდათ მეტი თავისუფლება, სამუშაო თემას თვითონვე ირჩევდნენ, დამოუკიდებლად ამუშავებდნენ. კონსულტაციას უფროსი ამხანაგები უწევდნენ, ლიტერატურას ბიბლიოთეკაში პოულობდნენ და ამგვარად დიდი შრომითა და ოფლის ღვრით, ერთი და იგივეს რამდენიმეჯერ გადაწერით იღებდნენ შედეგს.

თუ აზრი ან იდეა ჩვენ მივეცით მოსწავლეს, მაშინ მის შემოქმედებაში საკუთარი არაფერი რჩება. ამ საკითხში უნდა ვენდოთ პოლონელ პედაგოგს იანუშ კორჩაკს: „არის აზრები, რომლებიც წვალებით უნდა შობო. სწორედ ეს აზრები არიან ყველაზე ღირებულნი“. საკუთარი ინიციატივა, საინტერესო საკითხის თავისით მიკვლევის უნარი, პირადი ზრუნვა წყაროების პოვნაზე — აი რა აკლია ჩვენს ლიტერატურულ წრეებს.

ცხადია, რომ ამით იმისი თქმა არ გვინდა თითქოს წრეს არ ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგი, რომელიც მათ სწორ მიმართულებას მისცემს და ყოველი სიძნელის დაძლევაში დაეხმარება. არც იმისი თქმა, რომ წრისათვის არ არის საჭირო და სასარგებლო სუფთა, ლამაზად მოხატულ დარბაზში მუშაობა, სადაც ფანჯრებიდან მშვენიერი ხედი იშლება და ლამაზი, დეკორაციული მცენარეებითაა დამშვენებული შემოგარენი. გარემოს აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს და ხშირად ის განაწყობს ახალგაზრდას შემოქმედებისათვის. „მთვარიან ღამეში კამეჩიც კი აბღავლდება, თორემ ადამიანი როგორ არ უნდა მღეროდესო“! ამბობს მ. ჯავახიშვილი.

დიახ, საჭიროა ნათელი, მხატვრულად გაფორმებული სამუშაო დარბაზი, სადაც ბავშვის სულიც დაისვენებს, თვალიც ისიამოვნებს და ესთეტიკურ კმაყოფილებას მიიღებს. მეტად საჭიროა კვალიფიციური ხელმძღვანელი პედაგოგი, რომელიც დაეხმარება მუშაობაში ახალგაზრდებს, მაგრამ დახმარება სწორად უნდა იქნას გაგებული. ამ შემთხვევაში დახმარება ნიშნავს გავიგოთ რისი გაკეთება, რისი თქმა სურს ბავშვს და ხელი შევუწყოთ მიზნის მიღწევაში. არავითარ შემთხვევაში ჩვენი

აზრები არ მოვახვიოთ თავს, თუნდაც ბავშვის აზრზე უკეთესიც იყოს — მით უმეტეს თუ შემოქმედებაზე არის ლაპარაკი.

ჩემი შენიშვნები დ. გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკასთან არსებული ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული წრის მუშაობის შესახებ, აგრეთვე პიონერთა სასახლესთან არსებული მსგავსი სახელწოდების წრის შესახებაც მაყურებლის შთაბეჭდილებებია. მეორე წრე დღესაც მოქმედია და მის მუშაობას მთელი რესპუბლიკა იცნობს. რაც შეეხება დ. გურამიშვილის ბიბლიოთეკასთან არსებულ წრეს — მან თავისი საქმიანობა დიდი ხანია შეწყვიტა.

ამ წრის მუშაობაში ისე ბევრი იყო აღმზრდელობითი მოტივები, რომ ეს მუშაობა აუცილებლად შესწავლისა და განზოგადოების ღირსია. მეტად სასარგებლო და სასურველიც იქნება, რომ რომელიმე პირი, ვინც ამ წრეში გაიზარდა და თვითონ არის მონაწილე იქ ჩატარებული მუშაობისა, საზოგადოებას გააცნობდეს წრის მთელ საქმიანობას დაწვრილებით, წარმოგვიდგენდეს მისი აქტიური წევრების სიას და მოკლე ცნობებს მიაწვდიდეს საზოგადოებას წარსული საქმიანობისა და მიღწევების შესახებ. ამ მასალაში ბევრი აღმოჩნდება საინტერესო და მისაბაძი ჩვენი მშობლიური ლიტერატურის მასწავლებლებისა და ბიბლიოთეკების მომუშავეთათვის. აქ გარკვეულად გამოჩნდება, თუ როგორ შეიძლება ერთი მეორეს შეეწყოს სწავლისა და აღზრდის საკითხები.

სწავლა აღზრდისაგან განუყოფელია, თუ ის სათანადო მეცნიერულ და მეთოდურ სიმაღლეზეა აყვანილი. რამდენად მაღალხარისხოვანია გაკვეთილი, იმდენად მეტია მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ხოლო სუსტი, ცუდი გაკვეთილის აღმზრდელობითი მნიშვნელობა ძლიერ დაბალია. ზოგიერთი გაკვეთილი შეიძლება წესიერი აღზრდის საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდეს, მოსწავლეებში უარყოფითი ჩვევების დანერგვას და განვითარებას უწყობდეს ხელს.

საილუსტრაციოდ მოვიყვან მაგალითს. მასწავლებელმა არითმეტიკის გაკვეთილი IV კლასში ჟურნალში სათანადო შენიშვნების შეტანით დაიწყო, შემდეგ კლასს მოავლო თვალი და მოსწავლე გოგონას მიმართა: „ნინელი, აბა წამიკითხე შენი დავალება“! სამწუხაროდ მოსწავლეს დავალება შესრულებული არ აღმოაჩნდა და მასწავლებელმა ასე შეამკო: „ძალიან მწყინს ქალბატონო, რომ ისევ „ორიანი“ უნდა დაგიწერო. შენ არც წინა კვირას გქონდა დავალება შესრულებული“.

მასწავლებელი სრულიად არ დაინტერესდა იმით, თუ რატომ არ მოამზადა ნინელიმ დავალება, რამ შეუშალა ხელი. სიზარმაცით დაუდევრობითა და გულმავიწყობით მოუვიდა ეს თუ ეცადა და ვერ შეძლო ამოცანის ამოხსნა. ყოველივე ამის ცოდნა კი მასწავლებლისთვის აუცილებლად საჭირო იყო. სავსებით შესაძლებელია, რომ მოსწავლეს დავალება შესრულებული არ ჰქონდეს და მისთვის „ორიანის“ დაწერა დიდი უსამართ-

ლობა იყოს. ზოგჯერ იქმნება ოჯახში ისეთი მდგომარეობა, რომ ბავშვს არა თუ მეცადინეობის, არამედ დაძინების საშუალებაც არ აქვს და მეორე დღეს სკოლაში გამოუძინებელი და დაღლილი ცხადდება. მახსოვს არა ერთი შემთხვევა, როცა მოსწავლე მეუბნება: ჩვენ ერთ ოთახში ვცხოვრობთ, დედას ან მამას სტუმრები ჰყავდა. ქეიფი დილამდის გაგრძელდა და მე მთელი ღამე ფეხზე ვიდექი, დედას ვშველოდი. ცხადია, ამ მოსწავლეს დავალება არ ექნებოდა შესრულებული, მაგრამ ამ შემთხვევაში ის არა თუ დასჯის ღირსია, არამედ შებრალების და გამოსარჩლების. ამ მომენტების გათვალისწინება კი მასწავლებლისთვის აუცილებელია.

მასწავლებელმა ცივად გაისტუმრა „ორიანით“ დასჯილი, შეურაცხყოფილი მოსწავლე და მიხოს დაავალა საშინაო დავალების წაკითხვა. მიხო სწრაფად ადგა, გაუბედავად გადაშალა რვეული და პასუხი ადგილიდან დაიწყო. სწორად თქვა ამოცანის პირობა, ბოლომდე ჩაარაკრაკა კითხვები და შესაბამისი მოქმედებებიც. შესრულებულ მოქმედებათა შედეგებიც სწორად დაასახელა. არც კითხვის პროცესში, არც წაკითხვის შემდეგ მასწავლებელს არცერთი კითხვა არ მიუცია ამოხსნილი ამოცანის შესახებ, არაფერი უკითხავს გავლილი მასალიდან, ისე დაუწერა ხუთიანი და შეაქო.

რა თქმა უნდა ნიშანი არაკანონიერად იქნა დაწერილი. საშინაო დავალების წაკითხვისათვის, რომ ხუთიანი ვწეროთ, მაშინ კლასში ყველა ხუთოსანი გვეყოლება, ხოლო ცოდნა სრულიად არ ექნებათ. ხომ შესაძლებელია, რომ ბავშვს დავალება სახლში სხვამ დაუწეროს, ან ამხანაგისაგან გადაიწეროს, ისე რომ თვითონ არა ესმოდეს რა. ამიტომ მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად შეგნებულად აქვს ეს დავალება შესრულებული და ამის გამორკვევის შემდეგ შეაფასოს ის.

ამ კერძო შემთხვევაში შეიძლებოდა მასწავლებელს ბავშვი მიეხმო, გამოერთმია მისთვის რვეული, სწრაფად ჩაეთვალიერებია, შემდეგ დაევალებია, უამბოს კლასს როგორ ამოხსნა ეს ამოცანა.

თუ მიხო „5“-ის პრეტენდენტი იყო, მას მსჯელობა უნდა დაეწყო ამოცანის მთავარი კითხვიდან, გაერკვია, რატომ არ შეიძლება პასუხის გაცემა ამოცანის პირველსავე კითხვაზე და რომელი რიცხვების პოვნაა საჭირო წინასწარ, რომ ამოცანის კითხვას ვუპასუხოთ. აქედან ცხადია, მასწავლებელმა არ სცადა იმის გამორკვევა, თუ რამდენად მტკიცედ იცოდა მიხომ გაკვეთილი და ნიშანი „5“ დაუმსახურებლად დაუწერა.

გეგმით მასწავლებელს კიდევ ორი მოსწავლისათვის უნდა ეკითხა გაკვეთილი და დაეწერა ნიშანი. მაგრამ გამოირკვა, რომ მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ ჰქონდა დავალება შესრულებული. ერთი სიტყვაც არ დაუძრავს იმის გამოსარკვევად, თუ რატომ არ შეუსრულებიათ მოსწავლეებს დავალება, რა სიძნელეს წააწყდნენ ამ ამოცანის ამოხსნაში. მან გულმოსულმა გასცა განკარგულება გადაეშალათ საშინაო დავალების

რვეულები. თვითონ შეიარაღდა ავტოკალმით, გადაშლილი უბის წიგნაკით და შეუდგა მერხებს შორის ჩამოვლას დავალების შემოწმების მიზნით.

კლასის მოსწავლეთა ნახევარზე მეტს არ აღმოაჩნდა დავალება შესრულებული. მასწავლებელი კი დადიოდა მერხებს შორის, ხან წიგნს, ხან რვეულს ურტყამდა მოსწავლეებს სახეში და გესლიანი სიტყვებით და სხვადასხვაგვარი დაცინვით ამკობდა მათ. ამავე დროს უბის წიგნაკი და ჟურნალი ივსებოდა ორიანებით. მოსწავლე მიხოსაც არ აღმოაჩნდა საშინაო დავალება რვეულში შეტანილი. მისი რვეული ცარიელი იყო და გამოდის, რომ ამოცანის პირობასა და მის ამოხსნასაც ის ზეპირად ლაპარაკობდა. ამ გარემოებამ მასწავლებელს საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა. მან მოსწავლის ტყუილში დაჭერა მოინდომა და ამ მოსაზრებით მიხოს დაავალა ამოცანის ამოხსნა დაფაზე.

მასწავლებლის ეს ცდაც გაუმართლებელი იყო. მიხომ ხომ სულ ზეპირად იცოდა ამოხსნა და ეხლა მას ის უნდა დაეწერა, რაც რამდენიმე წუთის წინ ზეპირად ილაპარაკა. ასეც მოხდა. მოსწავლემ ამოცანის ამოხსნა უშეცდომოდ შეასრულა. მასწავლებელი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ აქაც ვერ მოახერხა საჭირო კითხვების დასმა, ვერ გამოარკვია თუ რამდენად შეგნებულად აქვს მოსწავლეს შეთვისებული დავალება. თუ მოსწავლის პასუხი პირველ შემთხვევაში „ხუთიანზე" შეაფასა მასწავლებელმა, მეორე შემთხვევაში მასწავლებელს ნიშნის დაკლებისათვის ყოველგვარი საფუძველი გამოეცალა, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად მან მიხოს „ხუთიანი" დღიურში „ორიანზე" გადაუსწორა.

რადგანაც ნიშანი გაკვეთილზე დავალების ცოდნაში იწერება მხოლოდ, ამიტომ მიხოსთვის „ორიანის" დაწერა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ჯერ ვითომ „2" დაწერის კანონიერი გზა ეძება და როცა ეს ვერ შეძლო, მაშინ „უფლება" გამოიყენა. თავის შერცხვენის ამაზე უკეთეს გზას ვერ იპოვის მასწავლებელი.

ეს გაკვეთილი თავიდან ბოლომდე უხეში შეცდომებით იყო სავსე. ის, რაც მასწავლებელმა გაკვეთილზე გააკეთა, არ არის დავალების გამოკითხვა და მოსწავლის ნიშანზე შემოწმება.

მოსწავლე მიხო აუცილებლად დამნაშავეა იმაში, რომ მან მასწავლებლის მოტყუება განიზრახა, უფრო მეტიც, გაიცხვის ღირსიცაა, მაგრამ რადგანაც ამოცანა კარგად ამოხსნა, მისთვის ორიანის დაწერა შეცდომა იყო. გარდა ამისა, როცა გამოირკვა რომ მოსწავლემ ზეპირად ამოხსნა ამოცანა, რვეულში კი ჩაწერილი არა აქვს, ნუ თუ მასწავლებელს მიზეზის გამორკვევა არ უნდა ესურვებინა? გარდა ამისა, საჭიროა მასწავლებელმა ისე გამოზარდოს თავისი მოსწავლეები, რომ ისინი სიმართლეს არ უმალავდნენ. შეკითხვაზე, ვის არ აქვს დავალება შესრულებული, ხელი უნდა აეწია იმ მოსწავლეებს, ვისაც ეს ეხებოდა. მაგრამ, თუ მას-

წავლებელი განუკითხავად ყოველ მათგანს „ორიანს“ დაუწერს, ისე, რომ არავითარ გარემოებას ანგარიშს არ გაუწევს, მაშინ არც ამგვარ გულახდილობას ექნება ადგილი. მოსწავლეები შეეცდებიან მასწავლებლის მოტყუებას, რადგანაც გამოაშკარავების შემთხვევაში ისევ ის ორიანი დაეწერებათ და მეტი არაფერი. ხოლო ხათრი და პატივისცემა ასეთი მასწავლებლისა მოსწავლეებს არ ექნებათ.

ერთიც უნდა ვუსაყვედუროთ მასწავლებელს. გაკვეთილის მსვლელობაში გამოირკვა, რომ მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს, ნახევარზე მეტს, საშინაო დავალება არ ქონდა შესრულებული. რა საჭირო იყო, რა სარგებელს მოელოდა მასწავლებელი იქიდან, რომ ჟურნალი და უბის წიგნაკი ორიანებით აავსო, ხოლო მოსწავლეები — ცემა-ტყეპითა და ლანძღვა-გინებით? ვითომ ვინმე დააშინა ამ ორიანებმა? სრულიადაც არა! როცა ასე უხვად იწერება გაკვეთილზე ორიანები, ის მოსწავლეებს სრულიად არ აშინებს. არც მოსწავლეთა ლანძღვას, უხეშად მიმართვას და მით უმეტეს ფიზიკურ შეხებას მოაქვს სარგებელი — ესენი ბავშვებს ცუდ ჩვევაზე ხელს ვერ ააღებინებს. ამ გამოსვლით მასწავლებელმა ავტორიტეტი წაიხდინა, ნერვები მოიშალა, გაკვეთილისთვის განსაზღვრული წუთები უშედეგოდ დაკარგა და, რაც მთავარია, მოსწავლეები თავის საწინააღმდეგოდ განაწყო.

გაკვეთილი თავიდან ბოლომდე ყალბად იყო წარმართული. აქ უხვად იყო როგორც ფსიქოლოგიური, ისე მეთოდური ხასიათის შეცდომები. ასეთი გაკვეთილი დაბალი ხარისხისაა და ცუდი მაგალითის მიმცემი მოსწავლეებისათვის. მასწავლებელი მოსწავლეთა ბედით დაინტერესების არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებს. მას სრულიად არ აინტერესებს, რატომ არ აქვს დავალება შესრულებული მოსწავლეთა ნახევარზე მეტს და ფიქრობს, რომ ორიანების წერით ყოველივე გამოსწორდება. ასეთი მასწავლებელი ვერასოდეს ვერ მოიხვეჭს ავტორიტეტს მოსწავლეებში, ამიტომ მის რჩევა-დარიგებასაც არავითარი დამაჯერებლობა არ ექნება.

ვისაც ბავშვი არ უყვარს და მათი მომავალი არ აინტერესებს, მისთვის საბჭოთა სკოლაში ადგილი არ უნდა არსებობდეს.

რატომ ერღვევა დისციპლინა ზოგჯერ კარგ მასწავლებელსაც

ხდება ხანდახან, რომ მასწავლებელი საგნის კარგი მცოდნეა, განვითარებულია, ფლობს სწავლების ხერხებს, თვალს ადევნებს ახალ მეთოდურ ლიტერატურას, კარგი მოქალაქეა, სკოლაც უყვარს, მოსწავლეებიც და, მიუხედავად ამისა, გაკვეთილზე ხშირად ერღვევა დისციპ-

ლინა. მოსწავლეები ედავებიან, აცდენენ, დროს აკარგვინებენ. მასწავ-ლებელი ვერც სათანადო ავტორიტეტის დამსახურებას ახერხებს და ვერც მათ პატივისცემას იმსახურებს. არ არის ეს კაცი მასწავლებლად დაბადებულიო, — ამბობენ ხშირად ასეთ შემთხვევაში, რაც რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მაშ რატომ ხდება, რომ მოსწავლე ერთი მასწავ-ლებლის შენიშვნას უსიტყვოდ ღებულობს, იმავე შენიშვნას მეორესა-გან არ იღებს და ეკამათება უსაფუძვლოდ? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოვხატავთ ამ შენიშვნას, რა ფორმას მივცემთ, როგორი ტონით მივმართავთ: ამხანაგურად, დამაჯერებლობით თუ კატე-გორიულად, ოფიციალურად. როგორ გამომეტყველებას ვაძლევთ ამ დროს ჩვენს სახეს, თვალებს და სხვა. ამის ნათელსაყოფად შეიძლება ა. ს. მაკარენკო მოვიშველიოთ. მას მიაჩნია, რომ ყველა ამ თვისებების გამომუშავება, სწავლა შეიძლება. ის წერს: „მე მაშინ გავხდი ნამუშევილი ოსტატი, როცა ვისწავლე თქმა „მოდი აქ“ 15—20 ელფერითა და იერით, როცა ვისწავლე სახის, ხმის და ფიგურის დაყენების 20-დე ნიუანსი. მაშინ მე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე ჩემთან არ მოვა, ან არ იგრძნობს, რაც საჭიროა“. ცხადია, ყველა ეს დადებითი თვისება შეიძინება, ისწავლება, მაგრამ ამისთვის საჭიროა სურვილი და მონდომება.

ისე მავნე და ცუდი მასწავლებლის საქმიანობაში არაფერია, როგორც ერთი და იმავე გატკეპნილი გზით სიარული, როგორც თვითდაჯერება და თავისი ყოველი ქცევის და ჩვევის უკრიტიკოდ მიღება, ყველა წარუ-მატებლობის შემთხვევაში მიზეზების არა თავისთავში, არამედ სხვაგან, გარეშე პირობებში ძებნა. თუ მასწავლებელმა ამ ნაკლოვანებებს თავი ვერ დააღწია, თუ არ ისწავლა კრიტიკული მიდგომა თავისი მოქმედები-სადმი, საჭირო მოვლენისადმი ობიექტური ანალიზის გაკეთება, თუ სის-ტემატურად არ ეძებს ახალ ხერხებსა და მეთოდებს იმ სიძნელეთა და-საძლევად, რომლებიც მას მუშაობაში ხვდება, ისე ის წარმატებას ვერ მიაღწევს.

მოსწავლეებს ძლიერ განვითარებული აქვთ მასწავლებელზე დაკვირ-ვების უნარი. ეძებენ მის სუსტ მხარეებს და თუ იპოვნეს, არ დააყოვ-ნებენ მის გამოყენებას. ერთი ხერხი, რომელსაც ისინი ხშირად მიმართა-ვენ, არის არაფრისმთქმელი, ან არაპირდაპირი პასუხების გაცემა მიცე-მულ კითხვებზე. მაგალითად, მოსწავლეს ვეკითხებით: რატომ გვაქვს სა-ხელმძღვანელო გადაშლილი, ხომ ნათქვამი იყო წიგნები დახურეთო? მოსწავლე ხშირად ამ კითხვაზე არაპირდაპირ პასუხს იძლევა: არ ვკითხუ-ლობ მასწავლებელო, თუ გნებავთ ნახეთ, რა ადგილზეა წიგნი გადაშლი-ლი.

გამოცდილი მასწავლებელი არ მისცემდა ამის საშუალებას და სიტყ-ვას მოკლედ მოუჭრიდა: მე არ მითქვამს, რომ შენ წიგნს კითხულობდი, არც ის, რომ გადაშლილი გქონდა. ამაში არავინ გედავება. ჩემი დავალე-

ბა, წიგნი დროულად დაგეხურა, არ შეასრულე! გეკითხები რატომ? ამ შემთხვევაში სალაპარაკო და თავის მართლების საფუძველი აღარ რჩება მოსწავლეს. ის უთუოდ ბოდიშს მოიხდის, ან უსიტყვოდ თავს დახრის.

საკონტროლო წერის დროს ვხედავთ მოსწავლე ამხანაგის რვეულში იცქირება. შეიძლება იწერს მისგან, შეიძლება ეხმარება კიდეც. ნამდვილად კი რომელ შემთხვევას აქვს ადგილი, არ ვიცით და შენიშვნას ასეთი ფორმით ვაძლევთ:

— რატომ იცქირები ამხანაგის რვეულში?

მაგრამ ის ცდილობს ჩვენი ყურადღება დაფანტოს, ამიტომ გვპასუხობს:

— მასწავლებელო ის სხვა ამოცანას იყვანს და მე სხვას.

— ხომ არავის უთქვამს ამხანაგისაგან ნუ იწერო. მხოლოდ გაფრთხილებ, რომ საკონტროლო წერის დროს ამხანაგის რვეულში ცქერა არ შეიძლება. ამიტომ კითხვას უფრო მკაცრი ტონით ვუმეორებ:

— რატომ იქცირები ამხანაგის რვეულში?

საალმზრდელო კლასის მოსწავლეს ვეკითხები:

— ისტორიის მასწავლებელმა გაკვეთილიდან გარეთ რატომ გაგიშვა? მოსწავლე იწყებს თავის მართლებას, რომ მას სრულიად არაფერი დაუშავებია, რომ გაკვეთილზე ვიღაცამ რაღაც წამოიძახა და მასწავლებელს ეგონა, ეს მან ჩაიდინა. თუ უფლება მივეცი, ასეთ საუბარს და თავის მართლებას ის დიდხანს განაგრძობს და გამარჯვებულიც გამოვა, რადგანაც მიაღწევს რამდენიმე წუთი უნაყოფოდ დამაკარგვინოს და თანაკლასელებში „ყოჩაღის" სახელიც დაიმსახუროს. რომ ეს არ მოხდეს, სწრაფად ვაწყვეტინებ დაგანვაგრძობ:

— ე. ი. შენ სავსებით მართალი ხარ (მოსწავლე აზრზე ვერ მოდის) და ეს უდანაშაულო, პატიოსანი კაცი უმართებულოდ დაგსაჯა მასწავლებელმა. გამოდის, რომ დამნაშავე მასწავლებელია და არა შენ. რას იტყვი, ასე იყო?

აქ მოსწავლე იბნევა, მსჯელობამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომელიც მას გათვალისწინებული არ ჰქონდა, დანაშაულს ნაწილობრივ იღებს და თუ ცოტა კიდევ ჩავეძიეთ, დამნაშავედ აღიარებს თავს. უფრო ხშირად მოსწავლეს ასეთ შემთხვევაში ამდენსაც არ ვალაპარაკებთ. მოკლედ ვუჩრით:

— გაკვეთილზე შენთვის გამომძიებელსა და მოსამართლეს ვერ მივიყვანთ. მაგისათვის აქ არც ადგილია და არც დრო. შენი გამომძიებელიცა და მოსამართლეც მასწავლებელია. მოიქეცი ისე, როგორც წესია და შენზე არც ერთი მასწავლებელი ეჭვს არ მიიტანს.

მაგრამ ზოგჯერ ისიც შესაძლებელია, რომ შემთხვევით უდანაშაულო მოსწავლეს დაადოს ხელი მასწავლებელმა. ასეთი შემთხვევის გამორკვევა ძნელი არ არის. მოსწავლეს უმალვე დაეტყობა, თუ ის მართალია მაგრამ ყველაზე უტყუარია კლასი. მოსწავლეებს უნდა გადავხედოთ (კი

არ შეეკითხოთ) და მათ სახეებზე ამოვიკითხოთ: მართალია მოსწავლე, თუ ყალთაბანდობს.

როცა მოსწავლეს შენიშვნას ვაძლევთ, ან რაიმე დანაშაულში ბრალს ვდებთ, წინასწარ მტკიცედ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ არ ვცდებით. თუ ამაში დარწმუნებული არ ვართ, ნურც მივცემთ შენიშვნას. ვითომ არაფერი ხდება, განვაგრძობთ მუშაობას და თან ვაკვირდებით ეჭვმიტანილ მოსწავლეს. რწმენა იმისა, რომ არ ვცდებით, თავისთავად გვმატებს სიმტკიცეს და დამაჯერებლობას. როცა მოსწავლე ტყუილს გვეუბნება, თვალის ახვევას ცდილობს, გული არ უნდა მოგვივიდეს, თორემ ბრძოლას წავაგებთ.

მოვიტან მაგალითს: მორიგეობისას შევნიშნე, რომ დასვენების დროს მოსწავლეები ერთ საკლასო ოთახში ფეხბურთს თამაშობდნენ. დავიმახსოვრე მოსწავლე, რომელმაც ჩემს თვალწინ დაარტყა ფეხი ბურთს. ის საკმაოდ მოხერხებული და გამოცდილი აღმოჩნდა. როცა იგრძნო მასწავლებლის მიახლოება, არც კი მობრუნდა, ვითომ არაფერი გაუგია, ისე, თავისი გუნებით ჯერ ფანჯარასთან მიდგა, სახე დაიმშვიდა, შემდეგ კლასისკენ მობრუნდა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და ისეთი პოზა მიიღო, თითქოს ახლა შემნიშნა. მოვიხმე ჩემთან და ვკითხე: რატომ თამაშობ საკლასო ოთახში ბურთს? არ ვთამაშობდი! — იუარა. შემდეგ თავაწეულს ცოტა ხანს თვალებში ვუცქირე და მშვიდად, მაგრამ კატეგორიულად მიემართე: ტყუილის თქმა სირცხვილი ხომ არ არის? მოსწავლე დარწმუნდა, რომ მე ყველაფერი ვიცოდი, საეჭვო არა მქონდა რა და თავი დახარა: ბოდიშს ვიხდი, მასწავლებელო, მეტს აღარ ვიზამო, — ჩაილაპარაკა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი მოსწავლე სპეციალურად ეარჯიშობს ასეთი არაპირდაპირი პასუხის მოცემაში. ისინი ცდილობენ რაიმე თქვან მასწავლებლის პასუხად და სრულიად არ გრძნობენ, რომ მათ ნათქვამს ლოგიკა აკლია. ხოლო თუ მასწავლებელი ამ უპირატესობას არ დაუთმობს, მაშინ გაიმართება დაუსრულებელი კამათი, რაც მოსწავლეს საესებით აკმაყოფილებს.

ასეთი ცდების აღსაკვეთად საჭიროა მასწავლებელმა დროზე მოუჭრას მათ სიტყვა, არ მიიღოს ის პასუხი, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება დასმულ კითხვას და იძულებული გახადოს მოსწავლე—სწორ პასუხს იძლეოდეს.

— რატომ დაიგვიანე? — ეკითხება მასწავლებელი კლასში დაგვიანებით შემოსულ მოსწავლეს. ეს უკანასკნელი პასუხობს: „ქვევით ვიყავი, მასწავლებელო“ ან „დამაგვიანდა, მასწავლებელო“. არც ერთი პასუხი არ უნდა მიიღოს მასწავლებელმა და იგივე კითხვა უფრო მკაცრად, დაუსვას. — რომ დაგაგვიანდა ამას ვხედავ, სად იყავი ამჟამად არ მაინტერესებს და არც მაკითხავს. მე გკითხე: რამ შეგიშალა ხელი, რატომ

დროზე ვერ მოხვედი კლასში? ამაზე უნდა მიპასუხო. მოსწავლეს სწორი პასუხის გაცემა უძნელდება, რაკი საპატიო მიზეზი არა აქვს. შემდეგისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ ის მოერიდება გაკვეთილზე დაგვიანებით შემოსვლას.

მოსწავლე მაშინ ჯიუტობს, არ ნებდება მასწავლებელს, არ ცნობს თავს დამნაშავედ და განაგრძობს უსაფუძვლოდ თავის მართლებას, როცა იმედი აქვს, რომ ამის გამო თანაკლასელებში „ყოჩაღისა“ და „გმირის“ სახელს მოიხვეჭს. სწორედ ამის საშუალება არ უნდა მისცეს მას მასწავლებელმა, ამხილოს ბოლომდე, გამოააშკარაოს მისი ცუღლუტობა, სიცრუე სიმართლის თვალსაჩინოდ დადგენის საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში ძალითა და უფლებით არ მოერიოს, თორემ მოხდება სწორედ ის, რასაც მოსწავლე ესწრაფოდა: მართლაც „ყოჩაღის“ სახელს მოიხვეჭს ამხანაგების თვალში. ამიტომაა საჭირო დიდი სიფრთხილე, როცა მოსწავლეს რაიმეში ბრალს ვდებთ. მაგალითად, გაკვეთილის მსვლელობის დროს გვესმის ჩუმი ლაპარაკი, ეჭვიც ავიღეთ ერთ მოსწავლეზე, მაგრამ თვალდანახული კიდევ არ არის. — ლაპარაკი შეწყვიტეთ! — შეიძლება განვაცხადოთ ერთ შემთხვევაში. შეიძლება ასეც მოვიქცეთ: არ გავაკეთოთ ამის შესახებ რაიმე შენიშვნა, ნურც კი შევიმჩნევთ, რომ ჩურჩული გვესმის, განვაგრძოთ ჩვენი საქმიანობა, თან ფარულად თვალყური ვადევნოთ საეჭვო მოსწავლეს და როცა დაილაპარაკებს იმ მომენტში მივცეთ შენიშვნა.

ზოგიერთ მასწავლებელს ხშირად მშობლებთანაც მოსდის შეკამათება, რომელიც ზოგჯერ ურთიერთ შეურაცხყოფაში გადადის. საქმე იმაშია, რომ მშობელმა თვითონ შეიძლება ბევრი რამ ცუდი იცოდეს თავის შვილზე და გულიც სტკიოდეს ამის გამო, მაგრამ, თუ ჩვენ უხეშად შევეხეთ ამ მტკივნეულ საკითხს, სავსებით მოსალოდნელია თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს, არ მიიღოს ეს შენიშვნები და ჩვენს ობიექტურობაშიც დაეჭვდეს. მშობელი თავისდაუნებურად ამცირებს იმ ნაკლოვანებების მნიშვნელობას, რომლებიც შვილში შენიშნა, ადვილი გამოსასწორებელი ჰგონია და ბრმად ეყრდნობა დროს.

მეორეს მხრივ, იმ დადებით თვისებებს, რომლებსაც შვილის ხასიათში ხედავს გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე საჭიროა. გარდა ამისა, შვილი მეტად უყვარს, ის მისი იმედია და ერთბაშად იმედის გადაწყვეტა ისე ცუდად მოქმედებს, რომ თავშეკავება უძნელდება, წონასწორობას კარგავს და მასწავლებელს უხეშად მიმართავს.

შეიძლება მშობელს ყველაფერი ზუსტად ვუთხრათ, რასაც ბავშვი იმსახურებს, მაგრამ მის თავმოყვარეობას უხეშად არ შევეხოთ. დავუსახელოთ ფაქტები, მაგრამ არ მივცეთ კვალიფიკაცია. როცა ბავშვი ზარმაცობს, „ორიანებს“ იღებს, ეს მშობელს პირველ რიგში უნდა ვაცნობოთ, მასთან ერთად გამოვარკვიოთ, ბავშვი ვერ სძლევს დავალებებს თუ ინ-

ტერესს არ იჩენს. შემდეგ სათანადო რჩევაც მივცეთ, როგორ დაეხმაროს შვილს.

ბავშვი ძნელადაც რომ ითვისებდეს მასალას, მშობელს მაინც არ უნდა ვუთხრათ, რომ მისი შვილი უნიჭოა, რომ ის შემდგომ კლასში ვერ გადავა და სკოლას ვერ დაამთავრებს. ჯერ ერთი, ძნელად შეთვისების მიზეზი ყოველთვის უნიჭობა არ არის და გარდა ამისა, მშობელიც უნდა დავზოგოთ. ერთის წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მშობელი დავარწმუნეთ: მის შვილს შეთვისების უნარი არა ქვს, შემდეგ კლასში ვერ გადავა და სკოლასაც ვერ დაამთავრებს. გამოდის, რომ სკოლაში სიარულს ყოველგვარი აზრი ეკარგება, და მშობელმა შვილი სკოლიდან უნდა გაიყვანოს, რაც საყოველთაო სწავლების კანონს ეწინააღმდეგება.

კიდევ კარგი, რომ მშობლები მასწავლებლის ასეთ რჩევას არ იღებენ.

ხშირად მოსწავლე მეტად ცელქია, მოუსვენარი, ამეღვნებს ცუდ ყოფაქცევას, რომელიც თავხედობამდე მიდის. თვითონ არ სწავლობს და სხვებსაც ხელს უშლის. ზოგჯერ გვექმნება შეხედულება, რომ მისგან ნამდვილი მოქალაქე, დადებითი პიროვნება არ გამოვა, მაგრამ თუ ასეთი აზრი თავში მოგვივიდა, ის როგორმე ჩქარა უნდა გავაძეოთ და კოლეგებსაც არ უნდა გავუზიაროთ. ჯერ ერთი, არავინ იცის, იმისგან როგორი ადამიანი გამოვა. არ არის გამორიცხული, რომ ქვეყნისთვის მეტად საჭირო და სასარგებლო მოქალაქეც გამოვიდეს. მაგრამ რა საჭიროა ავჩქარდეთ უარყოფითი დიაგნოზის დასმაში, მშობელს ჩამოვუთვალოთ ყველა ის დანაშაულებანი, დარღვევები, რომლებსაც მისი შვილი ჩადის? მივცეთ, ჩვენი გამოცდილების მიხედვით, რჩევა-დარიგება, ვეცადოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობით დადებითი გავლენა მოვახდინოთ ბავშვზე და დანარჩენი დროს მივანდოთ.

დასვენების დროს შევნიშნე, რომ ჩემი სადამრიგებლო კლასის ოთახიდან დაწყებითი კლასის მოსწავლეები გამოდიოდნენ. ოთახში შევიხედე, იატაკი ძლიერ დანაგვიანებული იყო ქაღალდის ნაკუწებითა და ცარცის ნამტვრევებით. გამოირკვა, რომ იმ დროს კლასს გაკვეთილი ფიზიკის კაბინეტში ჰქონდა. ამით უსარგებლია ხელსაქმის მასწავლებელს და იქ ჩაუტარებია გაკვეთილი IV კლასთან. ბავშვებს ვუსაყვედურე, კლასის ხელმძღვანელის გვარი ვკითხე და გარეთ გამოვედი. იქ მშობლები დამიხვდნენ. ვიცოდი, რომ ამავე საკითხზე, რამდენიმე დღის წინ VIII კლასის ხელმძღვანელს არასასიამოვნო საუბარი მოუხდა IV კლასის მშობლებთან. როცა მასწავლებელმა უსუფთაოდ მიტოვებული კლასი ნახა, იქვე მდგომ მშობლებს უსაყვედურა: გაუზრდელები არიან თქვენი შვილები, სისუფთავე არ უყვართ, საღორეშია მათი ადგილი და არა სკოლაშიო. მშობლებმა ეს შეურაცხყოფად მიიღეს და საკმაოდ მოურიდებლად უპასუხეს.

ყოველივე ეს ვიცოდი, მაგრამ მშობლებისათვის და ისიც დედებისთვის რომ ამაზე არაფერი მეთქვა, არ შეიძლებოდა. შევიყვანე ყველანი საკლასო ოთახში. იქ მათ ისეთი სურათი ნახეს, საკმაოდ შეწუხდნენ. მართალია, გაკვეთილზე სისუფთავისთვის თვალყურის დევნება მასწავლებლებს ევალება, — მივმართე მშობლებს, — მაგრამ 10—11 წლის ბავშვებიც არ არიან თავისუფალი ამ ვალდებულებისაგან, მათაც ხომ უნდა იცოდნენ, რომ იატაკის დანაგვიანება არ შეიძლება, ამ კლასის მოსწავლეებმა მათ სუფთა ოთახი დაუტოვეს, ხვდებათ დანაგვიანებული. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს ბავშვები თავის საკუთარ ბინაშიც ასევე იქცევიან, სისუფთავეზე სრულიად არ ზრუნავენ და ის დედის მოვალეობად მიაჩნიათ.

მშობლები იმავ წუთს დამეთანხმნენ და განაცხადეს: ჩვენი შვილები ისე პატარები აღარ არიან, რომ ეს არ იცოდნენო.

— ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ბავშვების ასეთი საქციელი საკმაო ჩრდილს არა მარტო მასწავლებლებს გვაყენებს, არამედ თქვენც, მშობლებს და განსაკუთრებით დედებს. — ავუხსენი მშობლებს.

ამგვარად ყველაფერი ითქვა, რაც საჭირო იყო. მშობლებმაც თავისი დანაშაული იგრძნეს და ამას არავითარი საყვედური, პროტესტი არ გამოუწვევია, მოხდა პირიქით, მათ ბოდიში მოიხადეს თავიანთი შვილების უწესო ქცევისთვის და დამპირდნენ კიდეც ვეცდებით, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდესო.

ხშირად ასეც ხდება: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს—ახალ მასალას ხსნის. მოსწავლეებიც ყურს უგდებენ, მაგრამ დაკვირვებული ადამიანი გაარჩევს, ვიღაც ჩუმად ლაპარაკობს, რომელიღაც მოსწავლემ ამხანაგს ხელით რაღაც ანიშნა. მასწავლებელს ყოველივე ესმის, ცოტა გულიც მოსდის, მაგრამ ზომას არ ღებულობს, დროს დაკარგვა ენანება, ამით წათამამებული მოსწავლეები ცელქობას უმატებენ. მოსწავლეთა ყურადღება თანდათანობით შორდება გაკვეთილის თემას, კლასში არასამუშაო განწყობილება იქმნება. მასწავლებელს გაბრაზება თანდათანობით ემატება და ბოლოს წონასწორობას კარგავს, მეტად აწეული ხმით მიმართავს, ლანძღავს მოსწავლეებს და სიტყვების შერჩევაშიც ზედმეტ უფლებას აძლევს თავს. მიმართავს ყველას ერთად, მტყუანსა და მართალს. არავის ცალკე არ გამოჭყოფს. ყოველივე კი მასწავლებლის ბრალია... რა საჭირო იყო ლოდინი. ოდნავი დარღვევა რომ შენიშნა, მაშინვე უნდა შეეღო ზომები და საკითხიც მარტივად მოგვარდებოდა, არც მას აეშლებოდა ნერვები და მოსწავლეებსაც ლანძღვა ასცდებოდათ. ყოველი შეცდომა, დიდი თუ პატარა, ჩანასახში უფრო ადვილი აღმოსაფხვრელია. ეს დებულება სასკოლო მუშაობასაც ეხება.

მაგალითად ვხედავთ, რომ მოსწავლე ამხანაგისაკენ მიბრუნდა, პირზე ხელი მიიფარა, თავიც მისკენ გადასწია და სალაპარაკოდ მოემზადა.

ამხანაგს რაღაც უნდა უთხრას. ამაში საეჭვო აღარაფერია. ვითომ საჭიროა ველოდოთ სანამ ლაპარაკს დაიწყებდეს და შემდეგ მივცეთ შენიშვნა? ვასახელებ მოსწავლის გვარს. მან შეიძლება იკითხოს მასწავლებელო, რა დავაშავე? —ხომ მოემზადე სალაპარაკოდ? დაჯექი და წესიერად მოიქეცი. მოსწავლე დარცხვენილი დაჯდება. რომ შეგვენიშნა — ნუ ლაპარაკობო, მოსწავლე გვაჯობებდა, დაგვამარცხებდა, რადგანაც ჩვენი შენიშვნა ზუსტი არ იქნებოდა.

მოსწავლე უკან მჯდომი ამხანაგებისკენაა მიბრუნებული, მის სახეს ვერ ვხედავთ და ამიტომ, რას საქმიანობს, არ ვიცით. ვურჩევთ გასწორდეს, რადგანაც აშკარად არღვევს გაკვეთილზე ჯდომის წესს.

მოსწავლემ შეიძლება არ მიიღოს შენიშვნა იმ იმედით, რომ მის სახეს ვერ ვხედავდით. მაშინ ვეტყვით, რომ როცა შენიშვნა მიიღე შენ აპირებდი გადალაპარაკებას.

ზოგი მასწავლებელი იშვიათად იძლევა ინდივიდუალურ შენიშვნას და უმეტეს შემთხვევაში ზოგადი გაფრთხილებით კმაყოფილდება, არ უკვირდება, რომ ყველასადმი მიცემული შენიშვნა არავის არ ეხება.

საერთო გაფრთხილებით მიმართვა შეიძლება შედეგიანი გავხადოთ და ზოგჯერ დროის ეკონომიის მიზნითაც გამოვიყენოთ, მაგრამ ამისათვის წინასწარი მუშაობის ჩატარებაა საჭირო.

ამას პირადად ისე ვაღწევდი: შევნიშნე მოსწავლე ლაპარაკობს, — ვიძლევი საერთო გაფრთხილებას ისე, რომ ამ მოსწავლეს არ ვუცქერი და, თუ მან ლაპარაკი არ შეწყვიტა, მაშინ ვეკითხები: გაიგონე ჩემი გაფრთხილება? ხომ შენ გეხებოდა? დაჯექი და დაიხსომე, რომ სირცხვილია. ასე შეგნებული მოსწავლე არ იქცევა.

მსგავსი შემთხვევა თუ რამდენიმეჯერ გამეორდა, მოსწავლეები ისწავლიან, რომ უმისამართო გაფრთხილებასაც ანგარიშის გაწევა უნდა, რადგანაც ის რომელიღაც მათგანს ეკუთვნის.

შემთხვევითი ან განსაკუთრებული ნიჭის შედეგი სრულიად არ არის, რომ ზოგიერთ მასწავლებელს გაკვეთილზე საუკეთესო დისციპლინა აქვს. მოსწავლეები მას პატივს სცემენ, მის ყოველ სიტყვას და შენიშვნას უსიტყვოდ იღებენ და არც ტყუილს აკადრებენ. ასეთ მასწავლებელს გაკვეთილის ყოველ მომენტში მთელი კლასი ჰყავს მხედველობაში, მას არ გამოეპარება მოსწავლის არც ერთი გადაჩურჩულება, არც ერთი თავის უადგილო მიბრუნება. ის მეტად დაკვირვებულია. სახეზე ატყობს მოსწავლეს, როცა ეს უკანასკნელი წუნარად ზის, მას უცქერის და არ უსმენს, სხვა რამეზე ფიქრობს. მეტად ფრთხილია და ამიტომ მისი მოტყუება ძნელია, ცდილობს არ შეცდეს, მაგრამ არასოდეს იტყვის არ შევცდებიო.

თუ მასწავლებელმა ასახსნელი მასალა მტკიცედ არ იცის, თუ იმისი ფიქრი აწუხებს, არაფერი შემეშალოს ან სათქმელი არ გამომრჩესო,

გაუძნელდება გაკვეთილის ორგანიზება. მოსწავლეები მისი ყურადღებისა და კონტროლის გარეშე დარჩებიან, დისციპლინაც დაბალი იქნება და შეთვისების ხარისხიც. იმისათვის, რომ კლასს მოვერიოთ, დავიმორჩილოთ, ჩვენი გავლენა მათზე გავაძლიეროთ, აუცილებელია, მასწავლებელი თავს დამშვიდებულად გრძნობდეს და დასამუშავებელ მასალაში ისე დანავარდობდეს, როგორც ფრინველი ჰაერში. მაშინ ადვილად მოახერხებს მასალაც კარგად ახსნას და მოსწავლეთა ქცევასაც თვალყური ადევნოს.

მოსწავლე მასწავლებლის მოტყუებას, მის შეცდომაში შეყვანას ყოველთვის ცდილობს, მაგრამ თუ საბოლოოდ არა გამოუვიდა რა, თუ ყოველი ასეთი ცდის შედეგად თვითონ გამოვიდა შერცხვენილი, ხელს აიღებს თავის განზრახვაზე და სცნობს მასწავლებლის ავტორიტეტს.

მოსწავლეებს თავი მოსწონთ, ესახელებათ კიდეც, რომ ავტორიტეტიანი მასწავლებელი ჰყავთ. ხელს იღებენ მოტყუების ცდაზე, ეჩვევიან სმართლის აღიარებას და ეგუებიან მასწავლებლის ყველა სამართლიან მოთხოვნას. იციან, რომ მასწავლებელი ყოველთვის დაუგვიანებლად შემოვა გაკვეთილზე და ამიტომ ზარის შემდეგ ისინიც კლასისაკენ გარბიან. ყოველივე ეს მასწავლებლის პატივისცემასა და სიყვარულში გადადის.

მასწავლებლის ეს მიღწევა დიდი ენერგიისა და შრომის, დიდი დაკვირვებისა და ყურადღების, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის, მოსწავლეთა სიყვარულის, საგნის ღრმა და ფართო ცოდნის შედეგია, თუმცაღა შეიძლება ზოგჯერ ყოველივე ამას მისი ინდივიდუალური, თანდაყოლილი უნარიც ემატებოდეს.

უდავოა, რომ ყველა ეს თვისება, რაც კარგი მასწავლებლისათვის აუცილებელია, ისწავლება, შეიძინება, თუ ადამიანს სურვილი ექნება და დროსა და ენერგიას არ დაინანებს. ცხადია, დიდი საქმე, კარგი საქმე დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ვისაც ამ სასახელო საქმის სიყვარული აქვს, ის, ნაყოფიერ შრომაში გართული, დაღლილობას ვერც კი იგრძნობს.

ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲚᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜᲐᲐ

ცნობილია, რომ სწავლა-აღზრდის საქმეში მასწავლებელი არის მთავარი ფიგურა. ძლიერი, დაკვირვებული, შემოქმედი მასწავლებლის ერთ სიტყვასაც კი, თავის დროზე და ადგილზე თქმულს, ზოგჯერ შეუძლია უკეღმართ გზაზე დამდგარი მოსწავლე მოაბრუნოს და პირი სიკეთისაკენ აქნევინოს. მაგრამ უადგილოდ ან უმართებულოდ თქმულ სიტყვას, შენიშვნას, შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვეს. ამი-

ტომ სჭირდება მასწავლებელს და საერთოდ აღმზრდელს დიდი სიფრთხილე, დაკვირვებულობა, სიდინჯე, აუჩქარებლობა, რომ რომელიმე მომხდარი ფაქტის შესახებ უმართებულო დასკვნა არ გააკეთოს, მაგრამ უნებლიე შეცდომისაგან სავსებით დაზღვეული არავინ არის. ამიტომ მასწავლებელი ყველა მოსალოდნელი შემთხვევისათვის მზად უნდა იყოს. მთავარია თვითკრიტიკამ არასდროს არ უღალატოს, თავი შეუცდომლად არ წარმოიდგინოს და დაშვებული შეცდომის გასწორება არ გაუძნელდეს.

მაღალი კვალიფიკაციის დამსახურებულ მასწავლებლებსაც კი მოსდიოდათ ზოგჯერ შეცდომა, მაგრამ მათ სრულიად არ უძნელდებოდათ სინამდვილისათვის თვალის გასწორება დაშვებული შეცდომის აღმოსაფხვრელად. ამით მათი ავტორიტეტი სრულიად არ ეცემოდა. მინდა მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი:

გაკვეთილზე შესულ მასწავლებელს კლასში ახალი მოსწავლე დახვდა. მან სრულიად ბუნებრივად მოინდომა ამ მოსწავლის გაცნობა,— რომელი სკოლიდან გადმოვიდა, რა მიზეზით, სად ცხოვრობს და სხვა. მოსწავლე ფეხზე ადგა, მაგრამ ცალი ხელი ჯიბიდან არ ამოუღია. მასწავლებელს ეწყინა, კლასში პირველად მოსული მოსწავლის ასეთი ქცევა მეტად თავხედურად ეჩვენა და გულმოსულმა მკაცრად, აწეული ტონით მიმართა: ხელი ჯიბიდან ამოიღეო. მოსწავლე ძლიერ შეწუხდა, მაგრამ განკარგულება მაინც.არ შეასრულა. კლასში რაღაც უხერხულობა, მძიმე ატმოსფერო შეიქმნა. მოსწავლეებიც სდუმდნენ, ეტყობოდათ რაღაც აწუხებდათ, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. გამოცდილი მასწავლებლის ალღომ იმავე წუთს აგრძნობინა მას, რომ აქ რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობა იყო, რაღაცა არ იცოდა მან, მაგრამ სახელდობრ რაში იყო საქმე ვერ მიხვდა. მაშინვე შეწყვიტა ამ საკითხზე საუბარი, მოსწავლე ადგილზ ე დასვა და იმ იმედით, რომ შემდეგში, ალბათ, ყოველივე გაირკვევაო, გაკვეთილი განაგრძო. გაკვეთილის დამთავრებისთანავე მასწავლებელმა კლასი დატოვა და სამასწავლებლოსკენ გაემართა მეტად ჩაფიქრებული და დაღონებული. გზაში ერთ-ერთი მოსწავლე დაეწია და უთხრა: ის მოსწავლე ცალხელი არისო.

— ჩემთვის ყოველივე გასაგები გახდა, — მიამბობდა დიდი ხნის შემდეგ ეს მასწავლებელი, — ძლიერ შევწუხდი, რატომ დავადგი მოსწავლეს ფე ხი ყველაზე მტკივნეულ ადგილზე? მაგრამ იმ წუთში რაღა შემეძლო. გაკვეთილების ბოლოს აღნიშნულ მოსწავლეს ვთხოვე დამლოდებოდა. გზაში გამოვკი თხე, თუ როგორ და როდის შეემთხვა ეს უბედურება, გავეცანი მის ოჯახურ პირობებს და აღვნიშნე, რომ ამ ამბავმა მეც ძლიერ შე მაწუხა. ვუთხარი, ახალი მოსული ხარ კლასში და თუ საპროგრამო მასალაში ჩამორჩენა გაქვს, ნუ მომერიდები, მოდი ჩემთან და დაგეხმარები-მეთქი. მოსწავ ლეც სრულიად კმაყოფილი წავიდა, მაგრამ ეს შემთხვევა ეხლაც ცუდ მოკონებად მრჩება, რ ამდენი სიფრთხილე სჭირდება მასწავლებელს — დასძინა მან.

— გახსოვთ თქვენ XI²-ში მოსწავლე ჯ. დ.? — მკითხა ერთმა, ყველასათვის საყვარელმა მასწავლებელმა, — როგორ გვიყვარდა ყველას, როგორ ვაქებდით მას ბეჯითობით, თავაზიანობით. ოქროს მედლითაც გავისტუმრეთ სკოლიდან. ამ ცოტა ხნის წინათ შემხვდა ქუჩაში, სულ ახლოს მიცქერდა და სალამი კი არ მომცა. ნუთუ ასე ვცდებოდი მის შეფასებაში?

ძლიერ გამიკვირდა და ძლიერაც მეწყინა. მე ის კარგად მახსოვდა და ერთ-ერთ უკეთეს მოსწავლედაც მიმაჩნდა მათ შორის, ვინც კი ოდესმე გაუშვია ჩვენს სკოლას. მიკვირს, როგორ მოუვიდა-მეთქი, — ვუთხარი განაწყენებულ მასწავლებელს.

ასეთი ფაქტები მასწავლებელს არასოდეს ავიწყდება და ამიტომ, როგორც კი ჯ. დ-ს თანაკლასელები შემხვდნენ, შემდეგში ქუჩაში, მე აღნიშნული შემთხვევა მომაგონდა. შეჩერდნენ, მომიკითხეს მეც, სხვა მასწავლებლებიც, სკოლაც. მეც მათი ამბავი ვიკითხე, სწავლაში წარმატება მოვუწონე. ისინი უკვე მეოთხე კურსის სტუდენტები იყვნენ. ამხანაგების ამბავიც მიამბეს, მათ შორის ჯ. დ-ს. კარგად სწავლობს, სერიოზული ბიჭია, მაგრამ მხედველობა ძლიერ დაუქვეითდაო, აღნიშნეს მათ. ერთმა მათგანმა დაუმატა: როცა ქუჩაში ერთად მივდივართ და ჩვენსკენ მომავალ რომელიმე ნაცნობს დავინახავ, ვეუბნები: თავი მიიბრუნე მარჯვნივ (ან მარცხნივ), გაიღიმე და მიესალმე. ხოლო როცა ამას შეასრულებს, მკითხავს ვინ იყოო. ცოტა ხნის შემდეგ კი იმ მასწავლებელსაც გაეგო საქმის ვითარება და ჩემთან ბოდიშობდა, რა ტყუილად დავწამე ცილი საყვარელ მოსწავლესო. მაგრამ იმითი მაინც კმაყოფილი ვარ, რომ შემცდარი მე აღმოვჩნდი და ჯ. დ. ყველაფერში მართალიაო.

მასწავლებელი მეცხრე კლასში ტრიგონომეტრიის გაკვეთილს ატარებს. ცხელა. საკლასო ოთახის კარები ღიაა. ამ დროს კარებთან პირველკლასელი გოგონა მოვიდა. გაჩერდა კარებში წყნარად და საკლასო ოთახსა და ბავშვებს დაუწყო თვალიერება. გოგონამ მოსწავლეთა ყურადღება მიიპყრო. კლასში ჩურჩული გაისმა. მასწავლებელს გული მოუვიდა მოსწავლეებზე, განსაკუთრებით პატარა გოგონაზე, მას მყუდროება დაურღვიეს, მაგრამ საუბარში გართულს გაკვეთილის შეწყვეტა დაეზარა, ნერვიულობის გამო ძალაუნებურად ხმას აუწია, თან ხელებით ანიშნებდა გოგონას — კარებს გაეცალეო. ბავშვი ადგილიდან არ დაძრულა. ხელების ქნევა და ხმის აწევაც, ალბათ, გაკვეთილის ნაწილი ეგონა. ბოლოს წონასწორობიდან გამოსული მასწავლებელი მიეჭრა ბავშვს და გულმოსულმა ხმამაღლა უთხრა წასულიყო იქიდან. ბავშვიც, მეტად გაკვირვებული და საგონებელში ჩავარდნილი, ნელ-ნელა მოშორდა კარებს. მიდიოდა და თან უკან იცქირებოდა, მისი თვალები გარკვევით კითხულობდნენ: ნეტავი რა დაგიშავე, რისთვის გამაგდეო.

მასწავლებელმა წრის მეცადინეობაზე განიზრახა წაეკითხა კრილოვის

არაკი „Разборчивая невеста“. წრის ერთმა წევრმა სთხოვა წაეკითხა რომელიმე სხვა და არა ეს არაკი. მოსწავლემ არ დაასაბუთა თავისი შეამდგომლობა და ამიტომ მასწავლებელმა წაიკითხა ის, რომელიც ჰქონდა განზრახული და როცა უკანასკნელი ორი სტრიქონი („მეტად გახარებული იყო, რომ ცოლად გაყვა ინვალიდს“) დიდი გრძნობითა და გამომეტყველებით წაიკითხა მასწავლებელმა ბოლოს შენიშნა, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ წრის წევრები. სევდიან სიჩუმეში, ბავშვთა აღელვებულ და აღშფოთებულ სახეებზე, ერთი გოგონას ცრემლით სავსე თვალებში ამოიკითხა მან, რაც მოხდა: რომ წრის წევრებს შორის იჯდა ვაჟი, რომელსაც რამდენიმე წლის წინათ მატარებელმა ფეხი მოსწყვიტა და აქვე იყო ის გოგონაც, რომელიც მას გაუზიარებელი სიყვარულით უყვარდა. შეიძლება ძნელი იყოს ყოველივეს წინასწარ სწორად განჭვრეტა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ასეთი ფაქტი რომ რამდენიმეჯერ გამეორდეს, მოსწავლეებს მასწავლებელი ნამდვილად შესძულდებათ და მათ შორის საერთო ენის მონახვა ძლიერ გაძნელდება.

ჩ. დიკენსს ერთ რომანში გამოყვანილი ჰყავს საკმაოდ ფიცხი ქალიშვილი სახელად ტეტინკორემი. როცა ბატონი მიგზლი, ამ ქალიშვილის გამზრდელი ხედავს, რომ ტეტინკორემს რაღაცა არ მოეწონება და ამის გამო შესაძლოა რაიმე უხეშობა ჩაიდინოს, მაშინვე აფრთხილებს: „ტეტინკორემ, ჯერ დაითვალე ოცდახუთამდე, ტეტინკორემ ჯერ დაითვალე ოცდახუთამდე!“ ბატონმა მიგზლმა იცის, თუ ტეტინკორემმა ოცდახუთამდე დაითვალა, ამ დროის განმავლობაში გული ნაწილობრივ მაინც გაუგრილდება და დასმულ საკითხზე შეიძლება შეეცვალოს შეხედულება.

სწორედ ის არის ყველა შეცდომის მიზეზი, რომ ჩვენი პატივცემული მასწავლებლები ოცდახუთამდე არ ითვლიან და პირველი შთაბეჭდილებისთანავე ახდენენ რეაგირებას. მერე არ იცნობენ ისინი ტეტინკორემის ფილოსოფიას? რა თქმა უნდა იცნობენ, მაგრამ გულმოსულებს ავიწყდებოდათ, რომ სიფრთხილეა საჭირო. შეცდომა კი გულის მოსვლიდან იწყება, აქედან გამომდინარეობს აჩქარებაც და მოუფიქრებლობაც, ნაჩქარევი რეაგირებაც. ამ თვალთახედვით განვიხილოთ შემთხვევები:

მასწავლებელი ელაპარაკება მოსწავლეს, ამ უკანასკნელს კი ცალი ხელი ჯიბეში უდევს. ცხადია, მასწავლებელს ეს არ მოეწონა, ეწყინა კიდეც. ის ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფაქტს ხედავს, მაგრამ რამ გამოიწვია ეს ფაქტი, რა არის მისი გამომწვევი მიზეზი, ამის შესახებ არაფერი იცის. რატომ გადაწყვიტა საკითხის გამოურკვევლად, რომ მოსწავლე თავხედია, რომ ის მასწავლებელს არად აგდებს? ხომ შეიძლება კოლექტივში ახლად მოსული მოსწავლე უცაბედად დაიბნეს, ვერ მოისაზროს, რომ ხელის ჯიბიდან ამოღებაა საჭირო. მაგრამ, ვთქვათ, მასწავლებლის დიაგნოზი სწორია, მოსწავლე განზრახ აკეთებს ამას, პირველი გაკვეთილიდანვე სურს უჩვენოს ამხანაგებს, რომ ის „ყოჩაღია“, მასწავლებლის არ ეში-

ნია. მაგრამ ხომ არის შესაძლებელი რაიმე გვეწყინოს კიდეც და ამის გამო გულის მოსვლა არ გამოვამჟღავნოთ, პირიქით, ხმას არ აუწიოთ, სახეზე ღიმილი გამოვხატოთ. ვითომ გაჯავრებული ადამიანი შექმნილ რთულ ვითარებაში უკეთ ერკვევა? ან გაჯავრებითა და დაყვირებით მოსწავლეს შევაშინებთ? ვერავითარ შემთხვევაში! ხომ არ აჯობებდა დროებით არ შეემჩნია აღნიშნული დარღვევა, თითქოს ვერას ხედავდა, განეგრძო საუბარი და შემდეგ სხვათა შორის, წყნარად მიემართა—ხელი ჯიბიდან ამოიღო. მოსწავლე ამ განკარგულებას შეასრულებდა, საერთოდ, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში იტყოდა ხელი მტკივაო და კონფლიქტიც ამით გადაწყდებოდა. ყოფილი მოსწავლე მასწავლებელს ქუჩაში არ მიესალმა. მასწავლებელმა ეს მას დიდ ცოდვად ჩაუთვალა. მან დაასკვნა, რომ მოსწავლემ ის კარგად დაინახა, მაგრამ განგებ არ მიესალმა. რომელიმე მოვლენას, მომხდარ ფაქტს რატომ აუცილებლად ცუდი ახსნა უნდა მოვუნახოთ, თუ მისი სხვადასხვაგვარად გაგებაც შეიძლება. ხომ ხდება ზოგჯერ უცქერით ადამიანს, საგანს და არ ვხედავთ მას — გონების თვალი სულ სხვაგან, სხვა მხარეს არის მიმართული. ვინ იცის იმ წუთში სტუდენტის თავში რა ჯოჯოხეთური აზრები ტრიალებდა, ან სად დაქროდა ის წუთიერი ბედნიერებით გატაცებული? განა ადამიანი თავისი გონებითა და გრძნობით ისეთი მარტივი მექანიზმია, რომ ერთის შეხედვით ყოველივეს დანახვა შეიძლება? არა! მოსწავლეთა პატივისცემით განებივრებულმა მასწავლებელმა თავმოყვარეობის შელახვა იგრძნო და გული მოუვიდა, მან „არ დათვალა ოცდახუთამდე", მასში პატივმოყვარეობამ გაიმარჯვა და ნაჩქარევი დასკვნები გააკეთა.

მასწავლებელმა რომ მოსწავლეს სიმწიფის ატესტატი მისცა და სკოლიდან გაისტუმრა, განა ამით ყოველგვარი ურთიერთობა დამთავრდა მათ შორის? ერთი პატარა გაკვეთილი რომ კიდევ მიეცა მისთვის მით უმეტეს, როცა ამის საჭიროებაც აშკარად დაინახა, ვითომ ცუდი იქნებოდა? თვითონ მისალმებოდა პირველად ყოფილ მოსწავლეს, შეეჩერებინა, მოეკითხა მისი წარმატებანი, ერთად მოეგონებინათ თანაკლასელები, აღენიშნა, რომ მისთვის მუდამ სასიამოვნოა მათი ამბის გაგება და სხვა. ამის შემდეგ ახალგაზრდა აუცილებლად იგრძნობდა დაშვებულ შეცდომას და თავის საქციელს დაგმობდა, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი. გაბუტვა და შეურაცხყოფილის პოზის მიღება, ამ შემთხვევაში მაინც, სრულიად არ არის მისაღები.

პირველკლასელ გოგონასთან მასწავლებელი იმავ წამს უნდა მისულიყო, როცა კი გამოჩნდა ის კარებში და ბავშვისთვის მიემართა: წადი, აქ დგომა არ შეიძლება, და ყოველივე ამით დამთავრდებოდა. არც დროს დავკარგავდით, ბავშვს შეურაცხყოფას არ მივაყენებდით და გულიც აღარ მოგვივიდოდა. ხშირად ჩვენ დროს ეუფრთხილდებით და სინამდვილეში

ზედმეტსაც ვხარჯავთ. მაგრამ ჩვენი შეცდომისთვის ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი; სხვა რა შუაშია. ხშირად უფრო მნიშვნელოვან შეცდომასაც ვუშვებთ. ბავშვმა არ იცოდა, რომ კარებთან მისელით ის მოსწავლეთა ყურადღებას მიიპყრობდა, რომ მოსწავლეები ახმაურდებოდნენ და ეს კი მასწავლებელს შეაწუხებდა.

მასწავლებელმა უარი უთხრა მოსწავლეს მის შუამდგომლობაზე, წაეკითხა რომელიმე სხვა არაკი და არა ის, რომელიც განზრახული ჰქონდა. შეიძლება მას არ მოაგონდა იმ წამს, რომ წრის წევრებს შორის ინვალიდი ბიჭი იყო, იქნებ მან არც კი იცოდა, რომ ამ ბიჭს გაუზიარებელი სიყვარულით უყვარდა ამავე წრის წევრი გოგონა, რომელიც იმ წუთში იქვე იმყოფებოდა. ისიც არის დასაშვები, რომ მასწავლებელს მოფიქრებული და დაგეგმილიც ჰქონდა გარკვეული სამუშაო და ერთბაშად მისი შეცვლა გაუძნელდა. ყველა ეს ანგარიშგასაწევი მოტივებია, მაგრამ წრის წევრის შუამდგომლობის მთლიანად უგულებელყოფაც არ ვარგა. მოსწავლემ ვერ დაასაბუთა თავისი წინადადება, ეს მართლაც ძნელი სათქმელი იყო იმ კონკრეტულ შემთხვევაში. მასწავლებელმა კი იფიქრა, ალბათ არავითარი სერიოზული მიზეზი არ არსებობს გეგმის შეცვლისათვის, მოსწავლის ეს გამოსვლა უბრალო ახირებაოო და შეცდომაც დაუშვა. აქაც მასწავლებლის ნაჩქარევ რეაგირებასთან გვაქვს საქმე. რამდენიმე წამი რომ დაყოვნებულიყო, მოსწავლეებისთვის გადაეხედა, ნამდვილად მათ თვალებში ამოიკითხავდა იმავე თხოვნას და ვედრებას, და ეს სამწუხარო შემთხვევა ასცდებოდა მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც.

ამრიგად, მოსალოდნელი შეცდომისაგან მასწავლებელი სავსებით დაზღვეული არასოდეს არის. რაგინდ დიდი ოსტატი იყოს, სადღაც მაინც შეიძლება უღალატოს სიფრთხილემ, წინდახედულობამ, ნერვებმა, წინასწარმა განწყობამ, მაგრამ უხეშ შეცდომას, უდანაშაულოს გამტყუნებას და დასჯას როგორმე თავი უნდა დააღწიოს. ეს აუცილებელი, საკალდებულო და სავსებით შესაძლო მოთხოვნაა — სჯობს დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე უდანაშაულო დაისჯოს.

მეორე მხრივ, შეცდომის დაშვება მასწავლებლისთვის არ არის ისეთი დიდი ცოდვა, რომ ამით მისი ავტორიტეტი დაეცეს, მან მოსწავლეთა პატივისცემა დაკარგოს, ჩრდილი მიაყენოს საკუთარ სახელს. ამისთვის საჭიროა მასწავლებელმა უკუაგდოს ჯიუტობა, ყალბი თავმოყვარეობა, ზედმეტი ქედმაღლობა. ნუ წარმოიდგენს თავს შეუცდომელ ბრძენად, ნუ გაუძნელდება სიმართლისათვის თვალის გასწორება, ნუ შეეცდება იქ თავის გამართლებას, სადაც შემცდარია, ნუ დაიწყებს ისეთი რამის მტკიცებას, რაშიც თვითონ არ არის დარწმუნებული; აღიაროს შეცდომა, თუ ასეთი მოუვიდა და მას სრული უფლება ექნება დაწყნარებული სინდისით დაიძინოს ღამით, თავაწეული შევიდეს კლასში მეორე დილით. მას იქ მოსწავლეების გაღიმებული სახეები და ფართოდ გაღებული, მოსიყვარულე თვალები შეეგებება.

მეტი ყურადღება ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს

იშვიათია სკოლა, რომელსაც რამდენიმე ძნელად მოსავლელი მოსწავლე მაინც არ ჰყავდეს. ისინი მთელ სკოლაში არიან ცნობილი მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივებისათვის. ასეთი ბავშვები სკოლას განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ჰყავს. მათთან ინდივიდუალურ საუბრებს ატარებენ კლასის ხელმძღვანელები, სკოლის ადმინისტრაცია, საგნის მასწავლებლები. მათი საკითხი ხშირად ისმება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, პიონერულსა და კომკავშირულ ორგანიზაციებში, იბარებენ და ესაუბრებიან მათ მშობლებს.

ასეთი მოსწავლე კლასში თუგინდ ერთიც იყოს, ის მაინც საკმაო დროს ართმევს მასწავლებელს გაკვეთილზე, ნერვებს უშლის და ხშირად წონასწორობასაც კი აკარგვინებს, რის გამოც ხარისხი აკლდება გაკვეთილზე დასამუშავებელ მასალას აღმზრდელის დრო და ენერგია უშედეგოდ იკარგება. გარდა ამისა, მოსწავლეთა უხეშობა და ზედმეტი სითამამე ცუდ გავლენას ახდენს თანაკლასელებზე და ზოგი მათგანის სიმპათიასაც კი იმსახურებს. მათ „ყოჩაღ" ბიჭს ან გოგოს ეძახიან და აქა-იქ კლასში მიმბაძველებიც უჩნდებათ. სკოლა ითმენს ასეთ მოსწავლეს, დაუმსახურებლად გადაჰყავს კლასიდან კლასში და სიხარულით აძლევს რვა კლასის ან საშუალო სკოლის დამთავრების საბუთებს—ოღონდ კი მოიშოროს თავიდან.

ეს ახალგაზრდები დაუმსახურებელი მოწმობებითა და ატესტატებით ხელში გამოდიან ცხოვრების სარბიელზე. მათ მეცნიერებათა საფუძვლების საკმაო ცოდნა არა აქვთ და, ამიტომაც, მათთვის გზა უმაღლესი სასწავლებლისკენ გადაკრილია, აკლიათ თავმდაბლობა და უფროსებისადმი პატივისცემის გრძნობა, მშობლებს მათზე კარგახანია დაკარგული აქვთ გავლენა. ამიტომ ისინი უკავშირდებიან ისეთსავე უსაქმურებს, როგორიც თვითონ არიან, მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან უმიზნოდ იკრიბებიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე და უწმაწური სიტყვების ლაპარაკით იქცევენ თავს. აწუხებენ გამვლელებს და მუდროლებას ურღვევენ შრომისაგან დაღლილ, დასასვენებლად და გასართობად მოსულ მშრომელებს. უსაქმო და უპერსპექტივო ცხოვრება მათ ძალაუნებურად უბიძგებს დანაშაულისაკენ. ყოველდღიური სახარჯო ფული სჭირდებათ და ამის გამო პირველად სისტემატურად აწუხებენ მშობლებს, შემდეგ კი იძულებული ხდებიან შემოსავლის სხვა, უკანონო წყაროზე იფიქრონ.

როცა ადამიანს და მითუმეტეს, მოზარდს ცხოვრებაში არავითარი კეთილშობილური მისწრაფება, იდეალი და მომავლის გეგმა არ გააჩნია, მისგან მეტად ცუდი მოქალაქე, გულცივი, ეგოისტი გაიზრდება, რომლისთვისაც უცხოა საზოგადოებრივი ინტერესები და პრინციპები.

ასეთები კი ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად სამარცხვინო და საშიშიც არიან.

უდავოა, რომ გაუსწორებელი ბავშვი არ არსებობს, რომ გარკვეული, თანამიმდევრულად გატარებული შესაფერისი ღონისძიებების შედეგად ყოველი „ძნელი" მოსწავლე შეიძლება გამოსწორდეს. მოზარდის აღზრდაში გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ვითარებაში ატარებს მოსწავლე იმ დროს, როცა სკოლაში არ არის. როგორი ამხანაგების წრეშია მოქცეული, ვისთან მეგობრობს და რა გავლენას ახდენენ მასზე. როგორი პირობები აქვს ოჯახში და რამდენად სცემენ პატივს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სკოლა ატარებს და სხვა. ზარმაცი და ძნელად მოსავლელი შეიძლება რამდენიმე გვყავდეს. მაგრამ მიზეზები, რომლებმაც ისინი აქამდე მიიყვანეს ყველა ერთიმეორისაგან განსხვავებულია, თავისებურია და, ამიტომ, თითოეული მათგანის გულს საკუთარი, ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის გამოსადეგი გასაღები გააჩნია. სწორედ ამ გასაღების პოვნა და ადგილზე მიყენება არის აუცილებელი, რომ მოსწავლე სწორ გზაზე დავაყენოთ. ამიტომაა გზასაცდენილი მოსწავლის გასწორება ძნელი, ამიტომ ვერ ხერხდება ყოველთვის და ამ მეტად საესურველს, მაგრამ მეტად რთული ამოცანის ამოხსნა.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ყველა აღმზრდელი მასწავლებელი არ არის თანაბარი ძალისა და უნარის, ყველა არ არის ერთნაირი ოსტატი თავისი საქმისა. ყველას სიტყვა და მაგალითი არ არის ერთნაირად დამაჯერებელი, ანგარიშგასაწევი, ყველას ერთნაირად არ შესწევს უნარი იმისა, რომ ადვილად მოაქციოს აღსაზრდელები თავისი გავლენის ქვეშ. დიახ, გვყავს სკოლაში ძლიერი, საშუალო და სუსტი მასწავლებლებიც.

სასკოლო მუშაობის თავისებური სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ იქ ყველა როლი რთულია და ძნელი, ყოველი მათგანის შესრულებისათვის მხოლოდ მაღალკვალიფიციური, საქმის ენთუზიასტი, ძლიერი მასწავლებელია საჭირო. ასეთი კადრებით დღეს ყველა სკოლის დაკომპლექტებაზე ფიქრიც არ შეიძლება. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ, ერთის მხივ, მასწავლებლების იდეურ-პოლიტიკური და მეთოდურ-მეცნიერული დონის ამაღლებაზე და, მეორეს მხრივ, შეექმნათ ისეთი პირობები, რომ საშუალოც და სუსტი მასწავლებელიც მეტი ნაყოფიერებით ასრულებდეს თავის მოვალეობას. ამიტომ საქმის ინტერესი მოითხოვს მასწავლებლებს მიეცეს რაღაც დამატებითი იარაღი, რომ მეტი ზემოქმედება მოახდინონ ზარმაცსა და წესრიგის დამრღვევ მოსწავლეებზე.

სკოლა ზოგჯერ მეტად რთული ვითარების წინაშე აღმოჩნდება ხოლმე: მოსწავლე შეეჩვია ზარმაცობას, „მოსწავლეთა ქცევის წესების" სისტემატურად დარღვევას, არად აგდებს აღმზრდელის კეთილ რჩევა-დარიგებას და მშობლებსაც აღარ ემორჩილება. ბევრჯერ ამხილეს დანაშაულში,

ყოფაქცევაში ნიშანი დააკლეს, მშობლებიც საქმის კურსში ჩააყენეს, მაგრამ მან არავითარი დასკვნა არ გააკეთა, პირიქით, უფრო აუტანელიც გახდა. საქმე ზოგჯერ გაკვეთილის ჩაშლამდეც მიჰყავს. ბუნებრივად ისმის კითხვა—რა ვუყოთ, როგორ მოვექცეთ ასეთ ბავშვებს? გავრიცხოთ სკოლიდან და ქუჩაში გავისტუმროთ, ხულიგნებს კადრი შევმატოთ? არა, როგორც ექიმს არა აქვს უფლება ხელი აიღოს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ცდაზე, ასევე სკოლასაც არა აქვს უფლება მოსწყვიტოს მოსწავლეთა კოლექტივს ბავშვი, რაგინდ ძნელად მოსავლელიც არ იყოს ის, სანამ გარკვეული არ იქნება კონკრეტულად, თუ ვის უგზავნის ამ ბავშვს, ვინ იქნება მისი პატრონი და მზრუნველი ამის შემდეგ. ეს ბავშვიც ხომ მეტად რთული და სახიფათო ავადმყოფია, მაგრამ არა უიმედო დაავადებით შეპყრობილი, ამიტომ ის აუცილებლად უნდა განკურნოთ.

აუცილებლად უნდა შევთანხმდეთ, რომ მცირეწლოვანის და მითუმეტეს გზასაცდენილი ბავშვის თავის სურვილზე მიშვება არ შეიძლება, — „ძნელი“ ბავშვების მოვლას უფრო კარგი ორგანიზაცია და გაორკეცებული ყურადღება სჭირდება. უდავო დებულებად მიმაჩნია ისიც, რომ, თუ სასკოლო ასაკის პერიოდში ბავშვებს სწავლაში ბეჯითობა და შრომის სიყვარული ვერ ვასწავლეთ, თუ ვერ შევაჩვიეთ შრომას და მიღებული დადებითი შედეგებით სიხარულის განცდას, ასეთი ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი საეჭვონი იქნებიან ცხოვრების სარბიელზე. მათი პერსპექტივები მეტად ღარიბი და უფერული იქნება. საჭიროა ასეთ ბავშვებზე მეტი ვიფიქროთ და კარგად ვიფიქროთ.

საშუალო სკოლის ასაკის ახალგაზრდა აუცილებლად უნდა სწავლობდეს და მუშაობდეს — ამას უნდა მივაღწიოთ. მაგრამ თუ არცერთს არ აკეთებს, ეს უკვე საგანგაშო მდგომარეობაა, რომლის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ასეთ ბავშვში მომავალი უქნარა, დებოშიორი, ხულიგანი იმალება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი სინამდვილის ყველაზე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანაა. რეპრესიები კარგია, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა პროფილაქტიკას. ხულიგანი უნდა დავსაჯოთ, მაგრამ უმჯობესია ასეთები არ გამოვზარდოთ, რომ შემდეგ დასასჯელი არ გაგვიხდეს.

ამიტომ დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებანი ძირითადად მიმართულ უნდა იქნას არა მარტო იმათ წინააღმდეგ, ვინც სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლს არღვევს, არამედ სასკოლო ასაკის ბავშვებისაკენაც. წარმოვიდგინოთ 17—20 წლის ახალგაზრდა, რომელსაც საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ატესტატი აქვს, მაგრამ საფუძვლიანად და მტკიცედ არაფერი იცის. სკოლა ისე დაამთავრა, წესიერად არაფერი უსწავლია, მაშასადამე სრულიად გონებაგაუხსნელი და განუვითარებელია. არც ფიზიკური შრომის ჩვევები აქვს გამომუშავებული და არც რაიმე პროფესია გააჩნია. არ იცის შრომაში დაღვრილი ოფ-

ლის ფასი და მიღებული დადებითი შედეგით განცდილი სიხარულიც უცხოა მისთვის. ცხოვრების სარბიელზე გამოსული ასეთი ახალგაზრდა შეიძლება იმ ორგანიზმს შეეადაროთ, რომელსაც არცერთი ავადმყოფობის საწინააღმდეგო იმუნიტეტი არ გააჩნია. ამიტომ ისინი ადვილად ექცევიან უსაქმურების გავლენის ქვეშ და ჩქარა თვითონაც ისეთები ხდებიან. ერთხელ ნასამართლევნი ცხოვრებაში ასპარეზს ვერ პოულობენ და ისევ პასუხისგებაში ვარდებიან. ამიტომ ამ სტადიაში მათი გამოსწორება მეტად ძნელია და მთელი საზოგადოებრიობის უდიდეს ყურადღებასა და ენერგიას მოითხოვს.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ძნელად მოსავლელი ბავშვები უმეტეს შემთხვევაში ნიჭიერები და გაბედულები არიან. ამიტომ მათი აღზრდა მეტ ენერგიას, სიფრთხილეს და გამოცდილებას მოითხოვს. ისეთ კლასებში, რომლებშიც 35—40 მოსწავლე ირიცხება, მათთვის საჭირო პირობების შექმნა ძნელი ხდება. ეს მოსწავლეები დაბალ კლასებში მაიხც მასალას ადვილად ითვისებენ, ახსნილის ერთხელ მოსმენაც კი საკმარისია რომ ყოველივე გაიგონ და დაიმახსოვრონ ხოლო, როცა მასწავლებელი ერთდაიმავეს რამდენიმეჯერ იმეორებს, მათ მოსმენა ბეზრდებათ, ყურს აღარ უგდებენ და სხვა რაიმეთი ერთობიან. ეს კი უყურადღებობის დასაწყისია, რომელიც უდისციპლინობაშიც ადვილად გადავა. საშინაო დავალების შესრულებაზეც თანაკლასელებთან შედარებით ნაკლები დრო ჰყოფნით, დავალების საგრძნობ ნაწილს ზეპირად, სახელმძღვანელოს გამოუყენებლად იხსომებენ და ამიტომ თავისუფალი დრო გაკვეთილზე თუ სახლში ბევრი რჩებათ. რომ ეს დრო ცუდად არ იქნას გამოყენებული, საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა, საწრეო და ფიზკულტურულ საქმიანობაში მათი ჩაბმა, მეტი დავალების მიცემა და სხვა. სამწუხაროდ ასეთი მუშაობა მასიურ სკოლებში ხშირად არ ხერხდება და ბავშვებიც ეჩვევიან დროის ცუდად გამოყენებას, ტყუილად ფლანგვას,—თავიდან წიგნზე მუშაობას ვერ შეეჩვივნენ, ხოლო უფროს კლასებში, როცა მასალა გადიდდა და გართულდა, მისი შეთვისებისათვის, დამახსოვრებისათვის მარტო მეხსიერება საკმარისი აღარ აღმოჩნდა. ისინი თანდათანობით ჩამორჩებიან აკადემიურად.

„უჩიტელსკაია გაზეტას“ ფურცლებზე გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ „ძნელი“ ბავშვებისათვის ზოგიერთ სკოლაში ცალკე ჯგუფები გამოიყოს. ჩვენის აზრით, ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს. ამ შემთხვევაში არ იცვლება მოსწავლის გარემო, არც რეჟიმი. უცვლელი რჩება ამხანაგების წრე, პედკოლექტივი და ოჯახი რომლებსაც ის კარგად იცნობს. მოსინჯული აქვს მათი ძალა და დიდად აღარც ეშინია. ისინი იმდენად გათავხედებულნი არიან, რომ ბედავენ არ შეასრულონ უფროსების განკარგულება და ხშირად ახერხებენ თავისი ნება ძალად მოახვიონ თავს ამხანაგებს. დირექტორის მოადგილე ვარო,

სიცილით განაცხადა IX კლასელმა მოსწავლემ: სულ მის კაბინეტში ვზივარო. შემოდიან და ჩივიან მასწავლებლები: რა მოვუხერხოთ ამ მოსწავლეს! ის მოსწავლეები, რომლებზეც არ გაჰრა მოფერებამ, წახალისებამ, დათმობამ, მორალზე საუბარმა და სხვა ღონისძიებებმა—ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ უხეში ქცევის ხალისი დაეკარგოთ. უნდა მტკიცედ, გარკვეულად ვაგრძნობინოთ, რომ ბოლო მოეღო მათ უგნურ საქმიანობას და სკოლას ძალა შესწევს ზღვარი დაუდვას მათ თავხედობას. ამის მიღწევა აუცილებელია, მაგრამ მთავარია როგორ მოვახერხოთ ეს.

ამიტომ, ძნელად მოსავლელი ბავშვების ერთ სკოლაში თავმოყრა შეიძლება უფრო სასარგებლოც აღმოჩნდეს, ეს ჩვეულებრივი სკოლა-ინტერნატი იქნება, ჩვეულებრივი პროგრამებითა და სასწავლო გეგმებით. ამ სკოლაში ცოტათი განსხვავებული პირობები და რეჟიმიც უნდა შემოვიღოთ. აღსაზრდელები ჩამოვაშოროთ მშობლების გავლენას, ქუჩის, ცუდი ამხანაგების ზემოქმედებას და მთლიანად დავუქვემდებაროთ აღმზრდელებსა და მასწავლებლებს. ამგვარ სკოლაში უნდა ჩავრიცხოთ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომლებზეც თავისმა სკოლამ ვერაფითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა და არსებული დებულების თანახმად გარიცხვის კანდიდატები არიან. აღნიშნულ სკოლაში ბავშვი საშუალო სკოლის კურსის დამთავრებამდე უნდა დარჩეს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წელი მოუნდება მას.

თითოეულ კლასში ოც-ოცდახუთ მოსწავლეზე მეტი არ უნდა ჩაირიცხოს. არ უნდა დავუწყოთ მოსწავლეებს ხვეწნა, როგორმე კარგად ისწავლონ, მაგრამ შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მათ სხვა გზა არ ჰქონდეთ. სამაგიეროდ, საჭიროების შემთხვევაში, მუდამ გვერდით ჰყავდეთ კეთილი მრჩეველი, დამრიგებელი და კონსულტანტი აღმზრდელის, მთელი პედკოლექტივის სახით, რომელიც დაეხმარება დავალების შესრულებაში და ყველა იმ სიძნელეთა დაძლევაში, რომელიც აღსაზრდელის წინაშე წარმოიშობა. აქ თავი დავანებოთ აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი პროცენტების თვლას და ნიშნები: „5“, „4“, „3“ და „2“ ეწეროთ ზუსტად, სათანადო დებულების მიხედვით, ყოველგვარი დათმობის, „შებრალების“ გარეშე და კლასიდან კლასში იმდენი მოსწავლე გადავიყვანოთ, რამდენიც ამას ნამდვილად დაიმსახურებს.

საჭიროების შემთხვევაში დასჯის ღონისძიებანიც უნდა გავატაროთ, მაგრამ დიდის სიფრთხილით. დავსაჯოთ, მაგრამ შეურაცხყოფა არ მივაყენოთ, თავმოყვარეობა არ შევულახოთ. რაიმე დარღვევისათვის მოსწავლე შეიძლება მოვხსნათ იმ წრის მეცადინეობიდან, რომელიც მას უფრო იტაცებს ან არ მივაღებინოთ მონაწილეობა სპორტულ თამაშში, შეჯიბრებაში, გავუეუქმოთ მშობლის ნახვის ჯერი, არ დავუშვათ კინოსეანსზე, ტელევიზორთან და სხვა. საერთოდ კი, დასჯა არ შეიძლება მივიჩნიოთ აღზრდის მთავარ, თუ გნებავთ, მნიშვნელოვან მეთოდად. უნდა

ვერიდოთ ამ ღონისძიებებს და მოსწავლეთა სულიერი და ასაკობრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით მუშაობის ისეთი საქმიანი, მკვრივი გეგმა შევადგინოთ, რომ შიგ ცარიელი და ყალბი ადგილები არ აღმოჩნდეს. ეს კი სავსებით შესაძლებელია.

სპეციალური სკოლები, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა ბავშვთა კოლონიების საფუძველზე, სულ სხვა შინაარსსა და სხვა მიზანს ემსახურება. მისი კონტინგენტი სამართლის დამრღვევი მცირეწლოვანები არიან. ჩვენი მიზანი უნდა იყოს მანამ მიეეშველოთ ბავშვებს, სანამ ისინი დანაშაულს ჩაიდენდნენ. ცნობილია, რომ უმეტესად ასეთ დანაშაულს ბავშვები სკოლიდან ჩამოშორებისა და უზედამხედველოდ დარჩენის შემდეგ სჩადიან. სწორედ ამას უნდა შეეებრძოლოთ, არ დავუშვათ მათი სკოლიდან განთესვა და ისინი, რომლებიც გაჯიუტდებიან, სკოლაში სიარულსა და მეცადინეობას არ მოინდომებენ, გავგზავნოთ განსაკუთრებულ რეჟიმიან სკოლა-ინტერნატში.

ეს სკოლა სხვა საშუალო სკოლებისგან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სწორედ იმითი უნდა განსხვავდებოდეს, რომ აქ აღმზრდელებსა და მასწავლებლებს მეტი საშუალება ჰქონდეთ აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მუშაობის, გათვალისწინებულ უნდა იქნას თითოეული აღსაზრდელის თავისებურება, ნიჭი და მათთან მუშაობა ამ მიმართულებით წარიმართოს.

სწავლა-აღზრდის საკითხში მეტად მართებულია შემდეგი პრინციპი: მივცეთ აღსაზრდელებს ყოველივე უკლებლად, რაც ჩვენგან ეკუთვნით და მათგანაც მტკიცედ მოვითხოვოთ ყოველივე, რაც ევალებათ ყოველგვარი დათმობისა და შეღავათის გარეშე.

ამ სკოლაში გარკვეული ცდებისა და დაკვირვების წარმოებას, გამოცდილების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ზოგად საგანმანათლებლო სკოლისათვის. მას შეუძლია პასუხი გასცეს ბევრ პრობლემას, რომლებიც დიდი ხანია გადასაჭრელად დგას საშუალო სკოლის წინაშე. ამიტომ ამ სკოლის პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს.

აღვზარდოთ სიმართლით

შეხვალთ კლასში და ხედავთ სასიამოვნო სურათს. მასწავლებელი მასალას ხსნის, მოსწავლეები მთელი გატაცებით უსმენენ, ან მოსწავლე ყვება გაკვეთილს და კლასში სრული წესრიგია, არავინ ხელს არ უშლის, მოსწავლეს საშუალება აქვს დინჯად და მოფიქრებულად ჩამოაყალიბოს მასალა. მასწავლებელი შენიშვნას აძლევს მოსწავლეს, ისიც დგება, ბოდიშს იხდის და სხვა. ერთი სიტყვით, აქ უფროს-უმცროსობა, ურთიერთ-

პატივისცემა სრულ ძალაშია. უცქერი ამ სურათს და ნასიამოვნები რჩები. გიხარია და გულში იმეორებ: რა შეგნებული მოსწავლეები არიან, ბეჯითები, ყურადღებიანები, შრომის მოყვარენი, თავაზიანები და სხვა. მაგრამ, შესაძლოა იმავე კლასს მეორე გაკვეთილზეც დაუგდოთ ყური, ან გარედან მოუსმინოთ, რომ სულ სხვა მდგომარეობის მოწამე აღმოჩნდეთ. ვინ ლაპარაკობს, ვინ უგდებს ყურს, ვერ გაარჩევთ. გესმით მასწავლებლის აწეული ხმა, შეურაცხმყოფელი სიტყვები, მოსწავლეთა ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი. მასწავლებელი მოსწავლეს შენიშვნას აძლევს, ის კი არ ღებულობს, სიტყვას უბრუნებს და ასე დაუსრულებლივ, მთელი გაკვეთილი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კინკლაობაში გადის.

ისმენთ ყოველივეს, ადარებთ ამ ორ გაკვეთილს ერთიმეორეს და გიკვირთ — რა მოხდა, რამ შეცვალა მოსწავლეები? როგორ გარდაიქმნენ ასე მოკლე დროში! სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. ასეთ სურათს სინამდვილეში აქვს ადგილი.

ვიტყვით, პირველი მასწავლებელი ძლიერია, კარგია, მეორე კი სუსტია. მაგრამ მოსწავლეები? ერთ გაკვეთილზე ზრდილობიანები, თავმდაბლები, დისციპლინიანები არიან და ერთი საათის შემდეგ იქცევიან თავხედებად და გაუზრდელებად. არა! ასეთი მეტამორფოზები სინამდვილეში არ ხდება. ჩანს, მათში დადებითი ქცევის წესები ჯერ კიდევ არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული და ისინი მასწავლებლის ძალას, ცოდნას, მიხვედრილობასა და სიფრთხილის უნარს სცემენ პატივს, მოსწონთ მასწავლებლის სამართლიანი სიმკაცრე, მომთხოვნელობა და ემორჩილებიან მას.

წათქვამის საილუსტრაციოდ მოვიტან რამდენიმე მაგალითს: გეოგრაფიის მასწავლებლის ნაცვლად გაკვეთილზე მათემატიკის მასწავლებელი შევიდა და საპასუხოდ გამოძახებულ მოსწავლეს თეორემის დამტკიცება დაავალა. იმ დღის ცხრილით მათემატიკის გაკვეთილიც იყო გათვალისწინებული. მოსწავლემ „ყოჩაღობის“ გამოჩენა მოინდომა, ვითომ ვერ გაიგო, რა დაავალა მასწავლებელმა და დაიწყო გეოგრაფიაში გაკვეთილის თხრობა. მას გამბედაობით ამხანაგებში თავის მოწონება სურდა და თითქოს კანონიერადაც იქცეოდა — ცხრილით მაშინ სწორედ გეოგრაფიის გაკვეთილი უნდა ყოფილიყო. ის ამ მხრიდან მოელოდა მასწავლებლის შემოტევას. დანარჩენი მოსწავლეებიც სულგანაბული ელოდნენ, რა მოხდებოდა. მოსწავლემ დაიწყო: აღმოსავლეთ ევროპის ვაკის უდიდესი მდინარე არის ვოლგა. ვოლგაზე მდებარეობს ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც არის სარატოვი, გორკი, ივანოვო. მასწავლებელი დინჯად, აუღელვებლად უგდებდა ყურს. შემდეგ შეაჩერა მოსწავლე და ეუბნება: გეოგრაფიაში გაკვეთილი ცუდად იცი. ივანოვო არის არა ვოლგაზე, არამედ ტალკაზე. ეხლა ვნახოთ იქნებ გემოეტრია იცი უკეთესად,

მასწავლებლის ასეთ რეაგირებას კლასში არავინ მოელოდა. ცხადია, იმ მოსწავლესაც, რომელიც საპასუხოდ იყო გამოძახებული სათქმელი აღარაფერი დარჩა, გარდა იმისა, რომ უნდა დაეწყო თეორემის მტკიცება. სინამდვილეში ეს მისი სრული მარცხი იყო. მან თავისი აზრით, მასწავლებელს რაღაც სიურპრიზი მოუმზადა, გონებამახვილობა გამოიჩინა, რითაც თავის მოწონებასაც აპირებდა ამხანაგებში. სინამდვილეში კი თვითონ აღმოჩნდა სასაცილო მდგომარეობაში. სხვა მასწავლებელი ასეთ შემთხვევაში თავს შეურაცხყოფილად იგრძნობდა, იფიქრებდა ჩემი გამასხარავება უნდა მოსწავლესო და დაუწყებდა დავას, რაც მის განერვიულებას და უბრალო დროის დაკარგვას გამოიწვევდა.

პედაგოგიკის ერთი ცნობილი კლასიკოსი წერს: როცა 10—15 წლის ბავშვი თავისი ცუდი გამოსვლით მასწავლებელს გაკვეთილზე წონასწორობას აკარგვინებს, იძულებულს ხდის ხმას აუწიოს, — უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ამ პატარა ბავშვმა აჯობა მასწავლებელს, მოერია მას. მცირეწლოვანი, გონებითა და მომზადებით უსუსური ბავშვი მასზე ძლიერი აღმოჩნდა. მასწავლებელს გული იმიტომ მოუვიდა, რომ მან ვერ მონახა ჯეროვანი საშუალება მოსწავლის ცუდი გამოსვლის წინააღმდეგ. ვერ მოახერხა ბავშვის ცუდი საქციელი ისეთ ფერებში დაეხატა, რომ მას სირცხვილი ეგრძნო ასეთი ქცევისათვის. ან, შესაძლოა, მოსწავლე არ იყო დამნაშავე, შეცდა მასწავლებელი და უკან დახევის ნაცვლად მოსწავლის ქედისმოხრა უფლების ძალით მოინდომა. ასეთ-შემთხვევაში ბავშვი არას დასთმობს და გაკვეთილი კინკლაობასა და შეხლა-შემოხლაში ჩაივლის. აქედან კი მასწავლებლის ავტორიტეტის დაცემის მეტი არა გამოვა რა.

შეიძლება გაკვეთილზე მოსწავლემ რაიმე დააშაოს: ამხანაგს დაელაპარაკოს, ან უკარნახოს, გვერდით მჯდომი შეაწუხოს და სხვა. არასასურველი ფაქტებია, მაგრამ დიდი უბედურების მომასწავებელი არა. მოსწავლე ბავშვია და მას არ შეუძლია ყოველთვის ერთ განწყობაზე იყოს: მთავარი ის არის, როგორ რეაგირებას ახდენს ამ დარღვევებზე მასწავლებელი. აქ უკვე მასწავლებლის ავტორიტეტის საკითხი დგას და ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ასეთ შემთხვევებში ჩემი სამოქმედო დევიზი ყოველთვის ასეთი იყო: განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, აჩქარება საჭირო არ არის. თუ ჩემს დასკვნაში ნამდვილად არა ვარ დარწმუნებული, გარკვეულად ხელს არავის დავადებ. ყოველი შემთხვევისთვის უკან დასახევ გზას ყოველთვის ვიტოვებ, სანამ არ დავარწმუნებ, არ დავუმტკიცებ მოსწავლეს თავის დანაშაულს.

კლასში ახალი მასალის ახსნის დროს ნელი ტკაცუნის ხმა გაისმა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამეორდა. წინასწარ შემჩნეული მქონდა, რომ ასეთ სატკაცუნოებს მოსწავლეები კინოფირისაგან აკეთებდნენ. ოდნავ დააწვებით და მაშინვე ხმას გაიღებს, ვითომ არაფერი გამიგონია, ისე

ვაკვირდები, საიდან მოდის ხმა. ეკვიც მივიტანე ერთ მოსწავლეზე; მაგრამ ის ხელსაც არ ანძრევს, ისე ზის. ეგრძნობ უძნელდება თვალის გასწორება. ბრალი რომ დავდო ამ მოქმედებაში ამისთვის საკმაო საბუთი არა მაქვს. უარს იტყვის. ჯიბეშიც რომ აღმოაჩნდეს ასეთი საჭრაქუნო, ესეც არ კმარა. — მაქვს, მაგრამ არ ვახმაურებდიო, იტყვის. თანაც, გასინჯვაც უხერხულია. იქნებ ვერაფერი ვუპოვნო და ეს უკვე მარცხია, მოსწავლეს ვანიშნე ხელით სხვაგან გადამჯდარიყო და გაკვეთილი განვაგრძე. საუბრის დროს, მერხებს შორის გავისეირნე და სწორედ იმ ადგილზე, სადაც აღნიშნული მოსწავლე იჯდა, იატაკზე შევნიშნე ის, რასაც ვეძებდი. ეს არ შევიმჩნიე, თითქოს არაფერი გამიგია, ისე დავამთავრე მასალის ახსნა. ვითომ ახლა მოვიცალე იმ ხმაურის შესახებ — მოვიხმე მოსწავლე ჩემთან და ნელი, მაგრამ მკაცრი ხმით მივმართე; ფეხით აჭრაქუნებდი არა? და სანამ საპასუხოს მოიფიქრებდა, დავსძინე: ალბათ იქ ეგდება იატაკზე, წადი მომიტანე! ხმის ამოუღებლად შეასრულა ეს დავალება. მეც მეტი არა მითქვამს რა.

— მასწავლებელო! მიშა ხელს მიშლის, — მომმართავს მოსწავლე და ამხანაგზე მითითებს. ჩემი საუბარი არც კი გამიწყვეტია, ისე შევხედე მიშას თვალებში საკმაოდ მკაცრად. ამით მას ვაგრძნობინე, რომ თამაშის დრო და ადგილი აქ არ არის და შენი უწესო საქციელით დროს გვაკარგვინებ მეთქი. სწორედ ასე გაიგო მან ჩემი უსიტყვო მიმართვა. ფეხზე ადგა, თავის მართლება არ დაუწყია.

გერმანული ენის მასწავლებელმა, როგორც კლასის ხელმძღვანელს მომმართა: დღეს VII² კლასში გოგიმ მთელი გაკვეთილი არ მოისვენა, ხან სად გადაჯდებოდა და ხან სად, აცდენდა ამხანაგებს და თვითონაც არა გაუკეთებია რა. გოგის საქციელი რომ დაწვრილებით გამერჩია, მისი ყოველი მოქმედება ჩამომეთვალა და პასუხის მოთხოვნა მეცადა, ეს შორს წამიყვანდა, გარდა ამისა არ ვიყავი კარგად ინფორმირებული, შესაძლო იყო აღელვებულ მასწავლებელს ზუსტად ყოველივე ვერ გადმოეცა ჩემთვის. მოსწავლე ჩემს სისუსტეს გამოიყენებდა და თავის გამართლებას დაიწყებდა. მე უფრო საიმედო გზა ავირჩიე: გოგი, რატომ შეაწუხე დღეს გაკვეთილზე გერმანული ენის მასწავლებელი? — მივმართე მას. არ შეეძლო შენიშვნა არ მიეღო, შემდეგ დანარჩენიც გაადვილდა. მას რომ უარის თქმა გაებედა, მაშინ ასე მივმართავდი: გამოდის, რომ შენ მთელი გაკვეთილი წესიერად იჯექი, ყურადღებით ისმენდი ყოველივეს და, მიუხედავად ამისა, მასწავლებელი მაინც შენიშვნებს გაძლევდა! ასე იყო? ცხადია, არაო, — მიპასუხებდა და ამით თავის დანაშაულსაც აღიარებდა.

ამხანაგისადმი კარნახი მოსწავლეებს დანაშაულად არ მიაჩნიათ, ამას ამხანაგურ დახმარებად თვლიან. რამდენიც არ უნდა ვუმტკიცოთ რომ ეს დათვური სამსახურია, ამხანაგის დამღუპველია, მათ ცნობიერე-

ბამდე ამას ვერ მივიყვანთ იმიტომ, რომ ეს მათ არ აწყობთ. მერე რა, ერთი სიტყვა მოვაგონეო, — გვეტყვიან. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ მაინც ვესაუბრები, რა უარყოფითი შედეგი მოაქვს ამას იმ მოსწავლისათვის, და მთელი კლასისთვისაც, რომ მოსწავლეები ასეთი „დახმარების“ იმედით დავალებას სახლში წესიერად აღარ ამზადებენ, ეჩვევიან თვალის ახვევით დაუმსახურებელი ნიშნების მიღებას და მოუმზადებლები რჩებიან.

უფრო ხშირად კი სულ სხვა მიდგომას ვირჩევ. მაგალითად, ვანოს გაკვეთილის თხრობა დავავალე. გამოირკვა, რომ დავალება წესიერად არ მოუმზადებია, ხშირად ეშლება. თამაზმა „დახმარება“ სცადა — კარნახობს ჩუმად. ცოტა ვადროვე, ვუგდებ ყურს. სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა მისთვის ჩამეხედა თვალებში ან რაიმე ჟესტით გამეფრთხილებია და ეს საკმარისი იქნებოდა. შემდეგ, მისი დანაშაული უდაო რომ გამეხადა, მივმართე: რატომ მატყუებ! მოსწავლე პირველად დაიბნა, რა შუაშია აქ მასწავლებლის მოტყუება. მას ეს არც უფიქრია. ამიტომ ვუხსნი: — მე მინდა გამოვარკვიო, თუ როგორ აქვს დღეს ვანოს გაკვეთილი მომზადებული და ამის მიხედვით სათანადო ნიშანიც დავუწერო. შენ კი ცდილობ მის ნაცვლად მიპასუხო და შენი ცოდნის შესაბამისი ნიშანი მისთვის დამაწერინო. ეს მოტყუება არ არის? — მასწავლებელო, ერთი სიტყვა ვუთხარი, ბოდიშს ვიხდი. — არა! შენ უთხარი ეს, ეს და ეს. გაიუმეორე მისივე სიტყვები, რაც უკარნახა. ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა, თავი დამნაშავედ არ ეცნო. მაგრამ ერთი და იგივე შაბლონით შორს ვერ წავალთ. მასწავლებელი გამომგონებელი უნდა იყოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წამოჭრილი სიძნელის დასაძლევად შესაბამისი გამოსავალი უნდა ეძიოს. ცხადია, ეს აწვილი არ არის, მაგრამ თავისი მუშაობის ხშირი ანალიზით, თვითკრიტიკით, წარუმატებლობის მიზეზების თავისთავში და არა სხვაგან ძებნით, ამხანაგების მუშაობის გამოცდილებაზე დაკვირვებით, ყველა სიძნელის დაძლევა შეიძლება, თუ მასწავლებელს სათანადო სურვილი და პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს.

ვაცალოთ მოსწავლეს მოფიქრება

საშუალო სკოლის პროგრამები თითოეულ სასწავლო დისციპლინაში მოსწავლისაგან გარკვეული რაოდენობის ცოდნის დაგროვებას, შეთვისებას მოითხოვს და ვინც ამ საკითხს გულმოდგინედ ეკიდება, მას ატესტატიც ეძლევა. მაგრამ, რა მეთოდით არის ცოდნა მასწავლებლის მიერ მიწოდებული და რამდენად არის შეთვისებული მოსწავლის მიერ, ამას

გარკვეული და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა მოთხოვნა იყო წაყენებული მოსწავლისადმი და რა შრომით აღწევდა ეს უკანასკნელი საჭირო ცოდნის მიღებას. ამაზეა დამოკიდებული, როგორი ნაყოფიერებით შეძლებს ახალგაზრდა სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში და, რაც მთავარია, რამდენად გამოიყენებს ამ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობაში, ცხოვრებაში.

არის შემთხვევები, როცა საშუალო სკოლის წარჩინებული მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებელში ჩამორჩება თავის თანაკურსელებს არა მარტო ცოდნის, მეცნიერების დაუფლების საქმეში, არამედ უმაღლესის დამთავრების შემდეგაც პრაქტიკულ საქმიანობაში.

აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ცხოვრება მეტად რთულია. ამოცანები, რომლებიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ხვდება ახალგაზრდა სპეციალისტებს, იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველა მათგანის წინასწარ გათვალისწინება და თითოეულისათვის სათანადო რეცეპტის მიცემა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა მოსწავლეს სათანადო განვითარება მივცეთ, შევაჩვიოთ აზროვნებას, მოფიქრებას, ვასწავლოთ ჭეშმარიტების ძიება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველი გამოსავლის პოვნა.

სრულიად არ არის საკმარისი, რომ მოსწავლემ, გაკვეთილის თხრობის დროს დაასახელოს ყველა ფაქტი. საჭიროა ისინი ურთიერთთან მიზეზობრივ კავშირში განიხილოს და სათანადო დასკვნები გააკეთოს. გარდა ამისა მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორი მომზადებული აქვს მოსწავლეს მასალა. თუთიყუშივით იმეორებს საკითხებს, თუ საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს იმას, რაც მან სახელმძღვანელოში ამოიკითხა.

თუ მოსწავლემ საკითხი შეისწავლა და აღნიშნული მასალა შეგნებულად გაიაზრა, ეს ნამდვილი ცოდნაა. ასეთი მოსწავლე ყოველთვის ნელა მოგვითხრობს. ზოგჯერ ჩერდება კიდეც, მაგრამ ეს სისუსტის ნიშანი არ არის, ის ფიქრობს იმის შესახებ, რომ შესაფერისი სიტყვები შეურჩიოს გადმოსაცემ მასალას, რომ საუბარი თანმიმდევრული იყოს, არაფერი გამორჩეს, დასკვნები სწორად გააკეთოს და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალებას ხშირად თავისივე ამხანაგები არ აძლევენ, კარნახობენ. მასწავლებლებსაც არ ყოფნის მოთმინება, ეჩქარება და „შველის“ მოსწავლეს, აწვდის სათანადო სიტყვებს, თვითონვე აგრძელებს თხრობას, ან მეორე მოსწავლეს ავალებს განაგრძოს. პირველ მოსწავლეს კი შემჩნევას აძლევს, რომ მან გაკვეთილი კარგად არ იცოდა. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე დაუმსახურებლად იჩაგრება და გამოსავალს იმაში პოულობს, მასალა მექანიკურად დაიზეპიროს, ან სრულიად აიცრუოს გული აღნიშნულ საგანზე.

მხედველობაში ისიც მისაღებია, რომ მოსწავლეები თავისი გონებრივი შესაძლებლობით ყველანი ერთნაირი არ არიან. ზოგნი სწრაფად აზროვნებენ, მეხსიერებაც მეტად კარგი აქვთ, ადვილად ერკვევიან შექმნილ ვითარებაში და სწორ ორიენტაციას სწრაფად იღებენ. მეორენი უფრო ნელა აზროვნებენ, სწრაფად სწორ გეზს ვერ იღებენ, მაგრამ ნელა, მტკიცე ნაბიჯით, მაინც მიდიან საჭირო მიმართულებით და სასურველ შედეგსაც აღწევენ. სამაგიეროდ ისინი მეტ გამოცდილებას იღებენ ამ მუშაობაში და სიძნელეთა დაძლევის მეტი უნარი უმუშავდებათ.

ამიტომ საჭიროა მასწავლებელი თვითონ იყოს მაგალითის მიმცემი, ახალი მასალის ახსნის დროს გამოიჩინოს სიდინჯე, უნდა უჩვენებდეს მოსწავლეებს, რომ ის რაღაც წინასწარ გაზეპირებულს კი არ უყვება მათ, არამედ თვითონაც ფიქრობს ამ დროს, ანგარიშობს, ყოველივეს სწონის და ისე წარმოთქვამს თითოეულ წინადადებას. ასწავლოს მოსწავლეებს როგორ უსმინონ სხვის თხრობას და ურჩევს, ნიმუშიც მისგან აიღონ. მცდარია ის აზრი, თუ ვინმე მასწავლებლის აჩქარებას დროის ეკონომიით ხსნის. პირიქით, თუ გვინდა დრო დავზოგოთ, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ ნელა და ვწონოთ თითოეული წინადადება, რომელსაც წარმოეთქვამთ, რომ ზედმეტი არაფერი ვთქვათ და არც რა გამოვტოვოთ, რადგანაც გამოტოვება ან აჩქარება გაუგებრობას გამოიწვევს მოსწავლეებში და მისი ხელმეორედ განმარტება ზედმეტ დროს დაგვახარჯვინებს.

ასევე არ უნდა ავაჩქაროთ მოსწავლეები, ვაცალოთ მოფიქრება, დაე იაზროვნონ — ეს ჩვენი გაკვეთილის ყველაზე ძვირფასი მომენტი იქნება, დახარჯული დროის კარგი ანაზღაურება. მაგრამ ამისათვის საჭიროა კლასში კარგი დისციპლინაც გვქონდეს, ამხანაგები ხელს არ უშლიდნენ კარნახით. კლასს უნდა განვუმარტოთ, რომ ასეთი უხეში ჩარევით ამხანაგს ცუდ სამსახურს უწევენ, რომ ამით დაზარალებული მათივე ამხანაგი გამოდის.

თუ ამას მივაღწევთ, მაშინ დახარჯული დრო ორმაგად იქნება ანაზღაურებული, რადგანაც მოსწავლის მომზადებასაც კარგად გამოვარკვევთ და მისი თხრობიდან ამხანაგებიც რაღაც დადებითს მიიღებენ.

ის გარემოება, რომ V კლასიდან მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები საგრძნობლად კლებულობს წინა კლასებთან შედარებით, ნაწილობრივ მაინც, იმით უნდა აიხსნას, რომ წინა კლასებში მუშაობა ხშირად მექანიკურ ხასიათს ატარებდა, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მოფიქრებასა და მიხვედრილობის უნარის გამომუშავებას. იმ მცირე მასალას, რომელსაც მათ აწვდიდნენ მასწავლებლები, ისინი ადვილად იმახსოვრებდნენ ზეპირად.

ჩანს, მოსწავლე ისე გადადიოდა კლასიდან კლასში, რომ მისი გონება ვერ ღებულობდა სათანადო საზრდოს, მას დააკლდა შემდეგი კლასისა-

თვის საჭირო განვითარება და V კლასის შედარებით რთული მასალა, ძნელად დასაძლევი გახდა. აქ მარტო დამახსოვრება-დაზეპირება აღარ აღმოჩნდა საკმარისი.

ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ პირველ ოთხ კლასში მშობლებიც უშლიან ხელს მასწავლებლებს. რატომღაც გავრცელებულია მეტად მავნე და ყალბი შეხედულება, რომ ოთხწლედში სწავლება ყველას შეუძლია, რადგანაც ეს მასალა ყველამ იცის და ამიტომ თითოეული ბავშვის მშობელი, განსაკუთრებით დედა მონაწილეობს შვილის მიერ გაკვეთილის მომზადებაში, ისე, რომ მასწავლებლისაგან არავითარ კონსულტაციას არ ღებულობს (მე უკეთ ვიცი, ფიქრობს. ზოგი ბავშვსაც ეუბნება ამას).

დედა ჩქარობს, უნდა ბავშვმა დავალება სწრაფად შეასრულოს, დაისვენოს შვილმაც და თვითონაც. ამიტომ ანგარიშს არ აცდის შვილს, მასალას თვითონ უკითხავს, კარნახობს წერის დროს და გამოდის, რომ დავალების რვეული წესრიგშია, — დავალების შესრულების საკითხი კი არა. მშობლების ასეთი ჩარევის წინააღმდეგ პირველ რიგში თვით ოთხწლედის მასწავლებლებმა უნდა აიმაღლონ ხმა.

ამგვარად, აზროვნებისა და მოფიქრების გარეშე არ არის ცოდნა, მის გარეშე არ არის წინსვლა, განვითარება, უნარი დიდ სიძნელეთა დაძლევისა, დაბრკოლებათა გადალახვისა. ამიტომ უნდა მივცეთ მოსწავლეს დრო იფიქროს, იაზროვნოს, კარგად ასწონოს ყოველივე და შემდეგ თქვას თავისი სიტყვა მტკიცედ და დამაჯერებლად. ასეთი მიდგომით მოვიგებთ დროშიც და ხარისხშიც.

რეგორი დახმარება სჭირდება მასწავლებელს

მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილს, ზოგს მეტად და ზოგს ხაკლებად, აკლია მომზადება, არა აქვს სათანადო განვითარება და კულტურა, არა აქვს ფართო ჰორიზონტი და უნარი იყოს შემოქმედი, შესწევდეს ძალა იმისა, რომ ფართოდ გაითვალისწინოს თავისი დიდი მოვალეობა.

ამიტომ, გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ ის შეხედულება, რომ საქმეში არსებითი გარდატეხის შეტანა შეიძლება მარტო სრულქმნილი რეცეპტების შედგენით. ცნობილია, რომ კარგი მეთოდი, რომელიც ბრწყინვალე შედეგს იძლევა ერთ მასწავლებელთან, ასეთივე შედეგის მომცემი არ არის მეორე მასწავლებლის ხელში. მასწავლებლის შრომატევადი სამუშაოს სრულყოფილად შესრულება მაღალ კვალიფიკაციას და დახელოვნებას მოითხოვს. ამიტომ, უნდა ავამაღლოთ მასწავლებლის მეცნიერული,

მეთოდური და კულტურული დონე, მისი წიგნიერება და შეგნება იმისა, რომ ის საზოგადო მოღვაწეა, რომელზედაც მთელი ქვეყანა ამყარებს იმედს.

აქ კი პირველი სიტყვა თვით მასწავლებელს ეკუთვნის. ყოველი მასწავლებელი უნდა ეწაფებოდეს პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას. ისინი არ უნდა უშვებდნენ წაუკითხავად არც ერთ წიგნს, სტატიას, რომლებიც იმ საგანს, ან მისი სწავლების მეთოდიკას ეხება, რომელსაც თვითონ ასწავლის და, საერთოდ, რაც იწერება კომუნისტური აღზრდის შესახებ.

როცა მასწავლებელი რაიმე ახალს, საინტერესოს წაკითხავს, ან საკუთარ დაკვირვებას მოახდენს, მას ნამდვილად, გულით უნდა მიუხაროდეს კოლეგებთან რომ აზრი გაუზიაროს მათ.

ადვილია მასწავლებლისათვის დახმარების გაწევა, როცა ამის საჭიროებას თვითონ გრძნობს და დახმარებას თხოულობს: მაგრამ, თუ სამწუხაროდ ის ამას ვერ გრძნობს, მაშინ, პირველყოვლისა, მას ასეთი დახმარების აუცილებელი საჭიროება უნდა ვაგრძნობინოთ. მასწავლებელს სჭირდება დიდი პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა, მეტი სპეციალური ჟურნალ-გაზეთები, ბროშურები და წიგნები, მეტი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც სკოლის, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ამსახველი იქნება.

ამ მიმართულებით მეტად დროული და მნიშვნელოვანია მეთოდურ-კრებულების დაარსება, რომლებიც რამდენიმე წელია გამოდის. ისინი ძირითადად მოიცავენ ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თითქმის ყველა სასწავლო საგანს და შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ მასწავლებლის მეთოდურ დახელოვნებაში.

მეორე საკითხია, თუ რამდენად არის მასწავლებლობა დაინტერესებული ასეთი ლიტერატურით, რამდენად ეტანება და შემოქმედებითად იყენებს უფრო მაღალი კვალიფიკაციის ამხანაგების გამოცდილებას, მათ ცოდნასა და ჩვევას. სამწუხაროდ, ხშირად ვყოფილვარ მოწმე, როცა მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზით უარს აცხადებს პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების ხელმოწერაზე. დღესაც, როცა ახალი მეთოდური კრებულების გამოსვლა ფაქტი გახდა, ირკვევა, რომ ბევრი მასწავლებელი დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა მას. მეტად სამწუხარო და დამაფიქრებელი ფაქტია. თავისთავად ისმება კითხვა: ვინ არის ის მასწავლებელი, რომელიც სკოლაში მუშაობს, საგანს ასწავლის და ეს კრებული არ აინტერესებს; რით უნდა აიხსნას ეს? ვითომ ამ მასწავლებელმა უკვე ყველაფერი იცის და მეტი ცოდნა მისთვის საჭირო აღარ არის? ან იქნებ ეს კრებულები ისე ძვირია, რომ მისი ბიუჯეტი ამას ვერ იტანს. არც ერთი და არც მეორე. ასეთ მასწავლებელს სამწუხაროდ, არ აინტერესებს ლიტერატურა, არ კითხულობს და უამისოდაც იოლად მიდის და, თუ

მაინც გამოაწერინეს, ისინი ხელუხლებლად უდევს თაროზე. ამის დასადასტურებლად საკმარისია, რომელიმე სკოლაში შევამოწმოთ, თუ რომელ მასწავლებელს, რომელი გაზეთი და ჟურნალი აქვს გამოწერილი. აღმოჩნდება, რომ იმ მასწავლებელს, რომელიც გამოირჩევა მაღალი იდეურობით, პედაგოგიური მომზადებით, დიდი ავტორიტეტით კოლეგებსა და მოსწავლეებში, ყველა საჭირო ჟურნალი და გაზეთი აქვს გამოწერილი, ხოლო იმას, ვისაც ეს თვისებები ნაკლებად გააჩნია, უფრო ცოტა, ან სრულიად არა აქვს. გამოდის, რომ ამ ლიტერატურას სწორედ ისეთი მასწავლებელი არ ეტანება, რომლისთვისაც ის ყველაზე მეტად არის საჭირო.

რომ პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას მარტო ფორმალური სახე არ მიეცეს და მან არსებითი დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს, სკოლას, უმჯობესი იქნება შევამოწმოთ, როგორ მუშაობს მასწავლებელი თავის თავზე, როგორ იმაღლებს მეთოდურ-იდეურ დონეს. ამის შემოწმება კი არც ისე ძნელია. მაგონდება მეფის დროინდელი სკოლის ერთ მასწავლებელთან საუბარი: ჩვენ, მაშინდელ მასწავლებლებს ძლიერ გვეშინოდა, როცა დირექტორი სასაუბროდ დაგვიბარებდა. საუბრის დროს აუცილებლად გადაიტანდა საკითხს იმ საგნის მეთოდიკაზე, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ასწავლიდა. ის ყველაფრის კურსში იყო, —იცნობდა უახლოეს ლიტერატურას თითოეული საგნის სწავლების შესახებ და დიდი სიფრთხილე გვჭირდებოდა, რომ რაიმეში უცოდინარობა არ გამოგვემჟღავნებინა და სირცხვილი არ გვეჭამა.

ასეთ მიდგომას ჩვენს სინამდვილეშიც აქვს ადგილი, მაგრამ ამ მხრივ მუშაობა უნდა გაფართოვდეს, გაღრმავდეს და სისტემატური ხასიათი მიეცეს.

მივიღოთ როგორც სავალდებულო წესი, რომ სკოლაში რომელიმე საგნის სწავლების შემოწმების შემდეგ, შემმოწმებელმა მოსმენილი გაკვეთილები გაარჩიოს ამ საგნის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანების სხდომაზე. სასურველია სხდომას ესწრებოდეს ამ საგნის ყველა მასწავლებელი, აგრეთვე ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ამ სხდომაზე ერთ-ერთ სავალდებულო საკითხად ყოველთვის უნდა ითვლებოდეს იმის გამორკვევა, თუ რომელი მასწავლებელი როგორ მუშაობს თავისთავზე. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა მეთოდი. მაგალითად დავსვათ საკითხი: რომელი სტატია ან წიგნი მოგეწონათ უკანასკნელი კვარტალის მანძილზე, რა იყო მასში საინტერესო. რა გადაიღეთ და გამოიყენეთ ამ სტატიიდან და როგორია შედეგები? შეიტანეთ მასში რაიმე ცვლილებები თქვენი გამოცდილების მიხედვით, თუ არა? რა იდეები და წინადადებები აღგეძრათ ამ სტატიის ან სხვა რომელიმე სტატიის წაკითხვის შედეგად? რომელი სტატია არ მოგეწონათ და რატომ? და სხვა მრავალი საკითხები, რომლებიც მუშაობის პერიოდში წამოიჭრება.

სავსებით მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ სხდომაზე მეთოდისტმა დაასახელოს ერთი ან რამდენიმე სტატია, რომელიც ახლო წარსულში გამოქვეყნდა ჩვენს პედაგოგიურ ჟურნალსა და კრებულში, სთხოვოს რომელიმე მასწავლებელს გამოთქვას აზრი ერთ-ერთი მათგანის შესახებ. როცა გაკვეთილზე მასწავლებელი უშვებს რაიმე უზუსტობას ან ვერ იძლევა დამაჯერებელ ახსნა-განმარტებას, უნდა მიუთითოს სათანადო ლიტერატურაზე და უთხრას: თქვენ რომ ესა და ეს სტატიები დაგემუშავებინათ, მაშინ თქვენი გაკვეთილი უკეთესი იქნებოდა, უფრო დამაჯერებელი და საინტერესო მოსწავლეებისათვის და ეს შეცდომაც არ მოგვიდოდათ.

საჭიროდ უნდა ჩათვალოს სკოლის ყოველმა შემმოწმებელმა მოსმენილი გაკვეთილის ანგარიში, თავისი ხელით შეიტანოს საერთო დავთარში, რომელიც სკოლას ამ დანიშნულებისათვის ყოველთვის სრულ წესრიგში უნდა ჰქონდეს. (თუ ეს მეთოდისტის ზედმეტ დატვირთვას გამოიწვევს, შეიძლება დავავალოთ სკოლას გადაუგზავნოს მას პირი).

იტყვიან, ეს ხომ მასწავლებლის გამოცდა არისო. დიახ! ეს შეიძლება გამოცდაც იყოს, მაგრამ მასწავლებლის მუშაობის ყოველი შემოწმებაც ხომ მისი გამოცდაა, ვუწოდებთ მას გამოცდას, თუ შემოწმებას, ამით არსებითად არაფერი იცვლება. სინამდვილეში კი ეს გამოცდა (თუ შემოწმება) ძირითადად მასწავლებლისათვის დახმარების აღმოჩენას გულისხმობს მხოლოდ, რომ ასწავლოს მას გზა, როგორ მიაღწიოს მეტ დახელოვნებას. ამით იმასაც ვეუბნებით, რომ ერთი და იმავე ადგილის ტკეპნის, ერთ ადგილზე გაყინვის უფლებას ვერ მოგცემთ. ვერ შეეურიგდებით იმას, რომ რამდენიმე წლის წინათ შედგენილი კონსპექტით დღესაც უფერული და უსიცოცხლო გაკვეთილები გადასცეს, რადგანაც ეს მოსწავლის, სკოლის და მთელი ქვეყნის ღალატი იქნება.

თუ საკითხს ასე დავაყენებთ, მაშინ აღარ იქნება საჭირო აგიტაცია, მოწოდებები და ლიტერატურაზე ხელისმოწერა მეტი ხალისითა და ინტერესით ჩატარდება. მოხდება პირიქით: მასწავლებლები თვითონ დაიწყებენ ასეთი ლიტერატურის ძებნას და გამოყენებას, რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება და ხელს შეუწყობს მასწავლებლის დაოსტატებას. ამას მოითხოვს თვით მასწავლებლის და ქვეყნის ინტერესებიც.

გაეუფრთხილდეთ მასწავლებლის ავტორიტეტს

მასწავლებელი VII კლ. საკონტროლო წერას ატარებს. შენიშნა, რომ ერთი მოსწავლე ამხანაგის რვეულში იცქირება და გაფრთხილება მისცა. შენიშნა გაუმეორა, მაგრამ ამისთვის მოსწავლეს ყურადღება

არ მიუქცევია. განაგრძობდა თავის „საქმეს“ და როცა ყოველივეს მორჩა, რვეული მასწავლებელს მიაწოდა. გულმოსულმა მასწავლებელმა გამოსტაცა რვეული ხელიდან და იქვე დახია. მოსწავლემ მასწავლებელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მასწავლებელი მოითხოვდა, ბავშვს ბოდიში მოეხადა მისთვის კლასის წინაშე. მაგრამ გამოირკვა, რომ მოსწავლე თვითონ თვლიდა თავს შეურაცხყოფილად, დამცირებულად და დაზარალებულადაც. რაკი მასწავლებელთა უმრავლესობა ამ აზრის იყო, დათმობაზე ისევ მასწავლებელი წავიდა: შევიდა კლასში და მოსწავლეს ბოდიში მოუხადა. შემდეგ მოსწავლემაც მოუხადა მასწავლებელს ბოდიში იმ სიტყვებისათვის, რომელიც მაშინ აკადრა.

მოტანილ მაგალითში ბევრი რამ არის დასაფიქრებელი და გასარკვევი, მაგრამ ერთი რამ უდავოა. მასწავლებელმა დაუშვა შეცდომა და არა ერთი, არამედ რამდენიმე. პირველი და უმთავრესი შეცდომა ის არის, რომ მასწავლებელი შენიშვნას აძლევს მოსწავლეს, ეს უკანასკნელი მას არ ღებულობს და განაგრძობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას გაკვეთილის დამთავრებამდე. მასწავლებელი ურიგდება ამ მდგომარეობას და ელოდება, როდის მიუტანს მოსწავლე რვეულს, რომ დახიოს. მას შეეძლო მოსწავლე გადაესვა ისეთ ადგილზე, სადაც სხვის რვეულში ჩახედვის საშუალება არ ექნებოდა. მეორე შენიშვნის მიცემისას უნდა გაეფრთხილებინა, რომ ასეთი „მუშაობისთვის“ მას დაეწერება ძლიერ ცუდი ნიშანი. ხოლო, თუ ესეც არ გასჭრიდა, მაშინ უნდა ჩამოერთმია რვეული და გარეთ გაესტუმრებინა, ვინაიდან საკონტროლო წერაზე. უსაქმოდ დარჩენილი მოსწავლე ამხანაგებს შეაწუხებდა.

ბოლოს შეეძლო მასწავლებელს მიეღო რვეული და ნამუშევრების გასწორების დროს ჩაეწერა ნიშანი ერთიანი სათანადო რეცენზიით, რომ ის დამოუკიდებლად ნამუშევარი არ არის. მან ყველაზე უარესი, ყოვლად დაუშვებელი გზა აირჩია, რაც იმას ადასტურებს, რომ სუსტ და გამოუცდელ მასწავლებელთან გვაქვს საქმე.

მე რომ ამ სკოლის დირექტორი ვყოფილიყავი, ავიღებდი სუფთა რვეულს, დავაწერდი მოსწავლის გვარს და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შევიდოდი აღნიშნულ კლასში საუბრის ჩასატარებლად. მოსწავლეს ვეტყოდი, რომ ყველაზე დიდი შეურაცხყოფა თავს თვითონ მიაყენა როცა ამხანაგის რვეულში დაიწყო ცქერა. ამით დაადასტურე, რომ თვითონ მოუმზადებელი ხარ. როცა მასწავლებლის შენიშვნას ყურადღება არ მიაქციე, ამით შენი თავხედობა გამოავლინე; ან ვინ მოგცა უფლება, რომ მასწავლებლის განკარგულება არ შეასრულო? ეს ხომ აშკარა დანაშაულია! ეს, რომ ჩემს გაკვეთილზე მომხდარიყო რვეულსაც ჩამოგართმევდი, ერთიანსაც იქვე ჩაგიწერდი. მასწავლებლის მოქმედება რომ არ მოგეწონა, ეს გასაგებია. ქურდებსაც არ მოსწონთ მილიციის მუშაკების საქმიანობა. მაგრამ მასწავლებელს რომ შეურაცხყოფა მია-

ყენე, ისიც გაკვეთილზე, მუშაობის პროცესში, გქონდა მაგის უფლება? შენთვის შეურაცხყოფა არავის მოუყენებია! პირიქით, შენ მიაყენე მასწავლებელს შეურაცხყოფა სრულიად უმიზეზოდ, რისთვისაც პატიება უნდა ითხოვო. შემდეგ გაკვეთილზე რომ საკონტროლო წერის რვეული არ გექნება, შენი მიზეზია ესეც. სამაგიეროდ რვეული მე მოგიტანე. გადავცემ მათემატიკის მასწავლებელს და შემდეგი საკონტროლო წერის დროს მოგიტანს. ოღონდ საჭიროა შეიგნო შენი დანაშაული და მასწავლებელს პატიება სთხოვო ამხანაგების წინაშე. თუ შენთვის ყოველივე ეს გასაგები არ არის, მაშინ მომიყვანე მშობელი და ორთავემ ერთად იქნებ შეგაგნებინოთ, რომ დამნაშავე შენ ხარ.

იტყვიან, თუ მოსწავლე თავის დანაშაულში ვერ დავარწმუნეთ, ძალით მობოდიშებას აზრი არ აქვს, სასარგებლო არ არისო. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი მოსწავლე განზრახ არ ცნობს თავს დამნაშავედ, ჯიუტობს და მართალი ვარო ამბობს. თუმცაღა იცის, სიმართლე მის მხარეზე არ არის. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მოსწავლეთა კოლექტივზე უნდა გადავიტანოთ. თუ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას მივიმხრობთ და ყოველივეს სწორად გავაგებინებთ, დავარწმუნებთ, რომ მათი ამხანაგი ჩვენ უსამართლოდ არ დაგვისჯია, მაშინ განმხოლოებულად დარჩენილი „გაბუტული“ მოსწავლე ეტყვის თავისთავს: ოინი არ გამომივიდა, მიმიხვდნენ ყოველივეს, რაღა მეთქმისო და უკანონოდ დაჩაგრულის ნიღაბს მოიხსნის.

ცხადია მასწავლებელიც უნდა დაისაჯოს, მაგრამ არა კლასის წინაშე ბოდიშის მოხდით. ამით დაბალი ავტორიტეტის მქონე მასწავლებელს უარესად დავამცირებთ მოსწავლეთა თვალში და წავახალისებთ ზარმაცებსა და წესრიგის დამრღვევთ. მას უნდა ავუხსნათ, ვასწავლოთ, რომ ეს ღონისძიება არ ვარგა და მივუთითოთ, თუ როგორ მოიქცეს მსგავს შემთხვევებში. ეს საკითხი შეიძლება პედთათბირის მასალადაც გამოდგეს, თუ ამიხ საჭიროება არის.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა მასწავლებელი შეურაცხყოფას აყენებს მოსწავლეს დაუმსახურებლად, ბრალს დებს ისეთ ქცევაში, რომელიც მას არ ჩაუდენია. ამ შემთხვევაში მასწავლებლის ჯიუტობა — არ აღიაროს თავისი შეცდომა და განაგრძოს იმისი მტკიცება, რასაც საფუძველი არა აქვს, უდავოდ შეცდომაა და ამიტომ ყოვლად მიუღებელი. ასეთი მოქმედება მასწავლებლის უსუსურობას, მის უტაქტობას ამტკიცებს, სასურველია არ შეცდე, მაგრამ თუ შეცდომა მაინც მოგვიდა, მაშინ საუკეთესო გამოსავალი სიმართლის აღიარებაა. მასწავლებელმა ყველაფრის მცოდნისა და შეუმცდარის პრეტენზია არასდროს არ უნდა იკისროს. მაშინ საჭიროების შემთხვევაში უფრო გაუადვილდება უკან დახევა. შექმნილი მდგომარეობის მიხედვით მან შეიძლება მოსწავლეს უთხ-

რას: შენ დამნაშავე არ ყოფილხარ, გამოირკვა, რომ ტყუილად დამიდვია შენთვის ბრალი. ამ საკითხში, ჩანს, მე შევცდი. ასეთი განცხადებები, თავისი შინაარსით, იგივე ბოდიშის მოხდაა, მოსწავლეს სავსებით დააკმაყოფილებს და თავს შეურაცხყოფილად და დაჩაგრულად აღარ ჩათვლის. სიტყვა ბოდიში კი შეიძლება სრულიად არ ვახსენოთ, ეს რაღაც გათანასწორებაა მოსწავლისა მასწავლებელთან და ამდენად არასასურველია, ხოლო ასეთი არაპირდაპირი ბოდიშის მოხდა, არა თუ სახელს გაუტეხს მასწავლებელს, არამედ პირიქით, სამართლიანისა და ობიექტურის სახელს მოუპოვებს.

უბრალო ეთიკის მოთხოვნილებაა, რომ, თუ დაუმსახურებლად შევეხეთ ადამიანის თავმოყვარეობას, შეცდომით დავწამეთ ცილი ან ბრალი დავდეთ ისეთ საქციელში, რომელიც მას არ ჩაუდენია, ეს აშკარა დანაშაულია და მისი გამოსწორება მხოლოდ ბოდიშის მოხდით შეიძლება. აქ უფროს-უმცროსობა სრულიად არ არის მოსატანი. პირიქით, უფროსი წლოვანებით, თანამდებობით, ან განათლებით უფრო მეტად არის ვალდებული გაუფრთხილდეს სხვის თავმოყვარეობას და უსამართლოდ არავინ შეურაცხყოს. დიახ, ყველაფერი ზუსტად, აფთიაქის სასწორით უნდა აიწონოს გრამების მეასედ და მეათასედ ნაწილებში. სულ მცირე შეცდომასაც კი შეიძლება ადამიანის სწორი გზიდან აცდენა მოჰყვეს.

მაგნე ჩვევები

თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ საშუალო სკოლის რომელიმე კლასს, სადაც მოსწავლეთა თვითშეგნება ისეთ დონეზე არის აყვანილი, რომ ადგილი არა აქვს ამხანაგისადმი კარნახს, სხვისი ნამუშევრის გადაწერას, და დაუმსახურებელი ნიშნის გამოძალვის ცდებს, სადაც მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულება ნამდვილად მეგობრულ პრინციპზეა დამყარებული, გულწრფელად უყვართ თავისი აღმზრდელი მასწავლებლები და მათი რჩევა-დარიგება გარდუვალ კანონად მიიჩნიათ, ცხადია მეტად სასურველი სურათი წარმოგვიდგება. როგორი სასიამოვნო იქნება ასეთ კლასში მუშაობა, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეებისათვის, როგორ ამაღლდება იქ შრომის ნაყოფიერება, რამდენად უკეთ მომზადებულები იქნებიან ამ კლასის მოსწავლეები, რამდენი დრო გაუნთავისუფლდება მასწავლებლებს და რამდენად ღრმად და საფუძვლიანად დამუშავდება თითოეული საგანი ამ კლასში.

თავისთავად ცხადია, რომ კარნახი, დავალების ამხანაგისაგან გადა-

წერა და მისი საკუთარ ნამუშევრად გასაღება უდიდეს ზიანს აყენებს თვით მოსწავლეს და აგრეთვე მთელ კლასს. ამისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ზარმაცი მოსწავლე ხშირად „ამხანაგების" იმედით არ ამზადებს დავალებას, ფიქრობს მიკარნახებენ და როგორმე სამიანს მივიღებო, რომ ასეთი იმედი არ ქონოდა, საფიქრებელია მეტს იმუშავებდა და უკეთ მომზადებული მოვიდოდა სკოლაში. მეორეს მხრივ, კარნახის პირობებში ირღვევა წესრიგი გაკვეთილზე და მოსწავლის მომზადების შემოწმებაზეც მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო ეხარჯება. რაც მთავარია, ასეთი გაკვეთილი არაფერს არ აძლევს დანარჩენ მოსწავლეებს. დაბალია ასეთი გაკვეთილის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რადგანაც ის პატარაობიდანვე აჩვევს ბავშვებს თვალის ახვევას, ზერელობას, ტყუილებს და დავალების არაკეთილსინდისიერად შესრულებას.

რა გზები და საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ ჩვენი სკოლიდან გავდევნოთ ეს მავნე და შეუფერებელი ჩვევები?

ეს საკითხი შეტად რთულია. საჭიროა ზოგჯერ საუბარი გაუმართოთ მთელ კლასს ამ საკითხზე. მივცეთ უფლება გამოთქვან თავიანთი აზრი, ჩავითრიოთ კამათში და დავამარცხოთ ისე, რომ აღარა დარჩეთ რა სათქმელი, იგრძნონ თავისი პოზიციის სრული უსაფუძვლობა, მაგრამ ამით ამ მავნე ჩვევებს მთლიანად მაინც ვერ მოვსპობთ. ცუდად დანერგილი ჩვევები მხოლოდ საუბრითა და რჩევა-დარიგებებით არ აღმოიფხვრება მთლიანად. აგრეთვე საჭიროა მასწავლებელმა გაკვეთილზე უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება, მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, რომ მოსწავლეებმა მისი მოტყუება ვერ მოახერხონ. მაგრამ თუგინდ მივაღწიოთ ამ გზით იმას, რომ ვეღარავინ ბედავდეს კარნახს ან ამხანაგისაგან გადაწერას განა ეს სავსებით დაგვამშვიდებს. უფრო მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლის თვითშეგნება ისე ავამაღლოთ, რომ არ კადრულობდეს ამხანაგის ნაკარნახევის გამეორებას, ან სხვის რვეულში ჩახედვას. ყოველივე ამას შეურაცხყოფად, თავის დამამცირებლად, სხვისი შრომის მითვისებად თვლიდეს. ასევე უნდა უყურებდეს ამ საკითხს მთელი კლასი.

ისმება კითხვა: შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ პირველი კლასის მოსწავლეს პირველ სექტემბერს მსგავსი ცოდვებისადმი მიდრეკილება არ აქვს სრულიად? ასეთი დაშვება ყველა შემთხვევაში, ვფიქრობ, სწორი არ იქნება. ზოგიერთ მოსწავლეს ოჯახიდან ნამდვილად მოაქვს სკოლაში ისეთი ცუდი ჩვევები, რომლებიც შემდეგ ადვილად გადადის სხვისი შრომის მითვისებასა და მასწავლებლის თვალის ახვევის ცდაში. სკოლამდელი ასაკის ბავშვი ხშირად ხდება მოწამე, როცა დედა ტყუილს ეუბნება მამას, ან ერთმანეთს ატყუილებენ ოჯახის სხვა წევრები. ხდება ისიც, რომ მშობლები თავის მოწონების მიზნით შვილს მიაწერენ ზოგჯერ ისეთ ქმედობას, ან მსჯელობას, რომელიც მას არ გამოუმეღავნებია. ბავშვი გრძნობს ამ სიყალბეს, მაგრამ მშობლების ხათრით ან შიშით პირ-

ველად არას ამბობს, ხოლო შემდეგ თანდათანობით ეჩვევა, იფერებს და სათანადო პოზასაც იღებს.

ყოველივე ამას და მსგავს სხვა ცუდ ჩვევებს ითვისებს ზოგიერთი ბავშვი ოჯახში და ხშირად იყენებს კიდეც მას ამხანაგებთან. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პირველ კლასში ყველა ბავშვს ეს ცუდი თვისებები არ ახასიათებთ და პატარები თავიანთ პირველ მასწავლებელში ხედავენ დიდ ავტორიტეტს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეტაპზე მასწავლებელს ნამდვილად შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს თავის აღსაზრდელებზე, სწორად წარმართოს მათი სწავლება და აღზრდა, სწრაფად აღმოფხვრას მათში არც ისე მტკიცედ ჩასახული ყალბი ჩვევები.

პირველი გაკვეთილებიდანვე უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ საკითხებზე: სასტიკი ბრძოლა ტყუილს, ყოველთვის სიმართლის აღიარება მასწავლებელთან და ამხანაგებთან, მოსწავლე მუდამ გულახდილი უნდა იყოს მასწავლებელთან და მშობელთან; ყოველივე, რაც მის ცხოვრებაში ხდება, სასიხარულოა თუ საწყენი, გაუზიაროს სკოლაში მასწავლებელს, სახლში დედას და სათანადო რჩევა-დახმარებაც მათგან მიიღოს. უფროსებმაც ბავშვის ასეთი ნდობა ცუდად არ უნდა გამოიყენონ და რასაც მათ ბავშვი საიდუმლოდ ანდობს, ის საქვეყნოდ არ გაახმიანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი გულჩათხრობილი გახდება.

— უდიდესი მნიშვნელობა აქვს წესრიგსა და სიწყნარეს გაკვეთილზე. ერთი ლაპარაკობს, დანარჩენი უსმენს ყურადღებით. სხვანაირად კარგი სამუშაო ატმოსფერო გაკვეთილზე არ შეიქმნება, მოსწავლეებში დაკვირვებულობისა და მოსაზრებულობის უნარი არ გამომუშავდება. ეს ჩვევა უნდა დაინერგოს პირველი გაკვეთილებიდანვე აუცილებლად. საჭიროა ვასწავლოთ ბავშვებს, არ გამოიჩინონ აჩქარება, კარგად მოისმინონ სხვისი აზრი და შემდეგ გამოთქვან თავისი, თუ ეს საჭირო იქნება.

როცა მოხდება პირველი ფაქტი წამოძახების ან კარნახის, მასწავლებელმა მაშინვე უნდა მოახდინოს მასზე სათანადო რეაგირება. უნდა შეაჩეროს გაკვეთილი და მთელი კლასის ყურადღება გაამახვილოს, აგრძნობინოს კლასს, რომ ადგილი ქონდა მეტად უღირსს ქცევას და დაახლოებით ასეთი შინაარსის საუბარი ჩაატაროს. ვის ვკითხე მე? ვის უნდა ეპასუხა? ვინ მიპასუხა სინამდვილეში? რატომ? გინდა გაგვაგებინო, რომ შენმა ამხანაგმა არა იცის რა და შენ კი ყოჩაღი ხარ? რატომ არ აცლი ამხანაგს მოსაზრებას? იქნებ მას თვითონ მოეფიქრებინა და სწორად ეპასუხა. გამოდის, რომ შენ მას ცუდ ამხანაგობას უწევ, არ სცემ პატივს, არც მასწავლებლის ხათრი გაქვს, მისი რჩევა-დარიგება არ შეასრულე და სხვა. თუ მოსწავლემ სხვის რვეულში ცქერა დაიწყო, აქაც საჭიროა თავის დროზე სათანადო ზომების მიღება. მოსწავლეს შეურაცხყოფა არ უნდა მივაყენოთ, მაგრამ რაც საჭიროა ყოველივე ვუთხრათ. ვუთხრათ

თავაზიანად, მტკიცედ და გარკვეულად, რომ სხვისი რვეულიდან სარგებლობა, სხვისი შრომის მითვისებაა, და, შეიძლება ითქვას, ქურდობაც, რაც მოსწავლეს არ ეკადრება და სამარცხვინოა მისთვის. თან უნდა ვეცადოთ, რომ ასეთი საუბრების დროს კლასი ყოველთვის ჩვენს მხარეზე იყოს.

საჭიროა კლასში თავიდანვე დაინერგოს ბავშვებს შორის ჯანსაღი და გულწრფელი მეგობრობა და სიყვარული. ამისათვის კი მასწავლებლის სამართლიანობას და ობიექტურობას დიდი მნიშვნელობა აქვს. თითოეულ მოსწავლეს ამხანაგის წარმატება უნდა ახარებდეს, ეჯიბრებოდეს არა იმაში, რომ ამხანაგს აჯობოს, არამედ იმაში, რომ ყოველივე უკლებლივ შეასრულოს ისე, როგორც ამას მასწავლებელი მოითხოვს. არასოდეს არ აწყენინო მასწავლებელს და არ დაიმსახურო მისი საყვედური. ამხანაგის წარუმატებლობა, ან რაიმე სიძნელე სიბრალულსა და დახმარების სურვილს უნდა აღუძრავდეს თითოეულ მოსწავლეს.

კარგმა მასწავლებელმა მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ ერთის ცუდი ჩვევები მეორეზე კი არ გადადიოდეს, არამედ პირიქით — ის ნიადაგს ვერ პოულობდეს დანარჩენებში და თანდათანობით კვდებოდეს, ხოლო ერთის დადებითი ჩვევები ადვილად გადადიოდეს ამხანაგებზე და მტკიცედ ინერგებოდეს კლასში.

თუ სწავლა-აღზრდის საქმე თავიდანვე ასეთ საფუძველზე იქნება დაყრდნობილი, მაშინ ცუდი ჩვევები კლასში აღარ დაინერგება. კარნახი და თვალის ახვევის ცდები ფეხს აღარ მოიკიდებს. მოხდება პირიქითაც — ასეთი ცდები სამარცხვინოდ, დამამცირებლად მოეჩვენება ყველას და მას აღარავინ მიმართავს. ამის გამო ნაწყენიც არავინ დარჩება. მაშინ ეს აღარ გამოიწვევს კლასში განხეთქილებას და ეგოიზმის განვითარებას. არ გიკარნახებ არ გადაგაწერინებ არა იმისთვის, რომ მინდა ცუდი ნიშანი მიიღო, არამედ იმისათვის, რომ ეს შენთვის სასარგებლო არ არის, რომ ეს მოტყუებაა, ასე ამბობს ჩვენი მასწავლებელი.

ასეთი მუშაობა, რომელსაც ჩვენი აზრით საფუძველი პირველ კლასშივე უნდა ჩაეყაროს, საჭიროა თანამიმდევრულად გაგრძელდეს შემდგომ კლასებში, მიღწეული დადებითი ჩვევები თანდათანობით განმტკიცდეს და ამ საფუძველზე ახალი დაინერგოს.

საშუალო სკოლის აღზრდილებსაც მივყვეთ კვალდაკვალ

აუცილებლად მოწონებისა და მიბაძვის ღირსია ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატის თაოსნობა, რომელმაც გადაწყვიტა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა იმ მიმართულებით,

რომ კვალდაკვალ მიჰყვეს ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს „ადგილ-ზე შესაფერისი მეცნიერულ-მეთოდური დახმარების აღმოჩენის მიზნით, მასწავლებელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესამუშავებლად და იმის გამოსარკვევად, თუ რა ნაკლი ახასიათებს პედაგოგთა კადრების მომზადებას ინსტიტუტში“.

გამოდის, რომ ფიზიკურად და გონებრივად მომწიფებულ 22—24 წლის სპეციალისტებს სამუშაოზე კვალდაკვალ მიჰყვება მშობლიური ინსტიტუტი. ეს დახმარება აუცილებელი, სწორედ დროული და საჭიროა, როცა ქარხანა რომელიმე რთულ მანქანას უგზავნის მომხმარებელ ორგანიზაციას ადგილზე საჭირო დახმარების აღმოსაჩენად ინსტრუქტორებსაც თან აყოლებს. ადამიანზე რთული მანქანა კი არ არსებობს და არც შეიძლება ასეთი არსებობდეს. ამიტომაც, ასეთი „ინსტრუქტორები“ კარგი იქნება სხვა უმაღლესი სასწავლებლების აღზრდილებისთვისაც.

მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: ვინ მიჰყვება კვალდაკვალ იმ ათასობით ახალგაზრდას, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში დაამთავრეს საშუალო სკოლის კურსი?

მე მინდა ერთი დამახასიათებელი შემთხვევა მოვიგონო. ყოფილი მოსწავლეები საშუალო სკოლის კურსის დამთავრების ათი წლისთავს აღნიშნავდნენ. ამ შეხვედრაზე ჩვენ, ყოფილი მასწავლებლებიც, მიგვიწვიეს. მეტად სასიამოვნო, გულის გამხარებელი იყო აზღრდილებისა და აღმზრდელების ეს შეხვედრა, იმ ჭაბუკებისა და გოგონების ნაცვლად, რომლებიც ჩვენ ათი წლის წინ გავისტუმრეთ სკოლიდან, რომელთაც მაშინ თითქოს აკლდათ სერიოზულობა და პრინციპულობა, ჩვენს წინ წარმოდგნენ 32—33 წლის სპეციალისტები, უკვე ცხოვრების ფერხულში ჩაბმულნი, დასერიოზულებულნი და, რაც მთავარია, ყველა ამ ცვლილებას ისე კარგად, ბუნებრივად იფერებდნენ, რომ მათი ცქერა სასიამოვნო იყო.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ერთმა მათგანმა. ის იჯდა სუფრის ბოლოს თავდაღუნული და ნელის ხმით საუბრობდა ამხანაგებს შორის. როდის მოვიდა და სუფრასთან როდის დაიკავა ადგილი, არც კი შემიმჩნევია. გამოირკვა, რომ იმ 34 ამხანაგიდან, რომლებმაც ერთად დაამთავრეს სკოლა, მხოლოდ ამ ერთს ვერ მოუხერხებია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჩვენთან სკოლაშიც ის საკმაოდ ძნელი მოსავლელი იყო და არც ბეჯითობით გრწყინავდა.

ოჯახური პირობები ცუდი ჰქონდა. დედითა და მამით ობოლს, მეთერთმეტე კლასში ყოფნისას ბებიაც გარდაეცვალა და დარჩა ღრმად მოხუცებული, მოსავლელი და საპატრონო ბებუას ანაბარად. ასეთ პირობებში ჩავარდნილს, ალბათ არ ეყო ნებისყოფა და შეგნება, რომ თანდათანობითი მეცადინეობით შეევსო საშუალო სკოლიდან გამოყოლილი ხარვეზები და არც ისეთი მახლობელი ადამიანი აღმოაჩნდა, რომელიც შეუძახებდა,

გაამხნევებდა და უმაღლესი სასწავლებლისკენ გზას გააკვლევინებდა, მეგობრული რჩევა ზოგჯერ ადამიანს ენერგიას აპოვნინებს თავ-სთავში, საკუთარი ძალებისადმი რწმენას აღუძრავს და შემდეგ მას ვერა შეაჩერებს რა. მას სწორედ ასეთი დამხმარე ესაჭიროებოდა, მაგრამ ის არსად აღმოჩნდა.

ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი დამხმარე და რჩევის მიმცემი, თუ არა თანაკლასელი მეგობრები და საკუთარი სკოლა? ვინ უნდა ამოსდგომოდა გზააბნეულს მხარში და სწორ გზაზე დაეყენებია, თუ არა ის ადამიანები, რომლებიც მას 11 წლის მანძილზე ზრდიდნენ, ასწავლიდნენ და ხელმძღვანელობდნენ. განა იმ დღეს დამთავრდა ამ მოსწავლის უახლოესი მასწავლებლის, მისი კლასის დამრიგებლის, როგორც პედაგოგის, მორალური ვალი, როდესაც სკოლადამთავრებულებმა უკანასკნელად გაიხურეს სასწავლო ოთახის კარები? ვფიქრობთ, რომ არა!

ნამდვილ აღმზრდელ მასწავლებელს არასდროს არ აქვს უფლება განაცხადოს: მე დღეს ამდენი საათი ვიმუშავე და ამიტომ ჩემი მოვალეობა სრულიად მოვიხადეო. მთავარი ის კი არ არის რამდენი საათი იმუშავა მასწავლებელმა, არამედ ის, რა გააკეთა, შეძლო თუ არა იმის შესრულება რაც დღეისათვის ჰქონდა გათვალისწინებული — ეს მან პირველმა უნდა მოჰკითხოს თავისთავს.

ვთქვათ სკოლის კურსდამთავრებულმა მოახდინა მთელი მისი სულიერი ძალების მობილიზება, — კარგად იმუშავა. მშობლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი, დახმარება არ მოაკლეს და წარმატებით ჩაბარა მისაღები გამოცდები, გახდა სტუდენტი. ვითომ ამის შემდგომ ის ყველა შემთხვევაში სამშვიდობოს გასულად ჩაითვლება? დაზღვეულია ყოველგვარი გადახრებისა და ცდუნებისაგან? არის შემთხვევები, როცა ახალგაზრდა ორი-სამი წლის წვალებისა და შრომის შედეგად ახერხებს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას და პირველსავე სემესტრის ბოლოს ირიცხება სასწავლებლიდან. ის კი თავის უბედურებას უმალავს მშობლებსა და სკოლას. რჩება ქალაქში, ატყუებს მშობლებს ვსწავლობო, სისტემატურად ითხოვს მათგან ფულს და უქმად ატარებს დროს მასავით უსაქმურ ახალგაზრდებში. ასეთ პირობებში მას კარგი არა მოელის რა, თუ რაიმე რეალური ფაქტორი არ ჩაერია მის საქმიანობაში, რომელიც მას გონს მოიყვანს და შრომისაკენ აქნევინებს პირს. ამიტომ მეტად საჭიროა რაღაც ისეთი ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს, რომელიც შეძლებს სტუდენტის საქმიანობის კურსში დროულად დააყენოს ოჯახი, სკოლა და რაიონი. საერთოდ რაიონმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა იკისროს თავის სტუდენტებზე, მომავალ კადრად უნდა სთვლიდეს მათ და თითოეული მათგანი აღრიცხვაზე ჰყავდეს.

ამ მიზნით, თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში შეიძლება მოხდეს სტუდენტების გაერთიანება რაიონულ-ტერიტორიული პრინციპის მიხედ-

ვით. ამ გაერთიანებამ უნდა აირჩიოს რაიმე მოქმედი ორგანო უფროსი კურსის სტუდენტებისაგან. ეს ორგანო კი თავის მხრივ დაუკავშირდება ერთის მხრივ სხვა, ამავე ქალაქში არსებული უმაღლესი სასწავლებლის სათანადო ორგანიზაციებს და, მეორეს მხრივ, თავის რაიონს, განათლების განყოფილებიხ საშუალებით. ამით კავშირი დამყარდება იმ სკოლასთან, რომელიც ამა თუ იმ სტუდენტმა დაამთავრა, და თვით სტუდენტის ოჯახთანაც.

საერთოდ კონტროლი და შეგნება იმისა, რომ შენს ყოველ წარმატებასა და წარუმატებლობას თვალყურს ადევნებენ, რომ არაფერი დაიმალება შენი მახლობლებისთვის, ამხნევებს ადამიანს, სიფხიზლესა და ენერგიას მატებს, უკარნახებს თავი შეიკავოს ყოველი ცდუნებისაგან და მთელი ენერგია სასარგებლო საქმიანობას მოანდომოს. ამისათვის საჭირო იქნება წინასწარ შემუშავდეს დებულებანი ამ რაიონულ ტერიტორიული ორგანოების უფლება-მოვალეობის შესახებ, მათი მუშაობის მეთოდი და შინაარსიც განისაზღვროს.

რაიონის ხელმძღვანელობამ განათლების განყოფილების საშუალებით და უშუალოდაც მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს თავისი რაიონის სტუდენტების მუშაობასა და მათ საერთო საქმიანობაში. აღრიცხვაზე ჰყავდეს ყველა სტუდენტი და იყოს საქმის კურსში, თუ როგორ მუშაობს თითოეული მათგანი. იცოდეს, რომელ წელს რამდენი დიპლომიანი სპეციალისტი დაბრუნდება და სად და როგორ იქნებიან ისინი გამოყენებული. სასურველია მეხუთე-მეექვსე კურსის სტუდენტები განაწილებული და მიმაგრებულნი იქნენ შესაფერის წარმოებებზე. სტუდენტებიც წინასწარ უნდა გაეცნონ წარმოებას, მის ხელმძღვანელობას; წარმოდგენა ჰქონდეთ, თუ რა ხასიათის სამუშაო ელით მათ, როგორ ცოდნასა და დახელოვნებას მოითხოვენ მათგან და სათანადოდაც ემზადებოდნენ წინასწარ. იმის შეგნება, რომ შენ საზოგადოებისათვის საჭირო ხარ, რომ შენ იქ გელოდებიან, ითვალისწინებენ შენს ცოდნა-მომზადებას და თავის გეგმას ამის მიხედვით აგებენ, ადამიანს მატებს პასუხისმგებლობის გრძნობას და აჩქარებს მასში შეგნებული, საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნების ჩამოყალიბებას.

რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები, როცა იმ ქალაქში ხვდებიან, სადაც მათი რაიონის სტუდენტები, ან ყოფილი მოსწავლეები სწავლობენ, ყოველთვის უნდა ეცადონ, თუ ამის საშუალება აქვთ, პირადად შეხვდნენ ახალგაზრდებს, ესაუბრონ დასახული ამოცანებისა და პერსპექტივების შესახებ, დააყენონ რაიონის საქმიანობის კურსში, მოუსმინონ მათ და მათი სიხარული, თუ სიძნელეები გაიზიარონ. სასურველი იქნება, რომ წელიწადში ერთხელ, ალბათ სასწავლო წლის ბოლოს, მოხდეს რაიონის ყველა სტუდენტის შეხვედრა რაიონის ხელმძღვანელობასთან. მოვექცეთ მათ როგორც შეგნებულ,

ინტელექტუალურ ძალას, გავაცნოთ რაიონის მდგომარეობა და უახლოესი ამოცანები, შევეხოთ მათ მუშაობასაც, ვაქოთ ვინც ქების ღირსია და რჩევა-დარიგებანი მივცეთ, იმათ, ვისაც ეს სჭირდება. დაე, თითოეული სტუდენტი წინასწარ გრძნობდეს და ელოდებოდეს ამ დღეს, გრძნობდეს, რომ წლის ბოლოს მას ანგარიშს მოსთხოვს რაიონის ხელმძღვანელობა, თავისი სკოლა და მასწავლებლები, ნათესავები და მეგობრები და ეცადოს. ამ დღეს მას თავის დახრა არ დასჭირდეს.

ნუ მოვაკლებთ ჩვენს სტუდენტებს ნურც მზრუნველობას, ნურც მომთხოვნელობას და ჩვენი ასეთი ცდა ერთიათად იქნება ანაზღაურებული. სამშობლო უფრო შეგნებულ მოქალაქეებსა და უკეთ მომზადებულ სპეციალისტებს მიიღებს მათგან.

ამრიგად, სწავლისა და აღზრდის საქმე მეტად მაღალი და რთული ხელოვნებაა, რომელიც ადამიანის სულიერი სამყაროს შეცნობას, მისი ინტერესების გაგებას და მისსავე სასარგებლოდ წარმართვას ემსახურება.

აღმზრდელს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ კეთილი საქმე ცუდი გზით არ გაკეთდება და ცუდ მაგალითზე კარგი ადამიანი არ გაიზრდება. სიტყვიერ აღზრდას, მორალზე ლექციების კითხვას შედეგი მაშინ მოაქვს, როცა ის ცხოვრებაში პრაქტიკულად ხორციელდება. აღმზრდელის უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ აღსაზრდელს სწავლის სურვილი გამოუმუშაოს.

სწავლისა და აღზრდის საქმე მეტად რთული და შრომატევადი ხელოვნებაა. იგი აღმზრდელისაგან მოითხოვს მაღალკვალიფიკაციას, ფართო განათლებას, დახვეწილ კულტურასა და გემოვნებას. რამდენადაც უფრო მცირე ასაკისაა აღსაზრდელი, იმდენად უფრო რთულია მისი აღმზრდელის მოვალეობა.

არაფერი არ მოუტანს აღზრდის საქმეს ისეთ ვნებას, როგორც ამ ფაქტორთა უგულებელყოფა.

შინაარსი

შესავალი	3
საინტერესო და ძნელი პროფესია	5
მოსწავლეთა გადატვირთვის ერთი მიზეზი	8
ზედმეტი მზრუნველობის უარყოფითი გავლენა	14
პირადი მაგალითის ძალა	20
ზოგიერთი მასწავლებლის „საკუთარი" პედაგოგიური შეხედულებანი	24
კლასის ხელმძღვანელის მუშაობის გამოცდილებიდან	29
მშობელი და სკოლა	40
სკოლის დირექტორი	42
სწავლა და აღზრდა განუყოფელია . . .	46
რატომ ერღვევა დისციპლინა ზოგჯერ კარგ მასწავლებელსაც	62
ზეცდომისაგან დაზღვეული არავინაა	70
მეტი ყურადღება ძნელად აღსაზრდელ ბავშვებს	76
აღვზარდოთ სიმართლით	81
ეაცალოთ მოსწავლეს მოფიქრება	85
როგორი დახმარება სპირდება მასწავლებელს	88
გავეფრთხილდეთ მასწავლებლის ავტორიტეტს	91
მავნე ჩვევები	94
საშუალო სკოლის აღზრდილებსაც მივყვეთ კვალდაკვალ	97

რედაქტორი თ. დაუშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. ასათიანი
ტექრედაქტორი ნ. ჯაოიძე
კორექტორი ნ. დგებუაძე

გადაეცა წარმოებას 7/VI-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-73 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 3. ნაბეჭდი თაბახი 6,5 სააღრ. საგამომც. თაბახი 6,1.
ტირაჟი 3000. შეკვეთა 609.

ფასი 30 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.
1973

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Тбилиси. ул. Орджоникидзе № 50.